საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის საქმიანობის ანგარიში

2020 წელი

შინაარსი

შესავალი

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სამაუწყებლო პოლიტიკა_5
2. მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტები _____ 8
3. მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგი_____18
4. დამოუკიდებელი პროგრამები და მათი მწარმოებლები_____32
5. საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგები_____32
6. განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსი_____37
7. საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებები_____ 41
8. საზოგადოებრივ მაუწყებელთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოები_____41
9. საზოგადოებრივი მაუწყებლობის მომავალი წლის ბიუჯეტი_____42
10. საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტის შესრულება_____48
11. შიდა და გარე აუდიტის დასკვნები_____86

2020 წელი

შესავალი

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს წინა წლების მსგავსად, 2020 წლის განმავლობაშიც ჰქონდა უამრავი გამოწვევა, რასაც, სხვა ტრადიციულ სირთულეებთან ერთად დაემატა საყოველთაო პანდემიის პირობებში მუშაობის აუცილებლობა. აღნიშნული გამოწვევის დასაძლევად, მაუწყებელს მოუწია მთელი რიგი ფორს-მაჟორული, ექსტრაორდინალური გადაწყვეტილებების მიღება. ამგვარად, ყველა მაუწყებელს, და მათ შორის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს, მაუწყებლობის თვისობრივად ახალი მეთოდების დანერგვა მოუხდა, რაც უდავოდ იქონიებს გავლენას მომავლის მაუწყებლობის ბუნებაზე. თავის მხრივ, შესაძლებლობებთან ერთად, ეს ფაქტი თავის თავში მოიცავს, მაუწყებლობის ბუნების კონცეპტუალურ ცვლილებასაც, რის შედეგებს და ამ შედეგებით გამოწვეულ სირთულეებზე რეაგირება, მომავალი წლების განმავლობაში დარჩება გარდაუვალი რეფორმების ერთ-ერთ წამყვან მოტივატორად. ამ თვალსაზრისით, ისევ მნიშვნელოვანი იქნება, საზოგადოების მაღალი ჩართულობა მაუწყებლის მართვაში და მაუწყებლის მიმართ ნდობის გაზრდის ეფექტური ღონისძიებების გატარება, რაც პროფესიული დონის ამაღლებას, მმართველობითი ღონისძიებების და ტექნიკურ და ტექნოლოგიურ განახლებას უკავშირდება.

ტრადიციული ხასიათის პრობლემებიდან, ისევ უდიდეს გამოწვევად რჩება ინფრასტრუქტურული პრობლემები. მართალია ანგარიშის მომზადების მომენტისთვის, მაუწყებელს უკვე გადაცემული ჰქონდა დამატებითი ფართი ქ. ბათუმის ცენტრში, თუმცა ამან ვერ დაძლია ერთიანი სამუშაო სივრცის და საპროდიუსერო სიმძლავრეების დეფიციტის პრობლემა.

სამწუხაროდ, პანდემიის გამო, ბევრი ღონისძიება, რომელიც მაუწყებლის საერთაშორისო დონეზე კავშირურთიერთობის განვითარებას და ჩართულობას უკავშირდება, გადაიდო. მომავალში აჭარის ტელევიზია და რადიო, ისევ დაუბრუნდება აღნიშნულ საკითხებს. აქვე აღსანიშნავია, რომ პანდემიამ შექმნა როგორც გამოწვევები, ასევე შესაძლებლობები ორგანიზაციული განვითარების თვალსაზრისით, თავისი ინსტიტუციონალური მოწყობიდან გამომდინარე, მაუწყებელს უპირატესად მოუწევს გამოწვევებზე რეაგირება, ვიდრე შესაძლებლობების სრული მაშტაბით ათვისება.

2020 წელს, მაუწყებელმა, შეცვალა გარკვეული მიდგომები და განსხვავებული შინაარსით მიუდგა ზოგიერთ, ტრადიციული ხასიათის ღონისძიებებს, რაც, შემდგომი განვითარების კვალობაზე, კარგ შედეგებს გამოიღებს აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინების კუთხით და ამავედროულად დაამკვიდრებს კარგ მმართველობით ტრადიციებს.

საანგარიშო წლისთვის, მაუწყებლის ბადე განახლდა და აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომი გახდა ახალი გადაცემები, რომელთა შინაარსის მრავალფეროვნება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მაუწყებლის საჯარო მანდატის შესრულებაში.

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სამაუწყებლო პოლიტიკა;

,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დაფუძნებასთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ცვლილებების შემდეგ, ბევრი ცვლილება შევიდა. თუმცა, იშვიათი გამონაკლისისა, არცერთი მათგანი არ ეხებოდა სამაუწყებლო მიმართულებების ცვლილებას. სამაუწყებლო პოლიტიკის ძირითადი განმსაზღვრელი სამართლებრივი ჩარჩო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონია, ხოლო საზოგადოებრვი მაუწყებლების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპი კი ასახულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტში: „კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისგან და თავისუფლებას, პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისაგან“. ცხადია, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს, ისევე, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის თავისუფლების დაცვის კონსტიტუციური გარანტია წარმოადგენს მაუწყებლების მყარი სამართლებრივი დაცვის წინაპირობას.

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიზანს, წარმოადგენს თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვა, საზოგადოებაში ასახული მრავალფეროვნების წარმოჩენა.

საანგარიშო წლის განმავლობაში, მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკის განმსაზღვრელი სამართლებრივ აქტებში ცვლილებები არ შესულა, ამდენად სამაუწყებლო პოლიტიკის საკანონმდებლო ჩარჩო კვლავ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი რჩება, სადაც გაწერილია მაუწყებლობის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც მოიცავს: პროგრამების მრავალფეროვნებას, აღნიშნული კი უნდა ეხებოდეს სხვადასხვა სფეროს და ასევე ორიენტირებული იყოს საზოგადოების კულტურული, ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური და ასაკობრივი მრავალფეროვნების წარმოჩენაზე. მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანალთლებლო შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის თანასწორობის დაცვა. მაუწყებელი ვალდებულია საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები და წინასაარჩევნო დებატები. საარჩევნო პერიოდში, სამართლებრივი რეგულაციების ჭრილში, მაუწყებელს ემატება საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული მედია მოთხოვნები, რაც ასევე სავალდებულოა შესასრულებლად. ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიმართულებების - ჩრდილო ატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის პოპულარიზაციაც სამაუწყებლო პოლიტიკის კანონისმიერი ვალდებულებაა.

ტრადიციულად, სამაუწყებლო პოლიტიკის განხორციელებაში, მნიშვნელოვანი იყო მაუწყებლობის დარგში არსებული სხვადასხვა ნორმატიული რეგულაციების გათვალისწინება, მათ შორის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის და საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის. მნიშვნელოვანია, რომ მაუწყებელი ამ მიმართულებით კონტროლის მექანიზმების შემუშავებაზე იყო ორიენტირებული რაც მოგვიანებით მრჩეველთა საბჭოს მიერ შემუშავებულ მიმდინარე კონტროლის პროცედურებშიც აისახა.

სამართლებრივ ვალდებულებებს მაუწყებლობის შინაარსთან დაკავშირებით თან ერთვის მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტები, რომელიც კანონის მოთხოვნებს ასახავს, აზუსტებს და განავრცობს. პროგრამული პრიორიტეტების შემუშავებისას, 2020 წელს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭომ, კანონმდებლობის თანახმად დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. 2020 წლის 22 მაისს გამოქვეყნდა პროგრამული პრიორიტეტების პროექტი, რომელიც შეიცავდა მოსაზრებების მრავალფეროვნებას. აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტების შემუშავების პროცესი დაემთხვა მთელ მსოფლიოში, და მათ შორის საქართველოში პანდემიის გავრცელების პირველ ტალღას და შესაბამისად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების მიმართ საზოგადოების ყურადღება მინიმალური იყო.

2020-2021 სამაუწყებლო წლების პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაში, წინა წლებისგან განსხვავებით, იყო მცირედით განსხვავებული მიდგომა, კერძოდ, მრჩეველთა საბჭომ, მიმდინარე პროგრამულ პრიორიტეტებში მიუთითა ის აუცილებელი თემები, რომელიც მაუწყებლის მიერ დაძლეული უნდა იყოს და აგრეთვე ის შედეგები, რომლებიც უნდა დადგეს აღნიშნული პროგრამული პრიორიტეტების რეალიზაციისას. არ ყოფილა დაკონკრეტებული დაგადაცემები, მათი ბადეში განთავსების კონკრეტიკა და მაუწყებლის რესურსების განაწილების პროპორცია. ამ მიდგომით მრჩეველთა საბჭომ, მაუწყებლის მენეჯმენტს დაუტოვა სრული დისკრეცია პროფესიული ხედვით პრიორიტეტების რეალიზაციის საქმეში, ასევე გაამყარა შემოქმედებითი თავისუფლების გარანტიები და დაიცვა პროგრამები მრჩეველთა საბჭოს მხრიდან შესაძლო მიკერძოების საკითხებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრიორიტეტების შემუშავება მიმდინარეობდა პანდემიის პირობებში, რომლის შედეგად მთელი მსოფლიო, მათ შორის საქართველო, ახალი რეალობის წინაშე დადგა. ამ რეალობამ, მომდევნო წლების განვითარებას სრულიად უცვალა კალაპოტი, გააჩინა უამრავი გამოწვევა და ასევე შესაძლებლობები, რომლებზეც ადექვატური რეაგირება დასჭირდება ყველა ინსტიტუციას. პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში, აუცილებელი გახდა როგორც სამაუწყებლო შინაარსის გადაწყობა და პერსპექტივაში დანახვა, ასევე მაუწყებლობის სტრუქტურის და მეთოდების ცვლილებაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, პრიორიტეტების თემატიკა და დინამიკა, მაქსიმალურად პანდემიის მიმართულებასთან და მისი შედეგების დაძლევასთან იქნა მისადაგებული.

პრიორიტეტების განსაზღვრისას, მრჩეველთა საბჭომ მიუთითა ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პრინციპების დაცვის მნიშვნელობაზე, და მე-16 მუხლის შინაარსობრივი ვალდებულებების გადაცემებში ასახვის აუცილებლობაზე, რითიც მოხდა, საკანონმდებლო მოთხოვნების სამაუწყებლო პოლიტიკაში ფორმალიზება.

მაუწყებლის 2020-2021 წლის პროგრამული პრიორიტეტების, როგორც სამაუწყებლო პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედის თემატური მიმართულებები მოიცავს მრავალ კომპონენტს, მათ შორის ყურადღება გამახვილებულია საზოგადოების ყველა ნაწილის, განსაკუთრებით კი მცირე ჯგუფების ინტერესთა დაცვაზე, თემატური პოლიტიკური და საზოგადოებრივი დებატების ორგანიზებაზე. მაუწყებლის ვალდებულებაა ხელი შეუწყოს საზოგადოებაში არსებული დაძაბულობის განმუხტვას და საზოგადოების კონსოლიდაციას. ყურადღება ეთმობა ბავშვთა უფლებების დაცვას და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განათლების, როგორც ფუნდამენტური მიმართულების წარმოჩენას, ასევე დეოკუპაციის საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება და მხარდაჭერა, მათ შორის ოკუპირებულ ტერიოტორიებზე ჰუმანიტარული საკითხების და ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმაციის გადაცემას. საგანგებო სიტუაციების დროს, მაუწყებლის ვალდებულება რჩება საზოგადოების დროული ინფორმირება, რასაც პანდემიის დროს მაუწყებელი ოპერატიულად ახერხებდა. საანგარიშო პერიოდის სამაუწყებლო მიმართულების ნაწილია ფეიკ ნიუსის გავრცელების შეჩერება და მისი ნეგატიური შედეგების ნეიტრალიზაცია, რაც მსოფლიო განვითარებული დემოკრატიებისთვისაც კი დიდი გამოწვევაა. არსებით თემატურ მიმართულებებში შედის რეგიონის ტურიზმის სექტორის და სოფლის მეურნეობის მიმართულების განვითარება, რაც ეკონომიკის პოსტ პანდემიური აღდგენის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ასევე ხაზგასასმელია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, რაც საზოგადოების კეთილდღეობის ძირითადი წყაროა. 2020 წლის პანდემიის ფონზე, სამაუწყებლო პოლიტიკის წამყვან მიმართულებად ჯანდაცვა და მასთან დაკავშირებული საკითხები რჩება, რომლებიც ასევე მოიცავს შრომის უსაფრთხოებასაც. მაუწყებელი ჯეროვან ყურადღებას უთმობს ისეთ ტრადიციულ მიმართულებებსაც, როგორებიცაა სამხედრო თემატიკა, გარემოს დაცვა, კულტურა, სპორტი, დოკუმენტალისტიკა და ა.შ

ცალკე აღსანიშნავია 2020 წლის საარჩევნო პროცესის გაშუქება და შეფასება. ტრადიცულად, მაუწყებელი ცალკე რესურსების მობილიზებას ახდენს საარჩევნო პროცესისთვის რაც დადებითად აისახება, როგორც საზოგადოების ინფორმირებულობის საკითხზე ისე, საარჩევნო პროცესის გაშუქებაზე და შედეგების შეჯამებაზე. მაუწყებლმა 2020 წლის არჩევნების გაშუქებისას ეთერი დაუთმო საარჩევნო სუბიექტებს თავიანთი წინასაარჩევნო პროგრამების წარმოჩენისთვის და უზრუნველყო საარჩევნო დებატების ორგანიზება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაუწყებელმა, ტრადიციულად, უფასო სარეკლამო დრო, გარდა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისა, დაუთმო აგრეთვე არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებსაც, რაც აღნიშნულია კიდეც ეუთოს (OSCE/ODHIR) საბოლოო ანგარიშშიც. ეუთოს საბოლოო ანგარიშში ასევე დადებითად არის შეფასებული აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ არჩევნების გაშუქების ტონი, რაც უდაოდ დადებითი მოვლენაა. ზოგადად, არჩევნების გაშუქების სხვადასხვა ანგარიშში, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მუშაობა დადებითად არის შეფასებული.

2. მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტები

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ინტერესების გათვალისწინებით და კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიმუშავებს სამაუწყებლო პოლიტიკის განხორციელების დოკუმენტს - პროგრამულ პრიორიტეტებს. საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის დღიდან, პრიორიტეტების შემუშავება ხდება ყოველწლიურად და მათი შესრულებაც ყოველწლიური გეგმის ნაწილია, თუმცა კანონი პრიორიტეტების უფრო ხანგრძლივი ვადით შექმნის შესაძლებლობასაც იძლევა და მრჩეველთა საბჭო 2020 წელსაც განიხილავდა და მომავალშიც განიხილავს ასეთ შესაძლებლობას.

2020-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების შემუშავებისას, მრჩეველთა საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტში წარმოდგენილი იყო მოსაზრებათა მრავალფეროვნება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პრიორიტეტების შემუშავება საზოგადოების მხრიდან ჩართულობას და დიდ ინტერესს, მითუფრო მოსაზრებების წარმოდგენას არასოდეს იწვევდა, პანდემიით გამოწვეული საყოველთადო კრიზისის და დაძაბულობის ფონზე კი, ამ პროცესმა ყოველგვარი გამოხმაურებების გარეშე ჩაიარა.

,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს ავალდებულებს პრიორიტეტების შემუშავება მოხდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, რაც თავის მხრივ წინასწარი პროექტის გამოქვეყნებას და შემდგომ ამ პროექტის ირგვლივ მსჯელობას ითვალისწინებს. შეჯერებული მოსაზრებების შემდეგ, საბოლოოდ, 2020-2021 წლის პროგრამულ პრიორიტეტები ტელევიზიის, რადიოს და ონლაინ მედიისათვის განისაზღვრა შემდეგნაირად:

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

2020-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტები

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს საზოგადოებრვი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დამოუკიდებლობის ინსტიტუციურ გარანტიებს, კერძოდ, მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-15 ე მუხლი განსაზღვრავს, რომ მაუწყებელი არის პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნით დაფუძნებული, საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი,

რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას. მაუწყებლის პირველი რიგის ამოცანაა კანონის ამ პრინციპების განუხრელი დაცვით მაუწყებლობის უზრუნველყოფა.

კანონმდებლობა აგრეთვე განსაზღვრავს მაუწყებლობის შინაარსობრივი ვალდებულებების ნაწილს, რომლების ასახული უნდა იყოს სამაუწყებლო ბადეში, კერძოდ, პროგრამული პრიორიტეტებთან ერთად მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16-ე მუხლით განსაზღვრული პროგრამების მომზადება და აუდიტორიისთვის მიწოდება და დაიცვას იმავე მუხლით განსაზღვრული სამაუწყებლო პრინციპები.

სარედაქციო პრინციპები

აუდიტორიის ნდობის მოსაპოვებლად, მაუწყებლობისას, განუხრელად უნდა იყოს დაცული კანონმდებლობაში ასახული და საერთაშორისოდ აღიარებული სარედაქციო პრინციპები, მათ შორის: მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა; სამართლიანობა და პატივისცემა; სიზუსტე და რელევანტურობა; ჰუმანიზმი და ანგარიშვალდებულება; ინტერესთა ჯგუფების გავლენებისგან თავისუფლება; ობიექტურობა და ბალანსი; გამჭვირვალობა. სარედაქციო მიდგომამ ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიის პლურალიზმის განვითარებას, საზოგადოების კონსოლიდაციას და ერთიანობას.

სამაუწყებლო პრინციპები

სარედაქციო პრინციპებთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი სამაუწყებლო პრინციპები: აუდიო-ვიზუალური კონტენტი უნდა მოერგოს ყველა სოციალური და დემოგრაფიული, კულტურული, ეთნიკური , რელიგიური თუ სხვა ჯგუფების ინტერესებს.; უზრუნველყოფილი უნდა იყოს სარედაქციო და შემოქმედებითი დამოუკიდებლობა; სამაუწყებლო ბადე უნდა იყოს მრავალფეროვანი; მაუწყებლობა უნდა იყოს შინაარსობრივად და ვიზუალურად მაღალი ხარისხის; მაქსიმალურად უნდა იყოს ათვისებული ინოვაციური მიდგომები და მეთოდები; მაუწყებლობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა არსებულ პლატფორმაზე.

მაუწყებლის შინაარსობრივი პრიორიტეტები

- ✓ მაუწყებლემა უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ყველა ნაწილის ინტერესების დაცვა, უნდა წარმოაჩინოს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მრავალფეროვნება, პოლიტიკური მიმართულებების, შეხედულებების, მოსაზრებების სიმრავლე, საზოგადოებაში არსებული ღირებულებები, ინტერესები და პრობლემები მათი განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით; მაუწყებელმა საეთერო დრო უნდა დაუთმოს პოლიტიკურ დებატებს, ეთერში ასახოს მოსაზრებათა მრავალფეროვნება და უზრუნველყოს, რომ ყველაზე მცირე ჯგუფის ინეტერესები და სათქმელი

მიწოდებული იყოს საზოგადოებისთვის. თემატური და კარგად ორგანიზებული დებატების მიმართულებით, მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი საკითხების აკადემიურ ფორმატში განხილვა, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში არსებული დაძაბულობის განმუხტვას. მაუწყებლის სადებატო პლატფორმებით ხელი უნდა შეეწყოს საზოგადოების კონსოლიდაციას აღიარებული სახელმწიფოებრივი და ჰუმანიზმის პრინციპების ირგვლივ. მაუწყებელი უნდა იყოს, მიმდინარე მოვლენების შესახებ სადისკუსიო სივრცე.

- ✓ მაუწყებელმა, მთავარი აქცენტი უნდა გააკეთოს ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვაზე, ადვოკატირება და პოპულარიზაცია გაუწიოს მოქალაქეთა უფლებების განუხრელ დაცვას, ყველა შესაძლებლობით გამოავლინოს უფლებების დარღვევის ფაქტები ან დარღვევის პოტენციური საფრთხეები, გამოიტანოს ეს საკითხები საზოგადოების სამსჯავროზე, გაზარდოს ხელისუფლების ანგარიშვალდებულება მსგავს საკითხებზე და ხელი შეუწყოს რეაგირების მექანიზმების ამოქმედებას. მაუწყებელმა უნდა გააშუქოს ბავშვთა უფლებები, ასახოს სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ ბავშვთა მდგომარეობა, ბავშვთა და მოზარდთა უკანონო შრომის, განათლების ხარისხის და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრობლემატიკა.
- ✓ მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს მრავალი პოზიციის თანაარსებობას, პოლიტიკურ გამჭვირვალობას, მოქალაქეთა მხრიდან გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას, სოციალური ტრადიციების პატივისცემას, ინდივიდუალური უფლებების დაცვას, საზოგადოებრივი თანხმობის გზების ძიებას, ინოვაციებისა და საზოგადოების ღიაობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, დემოკრატიულობისა და ჰუმანურობის ზრდას;
- ✓ მაუწყებელმა საკუთარ პროგრამებში უნდა წარმოაჩინოს განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი, კულტურული ჯგუფები, უნდა ასახოს ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება. ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები.
- ✓ პროგრამული პრიორიტეტებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, ასევე, საზოგადოების გრძელვადიანი და მოკლევადიანი ამოცანების გადასაჭრელად, მაუწყებელმა უნდა აწარმოოს პროაქტიური სოციალური რეკლამების კამპანია, რომელშიც ასახული იქნება პროგრამული პრიორიტეტებით განსაზღვრული მისაღწევი პარამეტრები, ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებისთვის აუცილებელ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას, საზოგადოების განწყობების და ქცევის პოზიტიურად შეცვლას ცალკეული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზოგადოების ოპერატიულ-მოკლევადიან და

სტრატეგიულ-გრძელვადიან საჭიროებებზე აქცენტირება და პრობლემების დაძლევაში ხელშეწყობა.

- ✓ მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასევე მთლიანად საქართველოსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მიმდინარე მოვლენების, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ და აწარმოოს ქვეყნის დეოკუპაციის საინფორმაციო კამპანია. მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციით საზოგადოების დროული უზრუნველყოფა მაუწყებლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია.
- ✓ საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, მაუწყებელმა მოქალაქეებს საშუალება უნდა მისცეს, გაეცნონ და მკაფიო წარმოდგენა შეიქმნან ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობაზე, ქვეყნისთვის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესებზე, ძირითად ორიენტირებსა და გამოწვევებზე. უნდა ასახოს სოციალური პრობლემები, განსაკუთრებული აქცენტით მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებსა და საჭიროებებზე, რიგითი მოქალაქის პრობლემები, მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ტერიტორიული მთლიანობის საკითხები, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არსებული ვითარება. უნდა აწარმოოს ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ გახმაურებული ამბებით/შემთხვევებით, არამედ უნდა იკვლევდეს ისეთ თემებს, რომლებიც კანონის უზენაესობას, ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას, ადამიანის უფლებების დარღვევებს, ან სახელმწიფოებრივად და საზოგადოებრივად აქტუალურ სხვა საკითხებს ეხება. საგანგებო სიტუაციის დროს უნდა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებისთვის და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირებისთვის საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინებებისა და სხვა ინფორმაციის გადაცემა. გონივრული პროპორციით უნდა დაუთმოს დრო უცხოეთის სიახლეებს;
- ✓ მაუწყებელმა სხვადასხვა გადაცემაში ყურადღება უნდა დაუთმოს საძალაუფლებო, ფინანსური, რელიგიური და სხვა ჯგუფების საზოგადოებისგან დაფარული ინტერესების გამოვლენას და მათ შესახებ მსჯელობას. მნიშვნელოვანია, რომ ცალკეული ჯგუფების ინტრესების ნეგატიური გავლენა საზოგადოებაზე მაქსიმალურად იყოს წარმოჩენილი და მაუწყებლის პროგრამული კონტენტის ხელშეწყობით გაიზარდოს ასეთი ჯგუფების ანგარიშვალდებულების ხარისხი საზოგადოების წინაშე. არცერთ ცალკე გავლენიან ინტერესთა ჯგუფს, არ უნდა მიეცეს საშუალება, გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე საზოგადოებისვე ინტერესების

საწინააღმდეგოდ. ასეთი ტიპის ინტერესები, სათანადო ოპერატიულობით უნდა იყოს წარმოჩენილი და განხილული შესაბამის გადაცემებში. მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა დაცულობა ყველა მომეტებული გავლენის მქონე სახელისუფლებო და კომერციული ჯგუფებისგან, გადაცემებში მუდმივად უნდა იყოს აქცენტი გაკეთებული ასეთ ინტერსებზე და მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი ასეთი ინტერესების გამჭვირვალობის სტანდარტი მაუწყებლის პლატფორმების მეშვეობით.

- ✓ თანამედროვე მსოფლიოში, ინფორმაციის გაცვლის ტექნოლოიგიების განვითარების და გლობალური საკომუნიკაციო სოციალური ქსელების განვითარებამ, შესაძლებლობებთან ერთად, გააჩინა ცრუ ინფორმაციის გავრცელების და საზოგადოებაზე ნეგატიური და დამაზიანებელი გავლენის მოხდენის საფრთხეები, რომელთა წინაშე, ხშირ შემთხვევაში, ყველაზე უფრო განვითარებული საზოგადოებებიც დაუცველები აღმოჩნდნენ. საქართველო, თავისი მცირე პოლიტიკური, ეკნომიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სრულად ღია და დაუცველია ფეიკ- ნიუსის ნეგატიური გავლენებისგან. პრინციპულად მნიშვნელოვანია, ფეიკ- ნიუსის საფრთხეების ნეიტრალიზების საქმეში, საზოგადოებრივი მაუწყებელი იყოს ავანგარდში და საზოგადოებისთვის იქცეს ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის მთავარ წყაროდ. მაუწყებელმა უნდა უზუნველყოს, საზოგადოებაში გავრცელების საწყის სტადიაზე მყოფი ან უკვე გავრცელებული ფეიკ- ნიუსების გამოვლენა, მათი წყაროს, მიზნობრიობის და სამიზნე ჯგუფის დადგენა, ასევე საზოგადოების ინფორმირება არა მხოლოდ ფეიკ-ნიუსის არსზე, არამედ მის პირველწყაროსა და გამავრცელებლის რეალური მიზნების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფეიკ- ნიუსებზე აქცენტის გაკეთება არჩევნების, პოლიტიკური ან სოციალური მოვლენების და სხვადასხვა საზოგადოებრივი დაძაბულობის პერიოდში, რადგანაც ასეთი ტიპის საინფორმაციო კამპანიები, ხშირად მტრულად განწყობილი პოლიტიკური ცენტრების და ქვეყნების ინტერესებს ემსახურება. მაუწყებელმა ფეიკ-ნიუსების საფრთხის შესახებ უნდა აწარმოოს საინფორმაციო კამპანია, მოახდინოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ფეიკ-ნიუსის კამპანიების არსებობის და მათი გავლენის შემცირების შესახებ, ასევე, ძალიან აქტიურად, ოპერატიულად გამოავლინოს ყველა ფეიკ-ნიუსი და აცნობოს ამის შესახებ საზოგადოებას. ფეიკ-ნიუსების სააფრხეების შემცირების მედიაკამპანიას, თან უნდა ახლდეს შესაბამისი ანალიტიკური დასკვნები, მათი გენეზისის და ბუნების, ასევე, საზოგადოებაზე ნეგატიური გავლენის პრევენციური ღონისძიებების შესახებ. ფეიკ-ნიუსის გამოვლენის კამპანიებში, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს რეაქციული და ექტრემისტული ჯგუფების, საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფების მიმართ სიძულვილის გამომხატველ, ანტიდასავლური რიტორიკის, ძალადობისკენ მომწოდებელ, ეთნიკური და რელიგიური შუღლის გამღვივებელ და სხვა საზოგადოებრივი საფრთხის შემცველ ნიუსებზე. მაუწყებელმა არ უნდა დაუშვას, რომ

ფეიკ- ნიუსის გავრცელებამ და მისმა შედეგებმა დაასწროს პრევენციულ საინფორმაციო მედიაღონისძიებებს.

- ✓ არჩევნების პერიოდში მაუწყებელმა , ყველა პოლიტიკურ ძალას და მოქალაქეთა გაერთიანებას უნდა შესთავაზოს საკუთარი ხედვების გადმოცემის და საარჩევნო პროგრამების სადისკუსიო პლატფორმა. მაუწყებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს კონკურენტული და თანაბარი წინასაარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას, ასევე, შეძლოს არჩევნების სამოქალაქო კულტურის ფორმირების ხელშეწყობა, საარჩევნო სისტემებზე აკადემიური მსჯელობის მოწყობა და საარჩევნო საკითხების პოპულარიზაცია საზოგადოებაში. მაუწყებლის ეთერი და სხვადასხვა პლატფორმა სათანადო დროით უნდა დაეთმოს წინასაარჩევნო პროგრამების განხილვას, მასში საზოგადოების ჩართულობას და პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობას.
- ✓ მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გაშუქება, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია, გააშუქოს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები, ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობები, ქვეყნის განვითარებაზე დასავლეთთან ინტეგრაციის დადებითი გავლენა, ასოცირების ხელშეკრულებით მიღებული შესაძლებლობები და სხვა.
- ✓ მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ევროინტეგრაციის არსის თემატური გაშლა და მიტანა ფართო საზოგადოებამდე. მაუწყებლის პროგრამებში უნდა ჩანდეს, რომ ევროინტეგრაცია ეს არ არის მხოლოდ კანონების მიღება, არამედ ესაა დემოკრატიული განვითარების პროცესი, ხოლო ამ პროცესის წარმატებით წარმართვა წარმოადგენს თვითონ შედეგს. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას, რომ ევროინტეგრაცია ნიშნავს გახდე ევროპული ოჯახის წევრი საკუთარი კულტურული იდენტობით. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ ფონზე, როცა ამ აზრის მოწინააღმდეგენი ევროპას წარმოაჩენენ მიუღებელი სახით, ქმნიან არასწორ წარმოდგენებს დასავლური ღირებულებების შესახებ, მოქალაქეებს თავს ახვევენ ჩვენი საზოგადოებისთვის მიუღებელ საკითხებს, როგორც ევროინტეგრაციისთვის თითქოსდა აუცილებელ პირობას, ხოლო ზოგნი მზად არიან, დააკნინონ ჩვენი ქვეყნის იმიჯი, დამახინჯებულად წარმოაჩინონ ჩვენი ტრადიციული მსოფლმხედველობა და მენტალიტეტი. ევროინტეგრაციის რეალური მიზნის, მისგან გამოწვეული სიკეთეების წარმოჩენა, მაუწყებლის მოვალეობაა;
- ✓ მაუწყებელმა პროგრამებში ყურადღება უნდა გაამახვილოს სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვაზე შედარებითი ანალიზის გამოყენებით.
- ✓ მაუწყებელმა ხელი შეუწყოს ტურისტული სექტორის პოპულარიზაციას, შიდა ტურიზმის გააქტიურებას. აჭარის რეგიონისთვის ტურიზმი ერთ-ერთი წამყვანი

დარგია, გლობალური პანდემიიდან გამომდინარე, ტურისტულ სექტორს მიადგა ყველაზე დიდი ზიანი. მაუწყებელმა, უნდა იზრუნოს ტურიზმის სექტორის შესახებ ფართო ფორმატის მსჯელობების გამართვზე და ხელი შეუწყოს ტურიზმის ინდუსტრიას არსებული პრობლემების გადაჭრაში. ასევე, სათანადო მედიაკონტენტით პოპულარიზაცია გაუწიოს რეგიონის და ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს, გამოავლინოს დარგში არსებული შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს დარგში დასაქმების საკითხებზე ყურადღების გამახვილებას. განხილული უნდა იყოს რეგიონის და ქვეყნის ტურისტული შესაძლებლობები და საზოგადოების ჩართულობით, სათანადოდ უნდა წარმოჩნდეს ტურიზმის ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ მოსაზრებათა მრავალფეროვნება.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი, დაცული მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება. აჭარის ტელევიზიამ და რადიომ სათანადო წესით და დოზით უნდა წარმოაჩინოს მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები, პროგრამებში იმსჯელოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შემაფერხებელ გარემოებებზე და საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლების და სპეციალიზებული ჯგუფების ჩართულობით ხელი შეუწყოს მეწარმეობის კულტურის, როგორც საზოგადოებრივი სიკეთის წყაროს განვითარებას. მცირე და საშუალო ბიზნესი, განსხვავებით მსხვილი ბიზნესისგან, არის ბიზნესის ის სეგმენტი, რომელსაც ყველაზე მეტად უჭირს საკუთარი უფლებების დაცვა და პრობლემების სათანადო წესით მიტანა სახელისუფლებო წრეებამდე, შესაბამისად, მაუწყებელმა, შესაბამისი პროპორციით უნდა მოახდინოს მცირე და საშუალო ბიზნესის ადვოკატირება და ხელი შეუწყოს სახელისუფლებო ჯგუფებთან მათი პრობლემების მიტანას.

მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის დამკვიდრებას. ბიზნესის სიციალური პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტი ხელს უწყობს საზოგადოების პრობლემების ადვილად მოგვარებას და ცხოვრების უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას, შესაბამისად, სამაუწყებლო სივრცე გახსნილი უნდა იყოს ასეთი მიმართულების მსჯელობისთვის და საზოგადოების ჩართულობით, მაუწყებელმა უნდა წარმოაჩინოს ასეთი შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს მათ პოპულარიზაციას. მაუწყებლის ეთერში აქტიურად უნდა შუქდებოდეს რეგიონისთვის დამახასიათებელი ეკონომიკის სექტორები, მათ შორის, საზღვაო და ეკოკულტურის მიმართულებები, ასევე, რეგიონის ლოჯისტიკური შესაძლებლობები. ეკონომიკური მიმართულების კონტენტში, ასევე, უნდა წარმოჩნდეს ბუნებრივი რესურსების მართვის საკითხები, განახლებადი ენერგიის, მყარი ბიომასის ნარჩენების მართვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობები. ყურადღება უნდა გამახვილდეს განახლებადი ენერგიების და ენერგოეფექტურობის პოპულარიზაციაზე.

მაუწყებლმა ყურადღება უნდა გაამახვილოს აჭარის რეგიონისა და ბათუმის პოლულარიზაციაზე, ბათუმის ურბანული განვითარების პრობლემატიკაზე, რეგიონის ბუნებრივი რესურსებისა და ტურისტული პოტენციალის შესაძლებლობების შესახებ,

მათ შორის საზღვაო რესურსის, საერთაშორისო სავაჭრო, ლოგისტიკური და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობაზე.

- ✓ განათლება და განათლებული საზოგადოება, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის საფუძველია. მაუწყებლის ეთერში მუდმივად უნდა ხდებოდეს განათლების თემების წარმოჩენა, ყურადღება უნდა გამახვილდეს, როგორც სკოლამდელი აღმზრდელობითი, ისე სასკოლო , პროფესიული და უმაღლესი განათლების საკითხებზე. მაუწყებლმა დიდი დოზით უნდა წარმოაჩინოს დაწყებითი და სასკოლო განათლების პრობლემები, იმსჯელოს უცხოურ საუკეთესო საგანმანათლებლო პრაქტიკაზე. მაუწყებელმა უნდა გამოავლინოს განათლების მიმართულებები , რომლებიც ხელს უწყობენ კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქის ჩამოყალიბებას. მაუწყებელმა ფართოდ უნდა წარმოაჩინოს განათლების მიმართულებაში მოსაზრებათა მრავალფეროვნება და, ექსპერტულ წრეებში დისკუსიის მოწყობით, ხელი შეუწყოს მნიშვნელოვანი კომპონენტების საგანმანათლებლო პოლიტიკაში. მაუწყებელმა ხშირად უნდა იმსჯელოს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ, ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებზე.
- ✓ ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის საკმაო ნაწილი სოფლის მეურნეობის სფეროშია დასაქმებული. სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით არსებული მდგომარეობა, ტრადიციული და ახალი დარგები, თანამედროვე მიდგომების დანერგვის პერსპექტივა, მაუწყებლის ერთ-ერთი პრიორიტეტია. წარმატებული, სამაგალითო ფერმერული მეურნეობები, სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანები, ინოვაციური მიდგომები პერიოდულად უნდა შუქდებოდეს მაუწყებლის მიერ; წარმოჩენილი უნდა იყოს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულების სიკეთეები.
- ✓ მსოფლიოში გავრცელებული პანდემიის ფონზე მნიშვნელოვანი გახდა ჯანდაცვაზე აქცენტის გაკეთება. ვითარებამ აჩვენა, რომ არა მხოლოდ თავად ჯანდაცვის სამეცნიერო საკითხები, არამედ მოქალაქეებში არსებული ჯანდაცვის კულტურა ადამიანების სიცოცხლის დაცვის მთავარი საშუალებაა. მაუწყებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ჯანდაცვის საკითხებს და მაქსიმალურად, ყველა რესურსით, უზრუნველყოს ამ საკითხების გაშუქება და აუდიტორიასთან ეფექტიანად მიტანა. ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა იყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია; ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ელემენტარული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; ჯანდაცვის საკითხების მიმართ სამოქალაქო თვითორგანიზების უნარების პოპულარიზაცია. პანდემიების და ჯანმრთელობის საფრთხეების საკითხებზე ეფექტური რეაგირება და საზოგადოების რეაგირების უნარების ჩამოყალიბება. ჯანდაცვის მიმართულების გადაცემებმა მაუწყებელმა სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს ჯანსაღი ცხვოვრების წესს და

სასურსათო უსაფრთხოების საკითხებს, ამ კუთხით საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს და მათი მოგვარების გზების წარმოჩენას. ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს სამუშაო გარემოს უსაფრთხოების და ჯანმრთელობისთვის საშიში გარემოს შესახებ საკითხების გამოვლენასა და წარმოჩენაზე.

- ✓ ქართულ მედიასივრცეში აჭარის ტელევიზია და რადიო, გამოირჩევა თავისი სამხედრო მიმართულების გადაცემით. მნიშვნელოვანია, სხვადასხვა სამაუწყებლო პლატფორმაზე სათანადრო ყურადღება დაეთმოს სამხედრო თემატიკის პოპულარიზაციას, გაძლიერდეს საქართველოს შეიარაღებული ძალების მიმართ საზოგადოების პოზიტიური განწყობების ხელშემწყობი მედიაკამპანიები და ხელი შეეწყოს პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას. მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო თავდაცვის საკითხების წარმოჩენა და სამოქალაქო თავდაცვის კულტურის ზრდა საზოგადოებაში. ყურადღება უნდა გამახვილდეს თავდაცვისა და უსაფრთხოების კუთხით მოქალაქეთათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებაზე და სათანადო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. წარმოჩენილი უნდა იყოს სამხედრო გმირობის მაგალითები და გადმოცემული ის ფაქტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა და სამხედრო მოსამსახურეთა საბრძოლო სულისკვეთების ზრდას.
- ✓ მაუწყებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ადამიანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების თანამედროვე გამოწვევებზე. ბუნების დაცვა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემები და სხვა ეკოლოგიური საკითხები უნდა გაშუქდეს როგორც გლობალური, ასევე საქართველოსა და კერძოდ აჭარის რეგიონის წინაშე მდგარი აქტუალური საკითხების წარმოჩენით. ამასთან, ეკოლოგიური პრობლემებით დაზარალებული მოსახლეობის ბედი, სახელმწიფო პოლიტიკა ეკომიგრანტებთან მიმართებაში, ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან აცილების გზები, მაუწყებლის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს;
- ✓ მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას. უნდა გააშუქოს კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში - ლიტერატურის, მხატვრობის, მუსიკის, თეატრის, კინოს და სხვა სახელოვნებო დარგებში მოღვაწე წარმატებული ადამიანები, მათი მიღწევები, თანამედროვე და ახლო წარსულში მოღვაწე ხელოვანები, კულტურისა და ხელოვნების სფეროში არსებული მდგომარეობა, ტრადიციები, სიახლეები; მაუწყებელმა უნდა წარმოაჩინოს საქართველოს, მათ შორის, განსაკუთრებით აჭარის რეგიონის უძველესი ჩვეულებები, ფოლკლორი, ყოფაცხოვრების ნიმუშები, დღემდე შემონახული სხვადასხვა მატერიალური და არამატერიალური ფასეულობები, თანამედროვეობის ისეთი ასპექტები, რომელიც დროთა განმავლობაში ისტორიულ ღირებულებას შეიძენს; მაუწყებლის სხვადასხვა პლატფორმაზე ასევე უნდა წარმოჩნდეს რეგიონის და ქვეყნის სხვადასხვა, მათ შორის

ძალიან მცირე, რელიგიური კონფესიები, საეთერო დრო დაეთმოს მათი ცხოვრების წესის, ტრადიციების და ადათ-ჩვევების წარმოჩენას, მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს კონფესიებს შორის დიალოგს და მათი მშვიდობიან, თანაარსებობას. მაუწყებელმა გადაცემებში უნდა ასახოს რეგიონის ეთნიკური მრავალფეროვნება, ხელი შეუწყოს ყველა ადამიანის მიმართ ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებას. ტელევიზიისა და რადიოს ეთერი უნდა დაეთმოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის და საგანძურის წარმოჩენას, პოპულარიზაციას და დაცვას. მაუწყებლმა უნდა მოახდინოს ასეთი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და დაარქივება.

- ✓ მაუწყებელმა ცალკეული პროგრამების საშუალებით უნდა ასახოს რეგიონის და ქვეყნის სპორტული ამბები, სპორტსმენების წარმატებები და მიღწევები. ეთერში ასახული უნდა იყოს სპორტული ინფრასტრუქტურა, სპორტული კლუბების და დარგების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები, წარმოჩენილი უნდა იქნას დარგში არსებული პრობლემები და ეთერი დაეთმოს მათი მოგვარების გზებზე საზოგადოებრივ დისკუსიას. მაუწყებელმა მაღალი ხარისხით უნდა გადასცეს სპორტული ღონისძიებები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ისეთი ღონისძიებების ტრანსლირებას, რომელიც იმართება რეგიონში. გადაცემებში უნდა წარმოჩნდნენ სპორტსმენები, მოთხრობილი იყოს ისტორიები მათ მიღწევებზე. მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდებში სპორტისადმი ინტერესის გაძლიერებას, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის და ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციას.
- ✓ დაავადებათა აფეთქებისა და მისი სწრაფად გავრცელების შემთხვევაში, მაუწყებელმა ოპერატიულად უნდა მიიღოს საგანგებო ზომები საზოგადოებისთვის საჭირო ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში მიწოდების უზრუნველსაყოფად, უნდა გაავრცელოს უახლესი ცნობები ეპიდემიის/პანდემიის და შესაბამისი პრევენციული ზომების შესახებ, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს კვალიფიციური სპეციალისტების რჩევები და რეკომენდაციები.
- ✓ დოკუმენტალისტიკა აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ტრადიციულად ძლიერი მხარეა. მაუწყებელმა სათანადრო რესურსი უნდა დაუთმოს დოკუმენტური კონტენტის წარმოებას, დოკუმენტალისტიკის მიმართულებამ ხელი უნდა შეუწყოს ისტორიის და აწმყოს შესახებ ფაქტების შეგროვებას და შემდგომი თაობებისთვის შენახვას. ტელევზიამ და რადიომ უნდა უზრუნვლეყოს დოკუმენტური-შემეცნებითი მიმართულების გადაცემების მრავალფეროვნება.

2020-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების მოიცავს თემატიკის ფართო სპექტრს და ასახავს საზოგადოების საჭიროებებს, როგრც პანდემიის ისე პოსტ პანდემიური პერიოდისთვის.

3. მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგი;

საანგარიშო პერიოდში განსაზღვრული ახალი 2020-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების შესაბამისად: 2020 წლის ტელევიზიის სამაუწყებლო ბადეში განთავსებული იყო შემდეგი გადაცემები:

საინფორმაციო გამოშვება ,,მთავარი"

გადაიცემა ყოველდღიურად 12:00, 15:00 და 18:00 სთ-ზე დღის გამოშვებები, 20:00 სთ-ზე მთავარი გამოშვება, ასევე აქტუალობის მიხედვით სპეციალური გამოშვებები. საინფორმაციო გამოშვება ,,მთავარი" უზრუნველყოფს აუდიტორიის დროულ და ყოველმხრივ ინფორმირებას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, და ქვეყნის სხვა რეგიონებში მიმდინარე მოვლენების, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ. ავრცელებს უცხოეთის სიახლეებს. დღის, მთავარი და სპეციალური საინფორმაციო გამოშვებების მეშვეობით სრულდება მაუწყებლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციით საზოგადოების დროული უზრუნველყოფა. პირდაპირი ჩართვების მეშვეობით რეპორტიორები გადმოსცემენ ინფორმაციებს და უთმობენ ეთერს რესპონდენტებს მოვლენათა ადგილებიდან. საინფორმაციო გამოშვებები აქტიურად აშუქებენ პოლიტიკური პარტიების ყველა აქტივობას, ბრიფინგებს, საპროტესტო აქციებს, სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის ინტერესებს, სახალხო დამცველის პოზიციებს ყველა პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით. საინფორმაციო პროგრამის მიერ აქტუალური საკითხების გაშუქებით წარმოჩნდება განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური, კულტურული ჯგუფები და მათი ინტერესები. ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით მოქალაქეებს მიეწოდებათ სრულფასოვანი ინფორმაცია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობის შესახებ. პროგრამებში სათანადო დრო ეთმობა ასევე სოციალურ პრობლემებს, ტერიტორიულ მთლიანობასა და ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული საკითხებს. გამოშვებებში გადაიცემა ინფორმაციები სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტურისტული, ურბანული საკითხების, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, ასევე კულტურისა და სპორტის შესახებ. პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციით საზოგადოების დროული უზრუნველყოფის, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის გაშუქების, ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების წარმოჩენის, უცხოეთის სიახლეების გავრცელების, საგანგებო სიტუაციის შესახებ ინფორმაციების გავრცელების, განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური,კულტურული, გენდერული და ასაკობრივი ჯგუფების ინტერესთა წარმოჩენის, სხვადასხვა სახელისუფლებო შტოს მუშაობის გაშუქების, სოციალურ პრობლემებსა და ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების შესახებ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუები:

საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუები გადაიცემა კვირაში ოთხჯერ. მათ შორის - ,,თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილთან ერთად" კვირაში ორჯერ, ,,სათქმელი ირინა ყურუასთან ერთად" კვირაში ერთხელ და ,,მთავარი აჭარაში ლაშა ზარგინავასთან ერთად" კვირაში ერთხელ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუები წარმოაჩენს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ მრავალფეროვნებას, პოლიტიკური მიმართულებების, შეხედულებების, მოსაზრებების სიმრავლეს. სამაუწყებლო დრო ეთმობა პოლიტიკურ დებატებს, გადაცემებში აისახება მოსაზრებათა მრავალფეროვნება. სტუდიაში მოწვევის, ან პირდაპირი ჩართვის გზით საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება ეძლევა ყველა პოლიტიკურ ძალას. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა და პოლიტიკოსთა ნებისმიერი აქტივობა, განცხადებები თავსდება ეთერში საუკეთესო დროს. საზოგადოებისთვის საინტერესო პოლიტიკურ საკითხებზე აზრს გამოთქვამენ როგორც ხელისუფლების, ასევე ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები, ხშირია სტუდიაში სამოქალაქო აქტივისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა სტუმრობა. მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუები ხელს უწყობს მრავალი პოზიციის თანაარსებობას, პოლიტიკურ გამჭვირვალობას. პროგრამის ერთ-ერთი მიზანია ასევე საზოგადოებაში არსებული დაძაბულობის განმუხტვა, საზოგადოების კონსოლიდაციის ხელშეწყობა. პროგრამები აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვაზე აქცენტის გაკეთების, მრავალი პოლიტიკური პოზიციის თანაარსებობის, საზოგადოების ღიაობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის, პოლიტიკური დებატების მოწყობისა და ცრუ ინფორმაციის ნეგატიური გავლენისგან საზოგადოების დაცვის მიმართულებით.

„არჩევნები 2020" (საარჩევნო თოქ-შოუ)

მაუწყებელმა საგანგებოდ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოამზადა და ეთერში განათავსა საარჩევნო თოქ-შოუ ,,არჩევნები 2020". პროგრამამ ყველა პოლიტიკურ ძალას შესთავაზა საკუთარი ხედვების გადმოცემისა და საარჩევნო პროგრამების სადისკუსიო პლატფორმა. ამ და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების საშუალებით წინასაარჩევნო პერიოდში მაუწყებელმა საკუთარ ეთერში შექმნა კონკურენტული და თანაბარი წინასაარჩევნო გარემო. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ფარგლებში მაუწყებელი კვლავ შესთავაზებს საზოგადოებას საგანგებოდ წინასაარჩევნო პერიოდისთვის განკუთვნილ პროგრამებს. პროგრამამ დააკმაყოფილა პროგრამული პრიორიტეტები წინასაარჩევნო პერიოდში შესაბამისი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისა და არჩევნების პოპულარიზაციის შესახებ.

სპეციალური რეპორტაჟი

პროგრამის მიზანია ჟურნალისტური გამოძიების წარმოება, ისეთი თემების გამოკვლევა, რომელიც კანონის უზენაესობას, ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას, ადამიანის უფლებების დარღვევას, ან სხვა აქტუალურ საკითხს ეხება.

2020 წელს მომზადდა სპეციალური რეპორტაჟები ვადაგადაცილებული მცირე სესხების დაფარვის სპეციალური პროექტის მიმდინარეობისას შექმნილი პრობლემების, საწვავის ხარისხის რეგულაციების დარღვევის, სამუშაოების ფარგლებში აფეთქებების შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების, სააფთიაქო ქსელში წამლების საეჭვო ხარისხისა და სხვა პრობლემატური საკითხების შესახებ. რეპორტაჟებში წარმოჩენილი იყო მომეტებული გავლენის მქონე ჯგუფების დაფარული ინტერესების ნეგატიური გავლენა საზოგადოებაზე და მისგან გამოწვეული მოსალოდნელი შედეგებისგან მოქალაქეთა დაცვის აუცილებლობა.

პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტს ჟურნალისტური გამოძიების წარმოებასთან დაკავშირებით.

დილისა და შუადღის გადაცემები

„დილის ტალღა“ დილის სტუდიური გადაცემა კვირაში ორჯერ, შაბათ-კვირას;

„ეს შუადღე“ შუადღის სტუდიური გადაცემა კვირაში ხუთჯერ, ყოველ სამუშაო დღეს. მისი წარმოება დაიწყო ახალი 2020-2021 წწ. სამაუწყებლო სეზონის დაწყებასთან ერთად.

„რადიოვიზია“ დილის სტუდიური გადაცემა კვირაში ხუთჯერ, ყოველ სამუშაო დღეს. მისი წარმოება შეწყდა 2019-2020 წწ. სამაუწყებლო სეზონის დასრულებასთან ერთად. „რადიოვიზია“ გადაიცემოდა რადიოსტუდიიდან, სატელევიზიო და რადიო ეთერში ერთდროულად. ასეთმა ფორმატმა არ გაამართლა, რაც საგრძნობლად აისახა მის დაბალ რეიტინგში. ეს გახდა პროგრამის შეწყვეტის მიზეზი. თემები და პროირიტეტები, რომელსაც მოიცავდა ეს პროგრამა, გადანაწილდა რადიოს დილის გადაცემაში, პროგრამებში „დილის ტალღა“ და „ეს შუადღე“. დილისა და შუადღის სტუდიური გადაცემები გამოირჩევა თემების მრავალფეროვნებით. სტუდიის სტუმრებთან დიალოგი პირდაპირ ეთერში, რუბრიკები და რეპორტაჟები წარმოაჩენენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტს პოლიტიკურ-ეკონომიკური თემების გარდა. პროგრამები აკმაყოფილებს პრიორიტეტების ისეთ ნაწილს, როგორიცაა კულტურის, განათლების, სპორტის, მედიცინის და სხვა სფეროებში მიმდინარე მოვლენები, სიახლეები, ამ სფეროებში მოღვაწე ადამიანები, პრობლემები და მათი დაძლევის გზები, ახალგაზდების ინტერესები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები, ქალაქისა და სოფლის ცხოვრება, ევროინტეგრაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები, მოსახლეობისთვის აქტუალური პროგრამები და პროექტები, ურბანული განვითარება, სოციალური შინაარსის სარეკლამო თემები, მასობრივ ღონისძიებათა

დაანონსება და სხვა. აუდიტორიის ინტერესებიდან და პროგრამული პრიორიტეტებიდან გამომდინარე დილისა და შუადღის გადაცემებს შეუძლიათ საკუთარ ფორმატში საგანგებოდ განათავსონ ნებისმიერი აქტუალური თემა.

„სპორტკლუბი“ (თოქ-შოუ სპორტის შესახებ)

პროგრამა ასახავს რეგიონის და მთლიანად ქვეყნის სპორტულ ამბებს, სპორტსმენების წარმატებებსა და მიღწევებს, გადაცემებში წარმოაჩენს დარგში არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებს. პროგრამა ხელს უწყობს ახალგაზდრებში სპორტისადმი ინტერესის გაძლიერებას, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციას. პროგრამის შემოქმედებითი ჯგუფის ჩართულობით ეთერში გადაიცემა სპორტული შეჯიბრებების ტრანსლაცია.

პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს სპორტული სიახლეებისა და სპორტის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გაშუქების, სპორტსმენებისა და მათი მიღწევების წარმოჩენის, ახალგაზრდებში სპორტისადმი ინტერესის გაძლიერების, სპორტული რეპორტაჟების ტრანსლირების შესახებ.

„მთავარი ეკონომიკაში“ (თოქ-შოუ ეკონომიკის შესახებ)

ეკონომიკის შესახებ პროგრამის განხორციელება დაიწყო 2020 წელს მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების უკეთ შესრულების მიზნით. იგი აშუქებს აქტუალურ ეკონომიკურ თემებს, მათ შორის წარმოაჩენს მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემებს, ხელს უწყობს მეწარმეობის კულტურის განვითარებას, ბიზნესისსოციალური პასუხისმგებლობის დამკვიდრებას. პროგრამა ძირითადად აშუქებს რეგიონისთვის დამახასიათებელ ეკონომიკის სექტორებს, პოპულარიზაციას უწევს ენერგიის განახლებად წყაროებს, ყურადღებას ამახვილებს ტურისტული სექტორის მხარდაჭერაზე, რეგიონისა და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციაზე, შიდა ტურიზმის განვითარებაზე, წარმოაჩენს ტურიზმის ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ მოსაზრებათა მრავალფეროვნებას, აქცენტს აკეთებს პოსტპანდემიური პერიოდის ეკონომიკურ გამოწვევებზე. პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს ეკონომიკური თემების გაშუქების, მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემების წარმოჩენის, ტურისტული სექტორის მხარდაჭერის, რეგიონისა და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის შესახებ.

„იმპულსი“ (თოქ-შოუ მედიცინის შესახებ)

პროგრამა აშუქებს მედიცინის სფეროში მიმდინარე სიახლეებს და პრობლემებს. 2020 წლის განმავლობაში პროგრამას საგანგებო რეჟიმში მოუხდა მუშაობა. კორონავირუსის პანდემიის პირველი ტალღის დროს გადაცემა ,,იმპულსი“ და მისი რუბრიკები გადაიცემოდა რეგულარულად, მას ეთმობოდა ჩვეულებრივზე მეტი დრო. ახალი ამბების გამოშვებებთან ერთად პროგრამა უწყვეტად აწვდიდა საზოგადოებას საჭირო ინფორმაციას, ავრცელებდა უახლეს ცნობებს პანდემიისა და შესაბამისი პრევენციული ზომების შესახებ, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს ხდიდა კვალიფიციური სპეციალისტების რჩევებსა და რეკომენდაციებს.

პროგრამა ფართოდ აშუქებს სხვადასხვა დაავადებებს, მკურნალობის მეთოდებს, სამედიცინო სფეროს პრობლემებსა და მიღწევებს. მისი ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ასევე ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ელემენტარული უნარჩვევების ჩამოყალიბება, პანდემიის და ჯანმრთელობის საფრთხეების საკითხებზე ეფექტური რეაგირება და საზოგადოებაში სათანადო უნარების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა. პროგრამა ყურადღებას უთმობს ჯანსაღ კვებასთან და სამუშაო გარემოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც.

პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს ჯანდაცვის საკითხების გაშუქების, პანდემიის დროს საჭირო ინფორმაციის გავრცელებისა და კვალიფიციური სპეციალისტების რჩევებისა და რეკომენდაციების საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის შესახებ.

„არტ-ექსპერტი“ (თოქ-შოუ კულტურის შესახებ)

პროგრამა აშუქებს კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესებს, სიახლეებს, პრობლემებს, წარმოაჩენს სახელოვნებო აქტივობებს, განიხილავს რეგიონში არსებული შემოქმედებითი ჯგუფების საქმიანობას, წარმოაჩენს ხელოვნებაში მოღვაწე ადამიანების წარმატებებს. 2020 წელს, პანდემიის პარალელურად კულტურის სფეროში არსებული გამოწვევები პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა. გადაცემას დაემატა რესპონდენტის პირდაპირ ეთერში ჩართვის კომპონენტი, რამაც გაზარდა გადაცემის სტუმართა გეოგრაფია. პირდაპირი ჩართვებით პროგრამამ შეძლო საინტერესოდ გაეშუქებინა უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ხელოვანების საქმიანობა, ესაუბრა იმ გამოწვევების შესახებ, რომელიც პანდემიის გამო კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების წინაშე დადგა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესების, გამოწვევებისა და მიღწევების შესახებ.

„ზუმი განათლებაზე“ (თოქ-შოუ განათლების შესახებ)

განათლების შესახებ პროგრამის განხორციელება დაიწყო 2020 წელს. პროგრამა წარმოაჩენს აქტუალურ თემებს განათლების სფეროს შესახებ, ყურადღებას ამახვილებს სკოლამდელ, სასკოლო, პროფესიული და უმაღლესი განათლების საკითხებზე, განიხილავს სასკოლო განათლების პრობლემებს, მსჯელობს უცხოურ საუკეთესო საგანმანათლებლო პრაქტიკაზე, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის აუცილებლობაზე, განათლების სისტემაში არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებზე. პროგრამა, როგორც აღვნიშნეთ, 2020 წელს დაიწყო. თავდაპირველად გადაცემები მზადდებოდა სტუდიის გარეშე, ჩანაწერის სახით. ახალი სამაუწყებლო სეზონის დაწყებიდან კი გადაცემა სტუდიური გახდა და იგი პირდაპირ ეთერში გადაიცემა. სტუდიის სტუმართან ერთად მაყურებელი ეცნობა რეპორტაჟებს. გადაცემა მოიცავს თემატურ რუბრიკას, სადაც წარმოდგენილია მშობლების, პედაგოგების, სტუდენტების, მოსწავლეების პოზიციები, კომპეტენტური სპეციალისტების რჩევები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ასევე მიმდინარე საინტერესო სიახლეები განათლების სფეროში. გადაცემის მიზანია აგრეთვე იპოვოს და წარმოაჩინოს საკუთარ პროფესიაში შემდგარი, წარმატებული ადამიანები, რომელთა პირადი ისტორია მოტივაციას მისცემს სხვებს. პროგრამამ მცირე დროში შეძლო ცნობადობის მოპოვება და საკმაოდ მნიშვნელოვანი აუდიტორიის შემოკრება სოციალურ ქსელში (5000-ზე მეტი გამომწერი), მზარდია უკუკავშირი. პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს განათლების შესახებ თემების პერიოდული გაშუქების შესახებ, ასევე აუდიტორიის ინტერესს განათლების რეფორმების, სასკოლო და საუნივერსიტეტო ცხოვრების მიმართულებით.

„ჰეშთეგი“ (თოქ-შოუ სოციალური თემატიკით)

პროგრამა აშუქებს აუდიტორიისთვის საინტერესო, პრობლემატურ საკითხებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან. მათ შორისაა ევროინტეგრაციის სიკეთეების წარმოჩენა, ტურიზმის სექტორის მხარდაჭერა, ახალგაზრდული პრობლემატიკა, ურბანული საკითხები და სხვა. 2020 წელს ორგანიზაცია „მერსი ქორფს“-თან შეთანხმების ფარგლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების მიზნით პროგრამამ მოამზადა არაერთი საინფორმაციო ვიდეორგოლი იმის შესახებ, თუ რა უნდა გაითვალისწინონ მომხმარებლებმა პროდუქტის შეძენისას. ამავე წელს, ამოქმედდა რუბრიკა - #იარემუზეუმში. რუბრიკის ფარგლებში მაყურებელს შესაძლებლობა მიეცა დისტანციურად დაეთვალიერებინა აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში არსებული ეთნოგრაფიული მუზეუმები. 2020 წელს აქტიურად დაიწყო ბლოგის ფორმატის ვიდეოკონტენტის მომზადება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „პანდემიურ ვიდეობლოგებს“, სადაც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, თავად ამზადებდნენ ვიდეორგოლებს გადაცემის ინტერნეტ-გვერდისთვის.

პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს სოციალური თემატიკის გაშუქების, ევროინტეგრაციის სიკეთეთა წარმოჩენის, ასევე აჭარის რეგიონისა და ბათუმის პოპულარიზაციის, ბათუმის ურბანული განვითარების საკითხზე ყურადღების გამახვილების მიმართულებით.

„ერთი დღე სოფელში“ (გადაცემა სოფლად ტრადიციული ყოფა-ცხოვრების შესახებ)

პროგრამის მიზანია წარმოაჩინოს საქართველოს, მათ შორის, განსაკუთრებით აჭარის რეგიონის უძველესი ჩვეულებები, ყოფაცხოვრების ნიმუშები, დღემდე შემონახული სხვადასხვა მატერიალური და არამატერიალური ფასეულობები, თანამედროვეობის ისეთი ასპექტები, რომელიც დროთა განმავლობაში ისტორიულ ღირებულებას შეიძენს. პროგრამა ხელს უწყობს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი და კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაციასა და განვითარებას. 2020 წელს პანდემიის გამო ვერ განხორციელდა გადაღება უცხოეთში, სრულყოფილად ვერ განხორციელდა გეგმა საქართველოს რეგიონებშიც. მიუხედავად ამ ხარვეზისა, პროგრამამ შეძლო ბევრი საინტერესო გადაცემა შეეთავაზებინა მაყურებლისთვის და შეენარჩუნებინა ლიდერის პოზიცია რეიტინგების მიხედვით.

პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარების ხელშეწყობის, უძველესი ჩვეულებების წარმოჩენის შესახებ, ასევე აუდიტორიის ინტერესს სოფლების ისტორიის, სოფლად ყოფაცხოვრებისა და ტრადიციული ყოფის დღემდე შემონახული ასპექტების გაცნობის შესახებ.

„ვემსახურები საქართველოს“ (სამხედრო გადაცემა)

პროგრამა ხელს უწყობს საქართველოს შეიარაღებული ძალების მიმართ საზოგადოების პოზიტიური განწყობისა და ზოგადად პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას. წარმოაჩენს სამოქალაქო თავდაცვის საკითხებს, ყურადღებას ამახვილებს თავდაცვისა და უსაფრთხოების კუთხით მოქალაქეთათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებაზე და სათანადო უნარ ჩვევების ჩამოყალიბებაზე. წარმოაჩენს სამხედრო გმირობის მაგალითებს, ხელს უწყობს სამხედრო მოსამსახურეთა საბრძოლო სულისკვეთების ზრდას. 2020 წელს პროგრამის ფარგლებში მომზადდა რამდენიმე ექსკლუზიური გამოშვება, მათ შორის ტრილოგია სპეციალური ოპერაციების ძალების საბრძოლო მყვინთავთა ასეულის შესახებ. პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს სამხედრო თემატიკისა და ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაციის შესახებ.

„ბუნების კანონი“ (გადაცემა გარემოს დაცვის შესახებ)

პროგრამა ყურადღებას ამახვილებს ადამიანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების თანამედროვე გამოწვევებზე. აშუქებს ეკოლოგიურ საკითხებს როგორც გლობალური, ასევე ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი რეგიონის წინაშე მდგარი აქტუალური თემების წარმოჩენით. წიაღის ეროვნული სააგენტო, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტი, გარემოს დაცვის სამინისტრო, ეროვნული სატყეო სააგენტო, გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი, ატმოსფერული ჰაერის დაცვის დეპარტამენტი - ეს იმ უწყებების არასრული ჩამონათვალია, რომელთა წარმომადგენლებმაც ,,ბუნების კანონის“ გუნდის კითხვებს უპასუხეს. პროგრამის მიზანი არა მხოლოდ პრობლემების გამოაშკარავება, არამედ გამოსავალის მიგნებაცაა. ყველა პრობლემატური თემის ამომწურავად დაძლევას პროგრამა მკვლევარებისა და აქტიური გარემოს დამცველების დახმარებით ახერხებს.

პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს ბუნების დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და სხვა ეკოლოგიური პრობლემების გაშუქების შესახებ.

„ეთნოფორი“ (გადაცემა ფოლკლორის შესახებ)

პროგრამა ახორციელებს ქართული ფოლკლორული ნიმუშების მოძიებას, ჩაწერას და გავრცელებას. პროგრამის ფარგლებში მომზადებული გადაცემები ეძღვნება როგორც ცალკეული ეთნოფორების, ასევე თვითმოქმედი შემოქმედებითი ჯგუფების მოღვაწეობას, ფოლკლორის ცნობილი, თუ უცნობი ნიმუშების პოპულარიზაციას. პროგრამამ მიაკვლია, გადაიღო და მაყურებელს შესთავაზა ყოფაში დღემდე დაცული უამრავი სასიმღერო ნიმუში. გადაცემებში ადგილი ეთმობა ეთნომუსიკოლოგების პროფესიულ ანალიზს, წარმოჩნდებიან ის ადამიანები, რომლებსაც საკუთარი წვლილი შეაქვთ საქართველოში ფოლკლორის კვლევაში, შენარჩუნებასა და განვითარებაში.

2020 წელს პანდემიის საწყის ეტაპზე, პროგრამამ აწარმოა ონლაინ-კამპანია სახელწოდებით #დარჩისახლში, სადაც ოჯახები, ანსამბლები თუ სოფლად არსებული მოყვარულთა გუნდები აგზავნიდნენ სელფ-ვიდეოებს მოწოდებით „დარჩით სახლში“. ამ კამპანიის ფარგლებში ასზე მეტი ნიმუში შეგროვდა არა მარტო საქართველოდან, არამედ მთელი მსოფლიოდან. მომზადდა ვიდეორგოლები უცხოეთში მცხოვრები ქართველებისა და უცხოელი შემსრულებლების ჩართულობით. ვიდეო ფაილები გადიოდა როგორც ტელევიზიის ეთერით, ასევე ვრცელდებოდა სოც.ქსელის და youtube არხის საშუალებით. მსგავსი აქტივობა ქართულ ტელესივრცეში არცერთი ტელევიზიის საშუალებით არ განხორციელებულა. ვიდეო ფაილებს სხვადასხვა ტელევიზიებიც იყენებდნენ თავის ეთერში.

პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს საქართველოსა და განსაკუთრებით აჭარის რეგიონში შემონახული უძველესი ჩვეულებების, ფოლკლორის ნიმუშების, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენის, პოპულარიზაციისა და დაარქივების შესახებ.

„მე ვარ ფერმერი“ (გადაცემა სოფლის მეურნეობის შესახებ)

პროგრამის მთავარი მიმართულებაა სოფლის მეურნეობაში არსებული ვითარების გაშუქება, ტრადიციული და ახალი დარგების, სამაგალითო ფერმერული მეურნეობების წარმოჩენა, თანამედროვე ინოვაციური მიდგომების პოპულარიზაცია.

2020 წელს პროგრამამ გააგრძელა თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორპს“-თან. ამ ორგანიზაციის სპეციალისტებთან საქმიანი თანამშრომლობის შედეგად უფრო სიღრმისეულად გაკეთდა აქცენტი მომხმარებლის უფლებებზე სურსათის უვნებლობის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში პროგრამამ მთავარი აქცენტი გააკეთა მოტივირებულ ახალგაზრდა ფერმერებზე, რომლებსაც შეაქვთ წვლილი სოფლის მეურნეობის განვითარებაში, აქვთ საკუთარი მეურნეობა, ან უნდათ, რომ განავითარონ დაწყებული საქმიანობა. 2020 წელს გადაცემამ მაყურებლებს გააცნო ის ადამიანები, რომლებმაც “მე ვარ ფერმერის” სხვადასხვა ეპიზოდის ნახვის შემდეგ, პროგრამის შემოქმედებით ჯგუფთან კომუნიკაციით თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთში დაიწყეს მათთვის ახალი ფერმერული საქმიანობა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა პროგრამის მაყურებელთა რაოდენობა და უკუკავშირი სოც. ქსელებში.

პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანების, დარგში არსებული ინოვაციური მიდგომების პერიოდული გაშუქების, სასოფლო-სამეურნეო დარგებისა და ფერმერული მეურნეობების პოპულარიზაციის შესახებ.

„სცენა“ (გადაცემა სახელოვნებო-საშემსრულებლო სფეროს შესახებ)

პროგრამა სახელოვნებო-საშემსრულებლო სფეროში მიმდინარე მოვლენებს ასახავს. მისი მიზანია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის, მეტწილად თეატრალური ცხოვრების გაშუქება. გადაცემებში წარმოჩნდება თანამედროვე და ახლო წარსულში

სახელოვნებო დარგში მოღვაწე ადამიანები, შემოქმედებითი კოლექტივები, მათი მიღწევები, დღევანდელობა, თეატრალურ სფეროში არსებული მდგომარეობა, ტრადიციები, სიახლეები.

2020 წელს პანდემიის გამო თეატრალური და მუსიკალური შემოქმედებითი ცხოვრება ჯერ შეჩერდა, შემდეგ ციფრულ პლატფორმაზე გადაერთო, დრამატული თუ საოპერო სპექტაკლები ონლაინ იმართებოდა. შესაბამისად პროგრამის გადაცემებში შეძლებისდაგვარად გაშუქდა ონლაინ სპექტაკლები. შემოღებული რეგულაციებიდან გამომდინარე, შემცირდა ცალკეულ გადაცემებში რესპონდენტების რიცხვი, მაგრამ, ამ გარემოებას შინაარსზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. გაშუქდა პანდემიიდან გამოსავლის ძიებაში შექმნილი პროექტი - „პიესების ონლაინ კითხვა“, არსებულ სიტუაციაზე მორგებული „მონოდრამის ფესტივალი“, ასევე გაშუქდა მუსიკოსების მცდელობა გაემართათ ონლაინკონცერტები. პროგრამის შემოქმედებით ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა დასწრებოდა ფოთის თეატრალურ ფესტივალს, რომელიც საგანგებო ვითარებაში ჩატარდა. შემსუბუქებულმა რეგულაციებმა შეოქმედებით ჯგუფს ახალციხეში გამგზავრების შესაძლებლობა მისცა, სადაც დრამატული და თოჯინების თეატრების ისტორიის შესახებ მომზადდა გადაცემები.

პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს კულტურული მრავალფეროვნების განვითარების ხელშეწყობის, სახელოვნებო-საშემსრულებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების წარმოჩენის შესახებ, ასევე აუდიტორიის ინტერესს თეატრალური ცხოვრების, თეატრალური სიახლეების გაცნობის მიმართულებით.

„ბიბლიოთეკა“ (გადაცემა ლიტერატურისა და წიგნების შესახებ)

პროგრამა აქტიურად აწვდის საზოგადოებას ლიტერატურის სამყაროში მიმდინარე ყველა სიახლეს, აშუქებს საერთაშორისო და ქართულ პრემიებს ლიტერატურის დარგში. 2020 წელს გააშუქა ბუკერისა და ნობელის პრემიები, ლინდგრენის პრემია და ეროვნული პრემიები „ლიტერა,“ „საბა“, „წინანდალი“. გადაცემამ უმასპინძლა არაერთ საინტერესო სტუმარს. პირველი ლოქდაუნის განმავლობაში გადაცემის გუნდი ონლაინ რთავდა სტუმრებს და ამ გზით აჯამებდა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს ლიტერატურულ სამყაროში, როგორიც იყო, მაგალითად, წიგნის პირველი ონლაინ ფესტივალი. გადაცემამ დიდი დრო დაუთმო ქართული წიგნის ბიზნესის, გამომცემელთა და წიგნის გამავრცელებელთა პრობლემებს. შეზღუდვების შემსუბუქების შემდეგ გადაცემას ჰყავდა არაერთი საინტერესო სტუმარი, როგორც თბილისიდან, ასევე აჭარის რეგიონიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო გადაცემაში პროფესორის, ანტიკური ლიტერატურის მკვლევარისა და მთარგმნელის, ნანა ტონიას სტუმრობა. მოვიწვეული იყო ყველა ადგილობრივი ავტორი, რომელმაც ამ პერიოდში წიგნები გამოსცა (თამაზ მჟავანაძე, თინათინ ბერიძე და ა.შ.). პროგრამამ მიმოიხილა 2020 წლის ყველა მნიშნელოვანი გამოცემა, ახალი თარგმანი და ქართველ ავტორთა ნაწარმოებები. მნიშვნელოვანია პროგრამის ფარგლებში წარმოებული საბავშვო რუბრიკა, რომელიც

გათვლილია ბავშვებისათვის და სათანადო სპეციფიკით დრო ეთმობა ახალი საბავშვო გამოცემების განხილვას.

პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტს ლიტერატურის პოპულარიზაციის შესახებ.

„თეთრი კვადრატი“ (გადაცემა კინემატოგრაფის შესახებ)

პროგრამა წარმოაჩენს ყველა დროის ქართველ და უცხოელ კინემატოგრაფისტებს, კინოს ისტორიასა და დღევანდელობას. პროგრამის ყოველი გადაცემა მოიცავს საავტორო მხატვრულ ფილმს, რომელსაც შესავლის შემდეგ წარუდგენენ მაყურებელს. პროგრამის მიზანია ასევე საქართველოში გამართული კინოფესტივალების გაშუქება. გარდა ამისა ვრცელი რეპორტაჟების მომზადება იმ უცხოური კინოფესტივალებიდან, სადაც ქართველ რეჟისორთა ნამუშევრებია წარმოდგენილი.

2020 წელს პანდემიის გამო საგრძნობლად შეიცვალა პროგრამის გეგმები, ვერ შედგა ბევრი დაგეგმილი გადაღება. თუმცა პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საუკეთესო საავტორო ფილმებისა და საინტერესო სტუმრების წყალობით გადაცემას აქტუალობა და რეიტინგი არ დაუკარგავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ქართველი რეჟისორების (ელდარ შენგელაია, რეზო ესაძე, გიორგი შენგელაია) უახლესი ნამუშევრების საპრემიერო ჩვენება გადაცემის ფარგლებში, ასევე პანდემიის პერიოდში გარდაცვლილ ქართველ კინემატოგრაფისტებზე მომზადებული გადაცემა.

პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს კულტურული მრავალფეროვნების განვითარების ხელშეწყობის, კინემატოგრაფში მოღვაწე ადამიანების წარმოჩენის შესახებ, ასევე აუდიტორიის ინტერესს ქართული და უხოური საავტორო ფილმების მიმართ.

„უცხო სუნელი“ (კულინარიული გადაცემა)

პროგრამა მაყურებელს ბიუჯეტური და ჯანსაღი საკვები პროდუქტის ოპტიმალურ გამოყენებას სთავაზობს, აცნობს სამზარეულოს საინტერესო ასპექტებს. პროგრამა განსაკუთრებით დიდ ადგილს უთმობს აჭარის, ასევე საქართველოს სხვა რეგიონების ტრადიციული სამზარეულოს წარმოჩენას, გეგმავს და ახორციელებს კულინარიულ ექსპედიციებს. 2020 წელს პანდემიის პირობებში პროგრამამ მოამზადა სპეციალურ გადაცემათა ციკლი სახელწოდებით ,,დარჩი სახლში“.

პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისა და ეთნიკური ტრადიციების მრავალფეროვნების წარმოჩენის შესახებ, ასევე აუდიტორიის ინტერესს კულინარიული მრავალფეროვნების თაობაზე.

„პროექცია“ (გადაცემა წარმატებულ ადამიანებზე)

პროგრამა მიზნად ისახავს საკუთარ სფეროში წარმატებული ადამიანების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას, მათი შრომისმოყვარეობისა და ნიჭის წარმოჩენას, წარმატების მომტანი პირველი ნაბიჯების პოპულარიზებას. პიროვნების გაცნობასთან ერთად პროგრამა გვაცნობს ამა თუ იმ სფეროში მიმდინარე მოვლენებს, აქტუალურ თემებს.

,,პროექციამ“ წლების განმავლობაში საზოგადოებას გააცნო ადამიანები, რომლებიც სხვადსხვა სფეროში მოღვაწეობენ და ისინი ფართო წრეებში ნაკლებად პოპულარულები იყვნენ, ამით პროგრამამ ხელი შეუწყო მათ პროფესიულ საქმიანობას. გადაცემებში ხშირად ეთმობა დრო საზოგადოებისთვის მეტად მნიშვნელოვან, ზოგჯერ მტკივნეულ თემებს, რითაც პროგრამა ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. არანაკლებ მნიშვნელოვანია პოლიტიკური და მმართველი წრეების წარმომადგენლების პიროვნული პორტრეტების შექმნა, მათი სხვა რაკურსების ძიება, რასაც „პროექცია“ თავის ამოცანად თვლის.

პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს და აუდიტორიის ინტერესებს საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში მიმდინარე აქტუალური პროცესებისა და ამავე სფეროებში მოღვაწე წარმატებული ადამიანების მიღწევათა წარმოჩენის მიმართულებით.

,,სახალხო კონტროლი” (გადაცემა მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ)

პროგრამა გვაცნობს სავაჭრო და კვების ობიექტებზე არსებულ მდგომარეობას, ხარვეზებს და წარმატებებს, ზრუნავს მომხმარებელთა უფლებების მიმართულებით აქტუალური თემების გაშუქებაზე. პროგრამის განხორციელება აჭარის ტელევიზიით 2020 წელს დაიწყო. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებამ დიდი ინტერესი გამოხატა გადაცემის მიმართ, მაღალია უკუკავშირი სოციალურ ქსელებში. გადაცემა რეიტინგით გაუტოლდა ტრადიციულად ლიდერ სხვა გადაცემებს.

პროგრამა მოიცავს სრულ სამომხმარებლო სფეროს: სურსათის უვნებლობა (კვების ობიექტები, ბაზრები, მაღაზიები, საწარმოები), მედიცინა (კლინიკები, სტომატოლოგიური კაბინეტები, აფთიაქები), სკოლები და ბაღები, მომსახურეობის სფერო (ესთეტიკ-ცენტრები, სილამაზის სალონები, ტექნიკის სერვის-ცენტრები, ავტოგასამართი სადგურები).

პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტს მომხმარებელთა უფლებების დაცვის თაობაზე, სურსათის უვნებლობის პრობლემატიკაზე, ასევე აუდიტორიის ინტერესს სავაჭრო და კვების ობიექტებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

2020 წლის რადიოს საეთერო სეზონი:

საანგარიშო პერიოდისთვის რადიოეთერისთვის მომზადდა გადაცემები შემდეგი თემატიკით:

1. **დილის რადიო** - ახალი ამბები; სოციალური რეკლამა; ადამიანის უფლებები; ფეიკ-ნიუსებისგან დაცულობა; ნატოში ინტეგრაცია; ევროინტეგრაცია; სამოქალაქო; პოლიტიკური, ეკონომიკური; სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა; ტურიზმი, მცირე და საშუალო ბიზნესი; ეკონომიკა; განათლება; ჯადაცვა; ეკოლოგია; კულტურა; ტრადიციები; ფოკლორი; არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა; გამოჩენილი ადამიანები; წარმატებული ადამიანები; სპორტი; ახალგაზრდობა; პანდემბიის წინააღმდეგ ბრძოლა;

2. საღამო მშვიდობისა - კულტურა; ტრადიციები; ფოკლორი; არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა; გამოჩენილი ადამიანები; ადამიანის უფლებები, პლურალიზმი; განსხვავებული ჯგუფები, სოციალური რეკლამა; ფეიკ-ნიუსებისგან დაცულობა; ნატოში ინტეგრაცია; ევროინტეგრაცია; სამოქალაქო; პოლიტიკური; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა; განათლება; ეკოლოგია;

3. კონტაქტი - ადამიანის უფლებები; პლურალიზმი; სოციალური რეკლამა; საშინაო და საგარეო პოლიტიკა; მოწყვლადი ჯგუფების პრობლემები; ხელისუფლების ანგარიშვალდებულება; გავლენის მქონე ჯგუფებისგან საზოგადოების დაცულობა; ფეიკ-ნიუსებისგან დაცულობა; ნატოში ინტეგრაცია; ევროინტეგრაცია; სამოქალაქო, პოლიტიკური, სოცილაური და კულტურული უფლებების დავცა; ტურიზმი, მცირე და საშუალო ბიზნესი, ეკონომიკა; განათლება; სოფლის მეურნეობა; ჯანდაცვა; სამხედრო საქმე; ეკოლიგია; კულტურა; ტრადიციები; ფოლკლორი; არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა; გამოჩენილი ადამიანები;

4. ღია ეთერი - ადამიანის უფლებები; განსახვავებული ჯგუფები; საბავშვო თემატიკა; განათლება; სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა; პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლა;

5. სპორტი - სპორტი, ახალგაზრდობა;

6. შუა დღის ზოლი - კულტურა, ტრადიციები, ფოლკლორი, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, გამოჩენილი ადამიანები, წარმატებული ადამიანები, ადამიანის უფლებები, პლურალიზმი, განსხვავებული ჯგუფები, სოციალური რეკლამა, ფეიკ-ნიუსებისგან დაცულობა, ნატოში ინტეგრაცია, ევროინტეგრაცია, სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა, განათლება, ეკოლოგია.

7. კომპეტენტური პასუხი - საზოგადოებრივ-პოლიტიკური; ევროპული სტანდარტები და ევროინტეგრაცია; სოციალური, ეკონომიკური;

8. ჩვენ და თვითმმართველობა - პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლა; ეკოლოგია; სოფლის მეურნეობა; ჯანდაცვა; ტურიზმი; მცირე და საშუალო ბიზნესი; ეკონომიკა; სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა; ევროინტეგრაცია; ნატოში ინტეგრაცია; სოციალური რეკლამა; პოლიტიკა; საზოგადოება;

9. ეკო სამყარო - ეკოლოგია;

10. რადიო ბაქანი - განათლება; კულტურა, ტრადიციები, ფოლკლორი, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა; გამოჩენილი ადამიანები; წარმატებული ადამიანები;

11. FM-ფანტაზიები - კულტურა, ტრადიციები, ფოკლორი. არამატერიალური კულტურული მემკვიდრება, გამოჩენილი ადამიანები, წარმატებული ადამიანები, ადამიანის უფლებები, პლურალიზმი, განსხვავებული ჯგუფები, სოციალური რეკლამა, ფეიკ-ნიუსებისგან დაცულობა. ევროინტეგრაცია, სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა, განათლება, ეკოლოგია.

მაუწყებლის მიერ შექმნილი სატელევიზიო და რადიო პროდუქცია წარმოაჩენს მრავალფეროვან მსოფლმხედველობას, პოლიტიკურ თვალთახედვებს და ინტერესებს. გადაცემებში სათანადო ყურადღება ეთმობა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის მნიშვნელოვან თემებს, პრობლემებს ინტერესებს. წარმოაჩენს მრავალფეროვან კულტურას და თვალთახედვას, ადგილობრივ და მსოფლიო ტენდენციებს.

4. დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლები;

• ქართული მწერლობის თემაზე შემეცნებით საგანმანათებლო პროგრამათაშორისი - 16 არტი „ჩვენი საუნჯე“ (ა(ა)იპ „არტბრიჯი 2015“ ს/კ 419994723);

•პროგრამათაშორისი შიდა ტურიზმის თემაზე -12 არტი (ი/მ ლაშა ფალავანდიშვილი 61001058853);

• სერიალი „ერთხელ ბათუმში“ – 24 სერია (ა(ა)იპ „მაკრო„ ს/ნ 445536402)

• საბავშვო გასართობ-შემეცნებითი გადაცემა - 16 გადაცემა „ქვიშის დრო“ (შპს „მართე ქართული„ ს/კ 400275714)

5. საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგები

2020 წლის სამაუწყებლო სეზონისთვის აჭარის ტელევიზია და რადიო საზოგადოებრივი აზრის კვლევა ტრადიციული მეთოდებიდან მხოლოდ ერთით - სოციოლოგიური კვლევით განახორციელა. სატელევიზიო რეიტინგების სერვისის შეძენა საქართველოს ბაზრის გარკვეულმა თავისებურებებმა შეაფერხა. ამგვარად, ერთის მხრივ, მაუწყებელი ეყრდნობიდა საჯარო სივრცეში გამოქვეყნებულ ღია მონაცემებს, რომლებიც თავის მხრივ შეზღუდული ანალიზის შესაძლებლობას იძლეოდა. რეიტინგების მთვლელების ზოგადი ანალიზით მაუწყებლის ყურებადობის სურათი არსებითად უცვლელია, თუმცა იგრძნობა პოზიციების ოდნავ გაუმჯობესება წინა წლებთან შედარებით. აქვე იკვეთება, რომ მაუწყებლის ყურებადობაში და პოზიციებში მკვეთრი მერყეობა, არხის არასტაბილურ მაყურებელთა დიდი პროპორციით არის განპირობებული. გადაცემების შეფასებისას, სურათი ასევე ძირითადად უცვლელია. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ზოგიერთი ახალი გადაცემის მაღალი რეიტინგი.

2020 წელს მაუწყებლის დაკვეთით ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის კვლევა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით. კვლევის მიზანი იყო მაუწყებლის შინაარსის საზოგადოების მოთხოვნილებებთან, ინტერესებთან, ღირებულებებთან და შედეგებთან შესაბამისობის განსაზღვრა, აგრეთვე იმ მოლოდინების იდენტიფიკაცია, რომლებსაც აჭარის

მოსახლეობა საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციონირებას უკავშირებს. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ შერჩეულ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოქალაქეები, კერძოდ, გამოიყო 18-30, 31-50 და 51 და მეტი ასაკობრივი კატეგორიის ჯგუფები. სტრატიფიკაცია განხორციელდა მუნიციპალიტეტების მიხედვით და გამოიყო ექვსი სტრატა:

1) ქ. ბათუმი;
2) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი;
3) ქობულეთის მუნიციპალიტეტი;
4) ხულოს მუნიციპალიტეტი;
5) ქედის მუნიციპალიტეტი;
6) შუახევის მუნიციპალიტეტი.

შერჩევის მოცულობაში, ასაკობრივი ჯგუფების გარდა, გათვალისწინებული იქნა სქესიც. სამიზნე მოცულობიდან შერჩევაში რესპოდენტთა მოხვედრისას, ამ ფაქტორის პროპორციების გათვალისწინება მოხდა 2014 წლის საყოველთაო აღწერის საფუძველზე.

გარდა ამისა, შერჩევის მოცულობაში მოხვდა როგორც ურბანული დასახლებების (ქალაქი/დაბა) მცხოვრებლებს, ასევე სოფლად მცხოვრებ რესპოდენტებიც, რამაც გაზარდა კვლევის რეპრეზენტატულობა რეგიონის მასშტაბით.

წარმოდგენილი დიზაინის გათვალისწინებით, აჭარის რეგიონის 6 მუნიციპალიტეტიდან შერჩევაში მოხვდა 203 უბანი. თითო უბანზე გამოსაკითხად შეირჩა 5 რესპოდენტი. ჯამურად გამოსაკითხ რესპოდენტთა რაოდენობა შეადგენდა **1017** ერთეულს.

ინტერვიუების რაოდენობა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

მუნიციპალიტეტი	**ინტერვიუების რაოდენობა**
ბათუმი	**351**
ქობულეთი	**230**
ხელვაჩაური	**244**
ქედა	**53**
შუახევი	**51**
ხულო	**88**
სულ	**1017**

რაც შეეხება კვლევის შინაარსობრივ მხარეს, სიახლე 2020 წლის კვლევებში იყო ის, რომ მრჩეველთა საბჭომ, გარდა ტრადიციული შეფასებებისა, დაუკვეთა ტელევიზიისა და რადიოს გავლენების და გადაცემების მიხედვით მაყურებელთა ქცევის ცვლილების პარამეტრები, ასევე გამოიკვლია რამდენად იცვლებოდა მაყურებლის დამოკიდებულება გარკვეული საკითხების მიმართ, კონკრეტული კონტენტის ნახვის / მოსმენის / წაკითვის შემდეგ; რა გავლენას ახდენს ფეიკ - ნიუსი აუდიტორიაზე; უდგება თუ არა აუდიტორია კრიტიკულად გადმოცემულ მასალას და ა.შ. მრჩეველთა საბჭო, მის ხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით მომავალშიც გააგრძელებს სიღრმისეული კომპონენტების გამოკვლევას.

სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, სატელევიზო ყურებადობის ბლოკში, რესპოდენტებს ერთზე მეტი არხის არჩევის შესაძლებლობა ჰქონდათ, რამაც საბოლოო ჯამში, წინა კვლევებისგან თვისობრივად განსხვავებული შედეგები აჩვენა. რესპოდენტთა უმრავლესობა ძირითადად 4 სატელევიზიო არხს უყურებს (აჭარის ტელევიზია, „იმედი“, მთავარი არხი, „რუსთავი 2“). აღნიშნულ არხებზე გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა სხვადასხვა სახის კონტენტს უყურებს. რესპოდენტთა დაახლოებით მესამედი აჭარის ტელევიზიაზე უყურებს ახალ ამბებს, გასართობ და შემეცნებით გადაცემებს. ამასთან, ტელევიზიას გამოკითხულთა 33.10% ენდობა. აღსანიშნავია, რომ რომ რესპოდენტთა ნაწილი უყურებს რუსული, თურქული და სხვა უცხოური არხების კონტენტსაც.

რესპოდენტთა 29% სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ მედია-საშუალებების მიერ გაშუქებული ინფორმაცია ძირითადად სანდოა და ასახავს ობიექტურ რეალობას. აღნიშნულ მოსაზრებას რესპოდენტთა 38.9% ნაწილობრივ ეთანხმება, 22% ნაწილობრივ არ ეთანხმება, ხოლო 5.9% საერთოდ არ ეთანხმება მას.

რესპოდენტთა 39% ეთანხმება დებულებას, რომ მედია-საშუალებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათ უყალიბდებათ წარმოდგენა ამა თუ იმ საჯარო პიროვნების შესახებ. გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილი, კერძოდ კი 57% - სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმება წარმოდგენილ დებულებას. რესპოდენტთა ეს ნაწილი მედია საშუალებებს არ ეყრდნობა იმისთვის რომ წარმოდგენა შეექმნათ საჯარო პიროვნებების მიმართ.

გამოკითხულ რესპოდენტთა 43% ფიქრობს, რომ მათ შეუძლიათ ფეიკ-ნიუსის/ყალბი ახალი ამბავის იდენტიფიკაცია. რესპოდენტთა უმრავლესობის აზრით კი, (52%) მათ არ შეუძლიათ ყალბი ახალი ამბავის იდენტიფიკაცია. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მაყურებელთა უმეტესობა სათანადოდ ვერ ან არ ახდენს მედიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტის შემოწმებას. გამოკითხულთა 41.2% უპირატესობას დაბალანსებულ ეთერს ანიჭებს, 21.30% კი კრიტიკულს გადაცემის შინაარსი რესპოდენტთა 57.1% აზრით I პრიორიტეტია, მეორე პრიორიტეტი რესპოდენტთა 33.9% აზრით თემის აქტუალობაა. ვიზუალურ მხარეს მესამე პრიორიტეტად გამოკითხულთა 28% ასახელებს. 38.2% აზრით კი მეოთხე პრიორიტეტი გადაცემის წამყვანის სანდოობაა. რესპოდენტთა 38.2% მეხუთე პრიორიტეტად გადაცემის მონაწილეთა კომპეტენციას ასახელებს, ხოლო გამოკითხულთა 52.3% თვლის რომ მე-6 პრიორიტეტია კონტენტის სატელევიზიო ბადეში განთავსების დრო.

აჭარის ტელევიზიას ყოველდღე გამოკითხულ რესპოდენტთა მხოლოდ 31% უყურებს. რესპოდენტთა 28% ტელევიზიას კვირაში რამდენჯერმე უყურებს, 12% თვეში რამდენჯერმე, ხოლო 30% უფრო იშვიათად ვიდრე თვეში რამდენჯერმე. საინტერესოა ის დეტალიც, რომ აჭარის ტელევიზია ახალი ამბების ერთ-ერთ წყაროდ იმაზე მეტმა რესპოდენტმა (55.7%) დაასახელა. ანუ არხი ინფორმაციის წყაროს იმ მაყურებლებისთვისაც წარმოადგენს, ვინც ტელევიზიის ყოველდღიური მაყურებელი არ არის, თუმცა არხის მიერ გადმოცემული ინფორმაციას კვირაში რამდენჯერმე მაინც ეცნობა. გამოკითხულთა 58% აჭარის ტელევიზიას იმიტომ არ უყურებს უფრო ხშირად რომ მათ არ მოსწონთ არხის გადაცემები/პროგრამები, 21% აცხადებს რომ არხი არ არის ოპერატიული, 18%-ის აზრით კი მიზეზი თუ რატომაც აჭარის ტელევიზიას რეგულარულად არ უყურებენ, ის არის რომ მათ არ მოსწონთ ჟურნალისტთა კვალიფიკაცია. მხოლოდ 3% აცხადებს რომ არხი არ არის ობიექტური. გამოკითხულთა დაახლოებით 15% ფიქრობს რომ ტელევიზია არ არის კრიტიკული, 13.20% აზრით კი არხი ტენდენციურია. გამოკითხულთა 68% იზიარებს მოსაზრებას, რომ აჭარის ტელევიზია დამოუკიდებელი ტელევიზიაა, ის ობიექტურად აშუქებს ქვეყანაში და აჭარის რეგიონში მიმდინარე პროცესებს, ამასთან ის გამოხატავს რეგიონში არსებული ყველა ჯგუფის ინტერესებს, არ არის მიკერძოებული და თავისუფალია ხელისუფლების გავლენისგან. 9% კი საპირისპირო მოსაზრებას ეთანხმება, რომლის მიხედვითაც აჭარის ტელევიზია ქვეყანაში და აჭარის რეგიონში მიმდინარე პროცესებს ობიექტურად ვერ აშუქებს. ის არ ასახავს რეგიონში არსებული ყველა ჯგუფის საჭიროებებს. ამასთან, იგი

ხელისუფლების გავლენისგან ნაკლებად თავისუფალია. რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა აჭარის ტელევიზიის ეთერში ყველაზე ხშირად საინფორმაციო გამოშვება „მთავარს“ 79.70%.

რესპოდენტთა 56.7% აჭარის ტელევიზიის ეთერში ქართული ფილმებსა და სერიალების ნახვას ისურვებდა, ამერიკულს - 32.4%, ხოლო ევროპულს - 32.%.

რესპოდენტთა 71.4% სრულად ან ნაწილობრივ ეთანხმება მოსაზრებებს, რომ აჭარის ტელევიზიაში არსებული პოლიტიკური თოქ-შოუები დაბალანსებულია, გადაცემებში ყველა მხარე თანაბრად არის წარმოდგენილი და აქვთ შესაძლებლოა რომ თავისუფლად დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია. აჭარის ტელევიზიის პოლიტიკური თოქ-შოუების მიმართ პოზიტიური შეფასება აქვთ იმ რესპოდენტებსაც, რომლებიც არ არიან ტელევიზიის მუდმივი მაყურებლები. რესპოდენტთა მცირე რაოდენობა, კერძოდ 11.4% იზიარებს მოსაზრებას, რომ არხის გადაცემების წამყვანების დამოკიდებულებაში იგრძნობა თავიანთი პოლიტიკური სიმპათიები, რაც მაყურებლისთვის გამაღიზიანებელია. ამ მოსაზრებას, რესპოდენტთა უმრავლესობა, კერძოდ კი 76.7% სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმება.

რესპოდენტთა 14-14% ფიქრობს, რომ არხი უფრო ობიექტურად აშუქებს მიმდინარე მოვლენებს და ამასთან გაიზარდა სოციალური პრობლემატიკის გაშუქება 13% ფიქრობს რომ არხზე განვითარდა სატელევიზიო პროგრამები. გამოკითხულთა 11.1% აზრით, ბოლო 3 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის, რომ არხი დატოვეს პროფესიონალმა ჟურნალისტებმა, 5% ამჩნევს რომ არხს უკეთესი მენეჯმენტი ჰყავს. გამოკითხულთა იგივე რაოდენობის აზრით, ბოლო 3 წელში არხზე არაფერი შეცვლილა.

აჭარის ტელევიზიის მიმართ მეტი სანდოობისთვის და ყურებადობის ასამაღლებლად რესპოდენტთა 39 % ფიქრობს, რომ მაუწყებელმა უფრო ოპერატიულად უნდა გააშუქოს მიმდინარე მოვლენები, 36 % მიიჩნევს, რომ მოვლენები ობიექტურად უნდა გაშუქდეს, 34 % ფიქრობს, რომ, საჭიროა ახალი სახეები, 33 % ახალი სახეების ხილვა სურს, ხოლო 18 % მეტი სხვადასხვა სერიალის (ამ შეკითხვაზეც, რესპოდენტებს რამდენიმე არჩევნის შესაძლებლობა ჰქონდათ)

აღსანიშნავია, რომ რადიოს სმენადობის გაზომვის საშუალებად, კვლავ მხოლოდ სოციოლოგიურ კვლევის მეთოდი რჩება, რაც ართულებს რადიოს ნაწილში მიმდინარე მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას და მაკორექტირებელი ღონისძიებების

გატარებას. რადიოს ნაწილში კვლევამ აჩვენა, რომ რადიო აჭარას გამოკითხულ რესპოდენტთა მხოლოდ 12.7% უსმენს. იმ რესპოდენტთა 41.9%, ვინც რადიო აჭარის მსმენელია, აცხადებს რომ რადიოს მანქანაში უსმენს, 17.1% კი მუნიციპალურ ან საქალაქთაშორისო ტრანსპორტში. რესპოდენტთა 58% რადიოს მოსმენის დროს, I პირველი პრიორიტეტად ახალ ამბებს, ხოლო II პრიორიტეტად უმეტესობა შემეცნებით გადაცემებს ასახელებს.

სოციოლოგიური კვლევის შემაჯამებელი ანგარიში თან ერთვის წინამდებარე ანგარიშს. (დანართი N1).

6. განხილული საჩივრების რაოდენობა და შინაარსი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ აღძრული საქმეები:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სარჩელი მოპასუხე ჯ.ძ.-ის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. დავის საგანი: თანხის დაკისრება. მოპასუხე ჯ.ძ.-ს დაეკისრა ვიდეოკამერების ხარჯის 50%-ის ანაზღაურება (2016 წელს ბახმაროში ფერიცვალების დღესასწაულზე დაზიანებული კამერა). მაუწყებლის მიერ წარდგენილია სააპელაციო საჩივარი სარჩელის დაუკმაყოფილებელობის ნაწილში.

2. მაუწყებელმა სარჩელი აღძრა მოპასუხეების შპს „ეიგლის“ და სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ წინააღმდეგ. დავის საგანი: წინასწარი ანგარიშსწორების სახით გადახდილი თანხის - თერთმეტი ათასი ლარის დაბრუნება. პირგასამტეხლოს - 8234.25 (რვა ათას ორას ოცდათოთხმეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარის გადახდა. (საფუძველი: N199 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება. 23/08/2019). სარჩელი წარმოებაშია მიღებული. მოპასუხეებს წარმოდგენილი აქვთ შესაგებლები. მაუწყებელმა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა შპს „ეიგლის“(ს/კ 405222272) საქართველოში რეგისტრირებულ საბანკო დაწესებულებების ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დაედოს ყადაღა 19234.25 ლარის ფარგლებში. მაუწყებლის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და შპს „ეიგლის“ ანგარიშებზე განთავსებულ თანხების 50%-ს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში დაედო ყადაღა. განჩინება წარდგენილია აღსრულების ეროვნულ ბიუროში. საბანკო ანგარიშებზე ყადაღა დადებულია.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ წინააღმდეგ აღიძრა შემდეგი საქმეები:

1. მოსარჩელე თ.ბ. სასარჩელო მოთხოვნა: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ დირექტორის 2020 წლსი 06 მარტის N02-05/27 ბრძანების (თ.ბ.-ს ტელევიზიის ეთერიდან ჩამოშორების შესახებ) ბათილად ცნობა. მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა შეჩერდეს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს დირექტორის 2020 წლის 06 მარტის N02-05/27 ბრძანების მოქმედება საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე. შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

2. მოსარჩელე მ.მ. სასარჩელო მოთხოვნა: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ საშტატო განრიგისა და თანმშრომელთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის 19 თებერვლის N01-01/03 (ოქმი N3) გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილია სააპელაციო საჩივარი. საქმეზე არ დაკმაყოფილდა (არც პირველი ინსტანციის სასამართლოს და არც საჩივრის წარდგენის შემდგომ საპელაციო სასამართლოს მიერ) მოსარჩელე მხარის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყფის მიზნით გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე.

3. მოსარჩელე: მ.მ. დავის საგანი: მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 25 თებერვლის მ.მ.-ის რადიოს საინფორმაციო გამოშვებების რედაქტორის პოზიციაზე გადაყვანის თაობაზე #02-05/16 ბრძანების ბათილად ცნობა; ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა. აღნიშნულ საქმეზე დაკმაყოფილდა მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და მაუწყებელს აუკრძალა ახალი ამბების სამსახურში რედაქტორის პოზიციაზე უვადოდ ან 6 თვეზე მეტი ვადით რედაქტორის პოზიციაზე პირის დანიშვნა.

4. მოსარჩელე: შ.ღ. დავის საგანი: მუწყებლის თანამდებობის პირის თანამშრომლის საქმიანობაში ჩარევის აღსაკვეთად შ.ღ.-სთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ 2020 წლის 28 თებერვლის #02-05/20 ბრძანების ბათილად ცნობა, ახალი ამბების სამსახურის უფროსის ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზაურება, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებლად მიქცევა. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოსარჩელემ მოითხოვა მაუწყბელისთვის ახალი ამბების სამსახურის უფროსის

პიზიციაზე თანამშრომლის უვადოდ დანიშვნის აკრძალვა და ასევე, სამსახურის უფროსის ვაკანტურ პოზიციაზე ახალი თანამშრომელი დანიშნოს არსებული სასამართლო დავის დასრულებამდე საქმიანობის პირობით. შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა პირველი ინსტანციის სასამართლოს და ასევე, საჩივრის წარდგენის შემდგომ სააპელაციო სასამართლოს მიერ.

5. მოსარჩელე: ს.ჟ. დავის საგანი: მაუწყებლის დირექტორისათვის დისციპლინური წარმოების, რეორგანიზაციის და ხელშეკრულების პირობების ცვლილების/ბოროტად გამოყენების გზით მოსარჩელის/თანამშრომლის საქმიანობაში უკანონო ჩარევისა და ზემოქმედების აკრძალვა; მაუწყებლის დირექტორის N02-03/09 ბრძანების (მაუწყებლის ონლაინ მედიის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე) ბათილად ცნობა.

6. მოსარჩელეები: თ.ხ. მ.მ. ც.ს. დავის საგანი: მაუწყებლის დირექტორისათვის დისციპლინური წარმოების, რეორგანიზაციის და ხელშეკრულების პირობების ცვლილების/ბოროტად გამოყენების გზით მოსარჩელის/თანამშრომლის საქმიანობაში უკანონო ჩარევისა და ზემოქმედების აკრძალვა; ც.ს.-ს მიმართ საყვედურის გამოცხადების თაობაზე მაუწყებლის დირექტორის N02-09/29 ბრძანების ბათილად ცნობა; მ.მ.-ს მიმართ საყვედურის გამოცხადების თაობაზე მაუწყებლის დირექტორის N02-09/30 ბრძანების ბათილად ცნობა; მოსარჩელე მხარემ სარჩელი გაიხმო მოსარჩელე ც.ს.-ს მოთხოვნის ნაწილში, ვინაიდან მაუწყებლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ც.ს.-ს მიმართ დისციპლინური სანქცია გაუქმდა. საქმეს განიხილავს პირველი ინსტანციის ბათუმის საქალაქო სასამართლო.

7. მოსარჩელე: მ.რ. დავის საგანი: მ.რ.-ს სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 11 მაისის N02-05/59 ბრძანების ბათილად ცნობა; თანამდებობაზე აღდგენა; იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

8. მოსარჩელე: თ.ბ. დავის საგანი: თ.ბ.-ს სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 13 მარტის ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, დისკრიმინაციის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

9. მოსარჩელეები: ა(ა)იპ „ს.მ.ა.ტ.რ.ა.პ.კ.“. ვ.ხ. და ი.ყ. დავის საგანი: შრომითი ხელშეკრულების ნაწილის ბათილად ცნობა (მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 08 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეში/სოციალურ ქსელში ქცევის წესების ზოგიერთი პუნქტის ბათილად ცნობა. აღნიშნულ საქმეზე მოთხოვნილი იყო სარჩელის უზრუნველყოფა, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელე მხარის საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მაუწყებელს აეკრძალა დავის დასრულებამდე

დისციპლინური სანქციის დაკისრება თანამშრომლისათვის ინტერნეში/სოციალურ ქსელში ქცევის წესების დარღვევის გამო.

10. მოსარჩელე: შ.ღ. დავის საგანი: შ.ღ.-სთან შრომითი ურთიერთობის ვადის ცვლილების შესახებ მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02-05/51 ბრძანების ბათილად ცნობა. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო შ.ღ.-სთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 02 ივნისის N02-05/64 ბრძანების ბათილად ცნობა.

დამთავრებული სამეები:

მაუწყებელს 2020 წლის 23 აპრილს ჩაბარდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 01 აგვისტოს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ დაეკისრა 1123,60 ლარის (963,60+200,00) გადახდა სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის“ სასარგებლოდ. 2020 წლის 07 ივლისს მაუწყებელს ჩაბარდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 25 ივნისის განჩინება, რომლის მიხედვითაც მაუწყებლის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო - დავის საგანი არ აღემატება 1000,00 ლარს. მაუწყებელმა სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის“ სასარგებლოდ გადაიხადა 1123,60 ლარი.

თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში განხილული საჩივრები:

1. განმცხადებელი: სს „ევექსის კლინიკები“ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ სიუჟეტში ასახული არ იყო, თუმცა უნდა ყოფილიყო სს „ევექსის კლინიკების“ პოზიცია. გადაწყვეტილება: 2020 წლის 27 იანვარს პირველადი ჯანდაცვის საკითხთან დაკავშირებით გადაცემა „მთავარში“ გასულ სიუჟეტში დაირღვა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი. კერძოდ, სიუჟეტის მომზადებისას არ იქნა მიღებული ყველა გონივრული ზომა გადაცემული ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად.

2. განმცხადებელი: ავთანდილ ბოლქვაძე განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მაუწყებლის მიერ მომზადებული სიუჟეტის სათაური იყო შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი, ასევე, ტელევიზიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ტექსტში მითითებული იყო არაზუსტი ინფორმცია. გადაწყვეტილება: ავთანდილ ბოლქვაძის განცხადება (12/08/2020) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყბელის აჭარის ტელევიზია და რადიოს ეთერში 2020 წლის 04 აგვისტოს 20:00 საათიან საინფორმაციო გამოშვება „მთავარი“-ში გასულ სიუჟეტზე სათაურით „ოროსანი ჩინოსნის პროტესტი“ არ დაკმაყოფილდა.

7. საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებები

2020 წლის განმავლობაში სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიო"-ს მიმართეს მოქალაქეებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, ორგანიზაციებმა შემდეგი კონტენტის განთავსების თხოვნით: - პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის მიერ მოწოდებული დოკუმენტური ფილმი „ფერეიდნელი ქართველები" განთავსება; - მონოდრამების ფესტიველის სპექტაკლების (6 სპექტაკლი) განთავსება; - ბადეში იყო გათვალისწინეული ცნობილი ადამიანების საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმების ჩვენება, ასევე ბადეში განთავსდა არტები „მე ვარ ბათუმელი" მიძღვნილი გარდაცვლილი ცნობილი ადამიანების ხსოვნისადმი; - საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების დოკუმენტური ფილმის „ჯარა" განთავსება; - ტელესკოლის ფარგლებში აბიტურიენტებისათვის გაკვეთილების ციკლის განთავსება; - „ღამის სერენადები" ლიანა ისაკაძის სახელობის მუსიკალური ფესტივალის კონცერტი-გახსნა, ჩვენება პირდაპირ ეთერში; - რეჟისორ სპარტაკ ფარჯიანის ორი დოკუმენტური ფილმის სვანეთის ისტორიის თემატიკით ჩვენება; - ბათუმის სახ. დრამატული თეატრის სპექტაკლის „ბოლო გაჩერება" - პირდაპირი ჩვენება; - ეთერში განთავსდა მუსიკალური ცენტრის მიერ მოწოდებული საკონცერტო ნომრები; - ანსამბლი „ზღვის შვილები"- ს საახალწლო კონცერტი; - მედიაჰოლდინგ „კვირა" მოწოდებული 2 დოკუმენტური ფილმი: „ქართული კულტურული მემკვიდრეობის განადგურების გამაოგნებელი ფაქტები ე.წ. სამხრეთ ოსეთში" და „განადგურების რუსული კვალი აფხაზეთში" განთავსება.

8. საზოგადოებრივ მაუწყებელთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოები

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიო''-ს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთდამოკიდებულება არცერთ საწარმოსთან არ ჰქონია.

9. მაუწყებლის მომავალი წლის ბიუჯეტი

ა) ზოგადი ინფორმაცია :

- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 35[12] -ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილია 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დამტკიცება.

ბ) 2021 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტის აღწერა და მიზანი:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტების შესაბამისი სატელევიზიო და რადიო პროგრამების მომზადება/შესყიდვა და ერთი სატელევიზიო და ერთი რადიო არხით ტრანსლირება საქართველოს ტერიტორიაზე. ტელემაყურებელთა და რადიო მსმენელთათვის ობიექტური, დაბალანსებული და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება, აჭარის რეგიონში, ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და სხვა ხასიათის აქტუალური თემების გაშუქება. ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვის ხელშეწყობა;
- მაუწყებელმა ორგანიზება უნდა გაუწიოს სატელევიზიო და რადიო პროგრამების წარმოებას/შესყიდვას და საეთერო ბადის მიხედვით სატელევიზიო და რადიო ეთერში განთავსებას. კერძოდ, უნდა განახორციელოს ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვებების, პერიოდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოკ შოუებისა და საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების წარმოება, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გადაღება, დოკუმენტური და მხატვრული ფილმების შეძენა. უზრუნველყოს პროფესიონალური საკადრო რესურსების მოზიდვა, მართვა და მათი კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება. უნდა შეიმუშავოს და წარადგინოს წინადადებები მაუწყებლის ბიუჯეტისა და გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობის განაწილების შესახებ. უზრუნველყოს სატელევიზიო და რადიო აპარატურის სწორი ექსპლუატაცია და გეგმაზომიერი განახლება/შეძენა და შეკეთება, სატელევიზიო და რადიო სტუდიების მოწყობა. თავისი კომპეტენციისა და დაფინანსების ფარგლებში განახორციელოს საქმიანობისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვა, ამ მიზნით სახელმწიფო, კერძო და უცხოურ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები და ურთიერთთანამშრომლობის სხვა შეთანხმებები.

გ) წარმოდგენილი პროექტით 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 10 580 000 ლარით განისაზღვრა, მათ შორის:

- საბიუჯეტო სახსრები 10 380 000 ლარი;
  („საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად, 2021 წლისათვის საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების საბიუჯეტო ასიგნება შეადგენს 69 200 000 ლარს)
- არასაბიუჯეტო სახსრები 200 000 ლარი.

დ) წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ასიგნებების გადასახდელები დასამტკიცებელი მუხლების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- **საბიუჯეტო სახსრები (გრანტი):**
  ბიუჯეტის ასიგნებების გადასახდელების ნაწილი შეადგენს 10 380 000 ლარს, მათ შორის:
  • მრჩეველთა საბჭო - 311 400 ლარი (3,00%);
  • ადმინისტრაცია - 3 089 600 ლარი (29,77%);
  • ახალი ამბები - 1 700 000 ლარი (16,38%);
  • მედიაწარმოება და პროდიუსინგი - 3 300 000 ლარი (31,79%);
  • რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა - 480 000 ლარი (4,62%);
  • ტექნიკური უზრუნველყოფა - 1 432 000 ლარი (13,80%);
  • სხვა გადასახდელები - 67 000 ლარი (0,64%).

- **არასაბიუჯეტო სახსრები (საკუთარი):**
  არასაბიუჯეტო ასიგნებების გადასახდელების ნაწილი შეადგენს 200 000 ლარს, მათ შორის:
  • მრჩეველთა საბჭო - 6 000 ლარი (3,00%);
  • ადმინისტრაცია - 38 000 ლარი (19,00%);
  • ახალი ამბები - 11 000 ლარი (5,50%);
  • მედიაწარმოება და პროდიუსინგი - 105 000 ლარი (52,50%);
  • რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა - 0,00 ლარი (0,00%);
  • ტექნიკური უზრუნველყოფა - 0,00 ლარი (0,00%);
  • სხვა გადასახდელები - 40 000 ლარი (20,00%).

ე) 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის ინიციატორია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო.

ვ) ამ ეტაპზე წარმოდგენილია 2021 წლის ბიუჯეტის დაზუსტებული პროექტი, რომელიც მომზადებულია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნებისა და წინადადებების შეჯერების საფუძველზე. რაც ასახავს შესაბამისი წლის ტელევიზიისა და რადიოს საჭიროებებს მოსალოდნელი რესურსების (როგორც საბიუჯეტო, ასევე არასაბიუჯეტო) ფარგლებში.

2021 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული
შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი



2021 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ასიგნებების გადასახდელები





2020 წლის

საბიუჯეტო სახსრები



2020 წლის

არასაბიუჯეტო სახსრები



9. საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტის შესრულება;

1. ანგარიშის მომზადების სამართლებრივი საფუძვლები

✓ ანგარიში მომზადებულია:

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ 33-ე, 35^{12}-ე და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტის მე-18 მუხლის შესაბამისად;
- სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ, მრჩეველთა საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №01-01/03 (ოქმი №3) გადაწყვეტილების შესაბამისად.

✓ მაუწყებლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და წლიური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“.

✓ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორის მიერ 2019 წლის 16 დეკემბრის №02-19/3139 და 2019 წლის 18 დეკემბრის №02-19/3178 წერილებით წარდგენილი 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს მრჩევლთა საბჭოს მიერ 2019 წლის 19 დეკემბერის №01-01/24 (ოქმი №29) გადაწყვეტილებით შეთანხმებულ იქნა და დასამტკიცებლად წარედგინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლი“-ს სამეურვეო საბჭოს, რომელთა მიერ 2019 წლის 27 დეკემბრის №463 (ოქმი №416) გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2020 წლის ბიუჯეტი.

✓ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორის მიერ 2020 წლის 17 თებერვლის №02-26/472 წერილით წარდგენილი 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს მრჩევლთა საბჭოს მიერ 2020 წლის 19 თებერვლის №01-01/04 (ოქმი №3) გადაწყვეტილებით შეთანხმებულ იქნა და დასამტკიცებლად წარედგინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლი“-ს სამეურვეო საბჭოს, რომელთა მიერ 2020 წლის 27 თებერვალს №468 (ოქმი №419) გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2020 წლის კორექტირებული ბიუჯეტი.

✓ 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

2020 წელი

2. მაუწყებლის ბიუჯეტის 2020 წლის შესრულების მაჩვენებლები

ხარჯების დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი			ცვლილება/კორექტირებული ბიუჯეტი						ათვისებული (ფაქტიური) ბიუჯეტი						ბიუჯეტის შესრულება %		
				ცვლილება/ბიუჯეტი			ცვლილება/სხვაობა			საკასო ხარჯები			სხვაობა/რესურსი					
	სახელმწიფო სახსრები	არასახელმწიფო სახსრები	სულ	სახელმწიფო სახსრები კორექტირებული	არასახელმწიფო სახსრები კორექტირებული	სულ	სხვაობა სახელმწიფო სახსრების დამტკიცებულსა და კორექტირებულ ბიუჯეტს შორის	სხვაობა არასახელმწიფო სახსრების დამტკიცებულსა და კორექტირებულ ბიუჯეტს შორის	სულ	სახელმწიფო სახსრები ფაქტიური შესრულება	არასახელმწიფო სახსრები ფაქტიური შესრულება	სულ	სხვაობა სახელმწიფო სახსრების ბიუჯეტსა და ფაქტიურ შესრულებას შორის	სხვაობა არასახელმწიფო სახსრების ბიუჯეტსა და ფაქტიურ შესრულებას შორის	სულ	სახელმწიფო სახსრები	არასახელმწიფო სახსრები	სულ
მრჩეველთა საბჭო	309.150	6.000	315.150	309.150	6.000	315.150	-	-	-	273.438,75	5.487,79	278.926,54	35.711,25	512,21	36.223,46	88,5%	91,5%	88,5%
ადმინისტრაცია	3.127.000	44.600	3.172.300	3.147.750	44.600	3.192.350	20.050	-	20.050	2.893.333,42	28.701,74	2.922.035,16	254.416,58	15.898.26	270.314,84	91,9%	64,4%	91,5%
ახალი ამბები	1.627.700	10.000	1.637.700	1.627.700	10.000	1.637.700	-	-	-	1.492.427,36	-	1.492.427,36	135.272,64	10.000,00	145.272,64	91,7%	0,0%	91,1%
მედიაწარმოება და პროდიუსინგი	2.830.800	99.400	2.930.200	3.075.815	99.400	3.175.215	245.015	-	245.015	3.045.045,73	92.097,33	3.137.143,06	30.769,27	7.302,67	38.071,94	99.0%	92,7%	98,8%
რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა	522.000	-	522.000	522.000	-	522.000	-	-	-	486.972,60	-	486.972,60	35.027,40	-	35.027,40	93,3%	0,0%	93,3%
ტექნიკური უზრუნველყოფა	1.816.650	-	1.816.650	2.248.550	-	2.248.550	431.900	-	431.900	2.215.713,36	-	2.215.713,36	32.836,64	-	32.836,64	98,5%	0,0%	98,5%
სხვა გადასახდელები	71.000	40.000	111.000	71.000	40.000	111.000	-	-	-	70.995,29	38.509,13	109.504,42	4,71	1.490,87	1.495,58	99,9%	96,3%	98,7%
სულ ჯამი	10.305.000	200.000	10.505.000	11.001.965	200.000	11.201.965	696.965	-	696.965	10.477.926,51	164.795,99	10.642.722,50	524.038,49	35.204,01	559.242,50	95,2%	82,4%	95,0%

→ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2020 წლის ბიუჯეტში, არასაბიუჯეტო სახსრების ნაწილში შრომის ანაზღაურების მუხლი მოიცავს:

- ა(ა)იპ „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის“ გაფორმდა ხელშეკრულება USAID-ის და IFES-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „31 ოქტომბერს შენ ირჩევ!“ ფარგლებში გადაცემების მოსამზადებლად, რომელიც მოიცავდა შრომის ანაზღაურების ფონდს - 500.00 ლარის ოდენობით.

  აჭარის რეგიონის მოსახლეობის ინფორმირების მიზნით მომზადდა ერთი სატელევიზიო და ერთი რადიო გადაცემა 31 ოქტომბრის არჩევნების, განხორციელებული საკონსტიტუციო საარჩევნო ცვლილებების, ახალი საარჩევნო წესისა და რეგულაციების შესახებ. ასევე, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისა და იმ სანქციების შესახებ, რომლითაც ამომრჩევლებზე ძალადობა დაუშვებელია და ისჯება კანონით. გადაცემის კიდევ ერთი თემა იყო ცესკო-ს ახალი რეგულაციები და კორონავირუსისგან დასაცავად გასატარებელი ცესკო-ს მიერ დაწესებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები (კორონავირუსის პანდემიის პირობებში თუ როგორ უნდა მისცეს ხმა ამომრჩეველმა კენჭისყრის დღეს).

  ინფორმაცია პროექტის შესახებ:
  . გადაცემა: „31 ოქტომბერს შენ ირჩევ!“
  . ფორმატი: სატელევიზიო და რადიო გადაცემა (პირდაპირი ეთერი)
  . რაოდენობა: 2 (ორი)
  . პერიოდულობა: 13/10/2020-28/10/2020

- „სამომხმარებლო მომსახურების სფეროს: სურსათის უვნებლობა, მედიცინა, განათლება, კულტურა“-ს თემატიკის ფარგლებში მაუწყებელმა საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე განახორციელა მოლაპარაკება გადაცემა „სახალხო კონტროლი“-ს შემოქმედებით ჯგუფთან და მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, შიდაწარმოების ფარგლებში მომზადდა გადაცემები, რომელიც მოიცავდა შრომის ანაზღაურების ფონდს - 40.600,00 ლარის ოდენობით.

  ინფორმაცია გადაცემის შესახებ:
  . გადაცემა: „სახალხო კონტროლი“
  . ფორმატი: სატელევიზიო გადაცემა
  . ქრონომეტრაჟი: 35 - 40 წთ
  . ეთერში განთავსების პერიოდი: 01/08/2020-31/12/2020
  . გაშუქების პერიოდულობა: კვირაში ერთხელ

❖ ათვისებული ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებლები





3. მაუწყებლის ბიუჯეტის საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია

2020 წელს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან გასაწევი ხარჯების თანხა დაზუსტებული გეგმის მიხედვით შეადგენდა 11.001.965,00 ლარს, გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 10.477.926,51 ლარი. გეგმასა და ფაქტიურ (საკასო) ხარჯებს შორის სხვაობა შეადგენს 524.038.49 ლარს, კერძოდ:

- მრჩეველთა საბჭოს მუხლში დარჩა ასათვისებელი 35.711,25 ლარი, მათ შორის:
  - → მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარი1.733,00 ლარი;
  - → საქონელი და მომსახურება 22.163,25 ლარი, მათ შორის:
    - აპარატის წევრთა შრომის ანაზღაურება (პრემია) 1.050,00 ლარი;
    - მივლინებები 6.540,20;
    - ოფისი 396,85 ლარი;
    - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 14.176,20 ლარი;
  - → არაფინანსური აქტივების ზრდა 11.815,00 ლარი.

- ადმინისტრაციის მუხლში დარჩა ასათვისებელი 254.416,58 ლარი, მათ შორის:
  - → შრომის ანაზღაურება (შტატი) 40.029,33 ლარი, მათ შორის:
    - თანამდებობრივი სარგო 129,33 ლარი;
    - პრემია 39.900,00 ლარი;
  - → საქონელი და მომსახურება 168.411,67 ლარი, მათ შორის:
    - შრომის ანაზღაურება (შტატგარეშე) 0,17 ლარი;
    - შრომის ანაზღაურება (შტატგარეშე/პრემია) 57.445,00 ლარი;
    - მივლინებები 295,20;
    - ოფისი 104.584,88 ლარი;
    - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 6.086,42 ლარი;
  - → სოციალური უზრუნველყოფა 5,80 ლარი;
  - → სხვა ხარჯები 1.367,90 ლარი;
  - → არაფინანსური აქტივების ზრდა 44.601,88 ლარი.
- ახალი ამბების მუხლში დარჩა ასათვისებელი 135.272,64 ლარი, მათ შორის:
  - → საქონელი და მომსახურება 135.268,99 ლარი, მათ შორის:
    - შრომის ანაზღაურება (შტატგარეშე) 0,38 ლარი;
    - მივლინებები 35.500,00;
    - ოფისი 18.477,50 ლარი;
    - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 81.291,11 ლარი;
  - → სოციალური უზრუნველყოფა 0,65 ლარი;
  - → სხვა ხარჯები 3,00 ლარი.

- მედიაწარმოება და პროდიუსინგის მუხლში დარჩა ასათვისებელი 30.769,27 ლარი, მათ შორის:
  → საქონელი და მომსახურება 30.766,31 ლარი, მათ შორის:
  - შრომის ანაზღაურება (შტატგარეშე) 0,86 ლარი;
  - შრომის ანაზღაურება (შტატგარეშე/პრემია) 28.600,00 ლარი;
  - მივლინებები 2.070,52;
  - ოფისი 60,15 ლარი;
  - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 34,78 ლარი;

  → სოციალური უზრუნველყოფა 0,96 ლარი;
  → არაფინანსური აქტივების ზრდა 2,00 ლარი.

- რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის მუხლში დარჩა ასათვისებელი 35.027,40 ლარი, მათ შორის:
  → საქონელი და მომსახურება 35.027,31 ლარი, მათ შორის:
  - შრომის ანაზღაურება (შტატგარეშე) 25,87 ლარი;
  - შრომის ანაზღაურება (შტატგარეშე/პრემია) 35.000,00 ლარი;
  - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 1,44 ლარი;

  → სოციალური უზრუნველყოფა 0,09 ლარი.

- ტექნიკური უზრუნველყოფის მუხლში დარჩა ასათვისებელი 32.836,64 ლარი, მათ შორის:
  → საქონელი და მომსახურება 0,18 ლარი, მათ შორის:
  - ოფისი 0,18 ლარი;

  → არაფინანსური აქტივების ზრდა 32.836,46 ლარი.

- სხვა გადასახდელების მუხლში დარჩა ასათვისებელი 4,71 ლარი.
  → სხვა ხარჯები 4,71 ლარი.

გეგმის შესრულების წლიური მაჩვენებელი შეადგენს 95,24 %-ს.

2020 წელს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების თანხა დაზუსტებული გეგმის მიხედვით შეადგენდა 200.000,00 ლარს, გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 164.795,99 ლარი. გეგმასა და ფაქტიურ (საკასო) ხარჯებს შორის სხვაობა შეადგენს 35.204,01 ლარს, კერძოდ:

- მრჩეველთა საბჭოს მუხლში დარჩა ასათვისებელი 512,21 ლარი, მათ შორის:
  → საქონელი და მომსახურება 512,21 ლარი, მათ შორის:
  - ოფისი 70,00 ლარი;
  - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 442,21 ლარი;

- ადმინისტრაციის მუხლში დარჩა ასათვისებელი 15.898,26 ლარი, მათ შორის:
  → საქონელი და მომსახურება 15.898,26 ლარი, მათ შორის:
  - ოფისი 11.372,16 ლარი;
  - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 4.526,10 ლარი;

- ახალი ამბების მუხლში დარჩა ასათვისებელი 10.000,00 ლარი, მათ შორის:
  → საქონელი და მომსახურება 10.000,00 ლარი, მათ შორის:
  - მივლინებები 10.000,00 ლარი;

- მედიაწარმოება და პროდიუსინგის მუხლში დარჩა ასათვისებელი 7.302,67 ლარი, მათ შორის:
  → საქონელი და მომსახურება 7.302,67 ლარი, მათ შორის:
  - შრომის ანაზღაურება (შტატგარეშე) 37,50 ლარი;
  - ოფისი 3.360,50 ლარი;
  - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 3.904,67 ლარი;

- რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის მუხლში დარჩა ასათვისებელი 0,00 ლარი.

- ტექნიკური უზრუნველყოფის მუხლში დარჩა ასათვისებელი 0,00 ლარი.
- სხვა გადასახდელების მუხლში დარჩა ასათვისებელი 1.490,87 ლარი.
  → სხვა ხარჯები 1.490,87 ლარი.

გეგმის შესრულების წლიური მაჩვენებელი შეადგენს 82,40 %-ს.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად,
2.1. შრომის ანაზღაურების მუხლში რესურსი გამოწვეულია:

- მრჩეველთა საბჭოს ჰონორარის მუხლში არსებული რესურსით;
- საშტატო პოზიციებში არსებული ვაკანსიებით;
- შტატით მომუშავე თანამშრომელთათვის დარიცხული/გასაცემი პრემიის სახელმწიფო ხაზინის მიერ დაწუნებით/უარყოფით, კერძოდ: „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებზე პრემიის გაცემის შესახებ“ მაუწყებლის დირექტორის №02-09/205_23.12.2020 ბრძანების შესაბამისად მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია და 2020 წლის 25 დეკემბერს შესასრულებლად გადაეგზავნა სახელმწიფო ხაზინას. 2020 წლის 31 დეკემბერს სახელმწიფო ხაზინის მიერ დაწუნებული/უარყოფილი იქნა შემდეგი მიზეზით: „ხაზინის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გიბრუნებთ შეუსრულებლად“. შესაბამისად მაუწყებელს 2020 წლის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოეშვა კრედიტორული დავალიანება 39.900,00 ლარის ოდენობით, რომელიც „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის 2020 წლის 23 დეკემბრის №02-09/205 ბრძანების და №02-09/206 ბრძანების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ მაუწყებლის დირექტორის №02-09/08_26.01.2021 ბრძანების თანახმად განულდა/ჩამოიწერა და ნაშთის სახით ირიცხება მაუწყებლის სახაზინო ანგარიშზე.

2.2. საქონელი და მომსახურების მუხლში არსებული რესურსი გამოწვეულია და მუხლით, გათვალისწინებული მომსახურებების შეძენა/მოწოდება ვერ განხორციელდა შემდეგ გარემოებათა გამო:

- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ნაწილში არსებული რესურსით;

- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელთათვის, მათ შორის მრჩეველთა საბჭოს აპარატის წევრებისათვის დარიცხული/ გასაცემი პრემიის სახელმწიფო ხაზინის მიერ დაწუნებით/უარყოფით, კერძოდ: „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებზე პრემიის გაცემის შესახებ“ მაუწყებლის დირექტორის №02-09/205_23.12.2020; №02-09/206_23.12.2020 ბრძანებ(ებ)ის შესაბამისად მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია და 2020 წლის 25 დეკემბერს შესასრულებლად გადაეგზავნა სახელმწიფო ხაზინას. რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს სახელმწიფო ხაზინის მიერ დაწუნებული/უარყოფილი იქნა შემდეგი მიზეზით: „ხაზინის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გიბრუნებთ შეუსრულებლად“. შესაბამისად მაუწყებელს 2020 წლის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოეშვა კრედიტორული დავალიანება 122.095,00 ლარის (მაუწყებელი _ შტატგარეშე_121.045, მრჩეველთა საბჭოს აპარატი_1.050,00 ლარი) ოდენობით, რომელიც „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის 2020 წლის 23 დეკემბრის №02-09/205 ბრძანების და №02-09/206 ბრძანების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ მაუწყებლის დირექტორის №02-09/08_26.01.2021 ბრძანების თანახმად განულდა/ჩამოიწერა და ნაშთის სახით ირიცხება მაუწყებლის სახაზინო ანგარიშზე.

- მივლინებ(ებ)ის ნაწილში არსებული რესურსით;
- მრჩეველთა საბჭოს მიერ სხვადასხვა მომსახურებ(ებ)ის შესყიდვის განუხორციელებლობით;
- მრჩეველთა საბჭოს მივლინებ(ებ)ის რესურსით;
- საერთაშორისო ახალი ამბების ვიდეოკონტენტის მოწოდების სერვისის და პირდაპირი ჩართვების რესურსით;
- მრჩეველთა საბჭოს მიერ (№02-19/2784) სოციალური (სოციოლოგიური) კვლევების თაობაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (NAT200017521), 2020 წლის 14 დეკემბერს ააიპ „ევროპული საგანმანათლებლო ცენტრი“ - სთან გაფორმდა №291 ხელშეკრულება _ ღირებულებით 10.700,00 ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწოდების პერიოდია ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარული დღე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო საავანსო ანგარიშსწორება, თუმცა მომწოდებელს არ წარმოუდგენია შესაბამის დოკუმენტაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე ანგარიშსწორება განხორციელდება მ/წელს არსებული გარდამავალი საბრუნავი სახსრებიდან (ნაშთი) ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოსა და შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებიდან გამომდინარე;
- ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (NAT200019377) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 48.574,70 ლარი (საბიუჯეტო სახსრები 39.088,06 ლარი, არასაბიუჯეტო სახსრები 9.486,64 ლარი). ტენდერის მიმდინარეობისას სატენდერო განცხადების კითხვა-პასუხის ველის საშუალებით პრეტენდენტმა მოიწერა შემდეგი ინფორმაცია: „მოგესალმებით, გთხოვთ მოიყვანოთ აღნიშნული ტრენდერის სატენდერო დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ნახაზები ერთმანეთთან შესაბამისობაში) შესაბამისობაში. ვინაიდან დოკუმენტაციაში კაბელების წვერების რაოდენობა წერია განსხვავებულად, ლუპების რაოდენობა წერია სხვადასხვა განმარტებითში, ნახაზები სხვანაირად არის დახაზული და ხარჯთაღრიცხვაში სხვა ტიპის პანელები წერია..)“. პროექტის და ხარჯთაღრიცხვის თაობაზე მომწოდებელ კომპანიასთან გადამოწმდა შესაბამისი ინფორმაცია კერძოდ, კომპანიის თანამშრომელთან შედგა სატელეფონო საუბარი, რომელმაც დაადასტურა პროექტსა და ხარჯთაღრიცხვას შორის შესაბამისი უზუსტობა, რის გამოც სატენდერო კომისიის 2021 წლის 06 იანვრის №3 ოქმით შეწყდა ელექტრონული ტენდერი;
- საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების, ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის, შენობა ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლებში არსებული რესურსით;
- სხვადასხვა ხელშეკრულებებში (ტრანსპორტის და ტექნიკის მოვლა-შენახვა, კომუნალური მომსახურება, საფოსტო მომსახურება, სატელეფონო მომსახურება და სხვა) არსებული რესურსით, რომელიც გამოწვეულია მომსახურების ფაქტობრივ მოწოდებაზე.

31. არაფინანსური აქტივების მუხლში არსებული რესურსი გამოწვეულია და მუხლით, გათვალისწინებული აქტივების შეძენა/მოწოდება ვერ განხორციელდა შემდეგ გარემოებათა გამო:

–ადმინისტრაციის მუხლში უსაფრთხოების სისტემის (SOPHOS) ლიცენზიის განახლების (2 წლიანი) შესყიდვის სატენდერო ეკონომიით და ტელევიზიისა და რადიოს შენობის დაპროექტების რესურსით;
–მრჩეველთა საბჭოს მიერ (№02-19/2995) საკონფერენციო სისტემის მიკროფონის კომპლექტის შესყიდვის თაობაზე 2020 წლის 11 დეკემბერს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (NAT200019379) სავარაუდო ღირებულებით 9.569,80 ლარი, რომელიც დასრულდა 2020 წლის 28 დეკემბერს იგივე ღირებულებით. მ/ წლის 26 იანვარს შპს „დალე“-სთან გაფორმდა №02-22/28 ხელშეკრულება ღირებულებით _ 9.569,80 ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწოდების პერიოდია ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღე. შესაბამისად ანგარიშსწორება განხორციელდება მ/წელს არსებული გარდამავალი საბრუნავი სახსრებიდან (ნაშთი) ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის და შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებიდან გამომდინარე;
–მრჩეველთა საბჭოსათვის კონსოლიდირებული ტენდერის (CON190000603) ფარგლებში 2 ერთეული სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერ(ებ)ის (სტანდარტული ლეპტოპი) შესაძენად 2020 წლის 16 დეკემბერს შპს „იუ-ჯი-თი“-სთან გაფორმდა №296 ხელშეკრულება ღირებულებით _ 2.238,00 ლარი. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღე. ანგარიშსწორება განხორციელდება მ/წელს არსებული გარდამავალი საბრუნავი სახსრებიდან (ნაშთი) ფაქტობრივად მოწოდებული საქონლისა და შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებიდან გამომდინარე;
–ოპტიკური კონვერტორის და ვიდეო სიგნალის კონვერტორის მოდულების შესყიდვის თაობაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (NAT200018219), 2020 წლის 29 დეკემბერს შპს „ვიდეოსკოპი“-სთან გაფორმდა №322 ხელშეკრულება _ ღირებულებით 11.575,80 ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწოდების პერიოდია ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო საავანსო ანგარიშსწორება, თუმცა მომწოდებლის მიერ არ წარმოდგენილა სათანადო დოკუმენტცია, შესაბამისად ანგარიშსწორება განხორციელდება მ/წელს არსებული გარდამავალი საბრუნავი სახსრებიდან (ნაშთი) ფაქტობრივად მოწოდებული საქონლისა და შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებიდან გამომდინარე;
–მეხსიერების ბარათებისა და ბარათის გადამყვანის შესყიდვის თაობაზე მ/ წლის 30 ნოემბერს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (NAT200018213) სავარაუდო ღირებულებით 26.101,60 ლარი, რომელიც დასრულდა 2020 წლის 11 დეკემბერს. გამოვლინდა გამარჯვებული პრეტენდენტი სახელმეკრულებო ღირებულებით 21.256,62 ლარი, თუმცა მომწოდებელთან ვერ გაფორმდა ხელშეკრულება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრების გამო. შესაბამისი პროცედურების შემდეგ სატენდერო კომისიის 2021 წლის 10 თებერვლის №6 ოქმით შეწყდა ელექტრონული ტენდერი.

დეტალური ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2020 წელში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

❖ დეტალური ინფორმაცია მაუწყებლის მიერ 2020 წელში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ

ხარჯების დასახელება	საკასო ხარჯები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან)			საკასო ხარჯები (არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან)		
	კორექტირებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	კორექტირებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა
სულ	**11.001.965,00**	**10.477.926,51**	**524.038,49**	**200.000,00**	**164.795,99**	**35.204,01**
მრჩეველთა საბჭო	**309.150,00**	**273.438,75**	**35.711,25**	**6.000,00**	**5.487,79**	**512,21**
მრჩეველთა საბჭოს ჰონორარი	206.100,00	204.367,00	1.733,00	-	-	-
მრჩეველთა საბჭოს აპარატის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება	52.200,00	52.200,00	-	-	-	-
მრჩეველთა საბჭოს აპარატის თანამშრომელთა პრემია	1.050,00	-	1.050,00	-	-	-
მივლინება ქვეყნის შიგნით	4.545,00	4.544,80	0,20	-	-	-
მივლინება ქვეყნის გარეთ	6.540,00	-	6.540,00	-	-	-
საკანცელარიო საქონელი	300,00	298,30	1,70	-	-	-
მობილური სატელეფონო მომსახურება	2.400,00	2.004,85	395,15	-	-	-
სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	500,00	29,20	470,80	1.000,00	557,79	442,21
საკონსულტაციო მომსახურება	3.000,00	-	3.000,00	-	-	-
აუდიტორული მომსახურება	10.000,00	9.994,60	5,40	-	-	-
სოც. კვლევა	10.700,00	-	10.700,00	-	-	-
საოფისე ავეჯის შეძენა	-	-	-	5.000,00	4.930,00	70,00
საოფისე ნოუთბუქი/კომპიუტერი	2.238,00	-	2.238,00	-	-	-
საკონფერენციო სისტემის (მიკროფონები) კომპლექტი	9.577,00	-	9.577,00	-	-	-
ადმინისტრაცია	**3.147.750,00**	**2.893.333,42**	**254.416,58**	**44.600,00**	**28.701,74**	**15.898,26**
თანამდებობრივი სარგო	1.577.190,00	1.577.060,67	129,33	-	-	-
პრემია (შტატი)	39.900,00	-	39.900,00	-	-	-
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	499.461,00	499.460,83	0,17	-	-	-
პრემია (შტატგარეშე)	57.445,00	-	57.445,00	-	-	-
მივლინება ქვეყნის შიგნით	4.954,00	4.658,80	295,20	-	-	-
საკანცელარიო ჟურნალები და წიგნები	4.653,00	4.652,00	1,00	-	-	-
საკანცელარიო ნივთები, საბეჭდი ქაღალდი	13.000,00	12.977,95	22,05	-	-	-
პროგრამული განახლების უზრუნველყოფა	4.500,00	4.500,00	-	-	-	-
კომპიუტერის ანტივირუსის ლიცენზია	8.386,00	8.385,08	0,92	-	-	-
ჟურნალ-გაზეთების შეძენა	312,00	206,40	105,60	-	-	-
საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე ანგარიშის გამოქვეყნების საფასური	40,00	20,00	20,00	-	-	-
საკანონმდებლო მაცნეს ბაზის განახლება	288,00	288,00	-	-	-	-
კომპიუტერული ტექნიკა და მარაგები	9.789,00	9.788,06	0,94	72,00	72,00	-
კატრიჯების შეძენა/დატუმბვა	3.084,00	2.651,46	432,54	-	-	-
პლასტმასის მილების შესადუღებელი აპარატი	161,00	161,00	-	-	-	-

წყლის გამაცხელებელის შეძენა	306,00	306,00	-	-	-	-
გამანაწილებლები, სპლიტერები	85,00	85,00	-	-	-	-
საწმენდი საშუალებები, დისპენსერები, ჯაგრისები, ტილოები, ტუალეტის ქაღალდი, ხელსახოცები, თხევადი საპონი და სხვა	11.840,00	10.742,27	1.097,73	2.856,00	2.852,20	3,80
სადეზინფეციო საშულებების შეძენა	6.030,00	5.730,00	300,00	144,00	144,00	-
საოფისე ავეჯის შეძენა	15.857,00	13.711,60	2.145,40	-	-	-
ცეცხლმაქრების შეძენა	2.250,00	2.250,00	-	-	-	-
გასანათებელი მოწყობილობები და ნათურები	-	-	-	3.160,00	3.160,00	-
სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟება-დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი	3.094,00	1.899,25	1.194,75	1.434,00	1.360,00	74,00
ელ სადენი და კაბელის აქსესუარების შეძენა	2.950,00	2.900,00	50,00	1.155,00	1.149,00	6,00
ქსელის კაბელი, აქსესუარები და კონექტორები	690,00	-	690,00	1.293,00	1.293,00	-
სამსახურებრივი მოწმობების (ბეიჯი), სერტიფიკატების, სავიზიტო ბარათების დამზადება	1.000,00	1.000,00	-	-	-	-
ფარმაცევტული პროდუქტები, ერთჯერადი პირბადეები, დამცავი ფარები	7.938,00	7.937,16	0,84	-	-	-
პირველადი ბატარეები და ელემენტები, ვიდეო კამერის ელემენტები	5.664,00	5.664,00	-	-	-	-
თაბაშირ-მუყაოს ხმის საიზოლაციო ფილები, საღებავების, გამხსნელის, წებოების,სამკაპი, ლინოლეუმი და სხვა	2.000,00	1.811,65	188,35	-	-	-
სუფთა ქიმიკატები და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების პროდუქტების შეძენა	-	-	-	100,00	72,00	28,00
შენობის მიმდინარე რემონტი/კარ-ფანჯრების შეცვლა	31.033,00	19.032,99	12.000,01	4.900,00	4.849,19	50,81
პირსაბანი ნიჟარის, უნიტაზის კომპლექტის, უნიტაზის სახურავის, ონკანის შეძენა	761,00	760,50	0,50	700,00	698,45	1,55
კონდიციონერების, საოფისე ავეჯის შეკეთება და ტექ. მომსახურება	4.500,00	4.000,00	500,00	-	-	-
სამეურნეო საქონელის (კაბელის არხი, სარჩილავის კალა, ალუმინის პროფილი, კუთხოვანა და სხვა) შეძენა	509,00	448,80	60,20	-	-	-
ხელსაწყოები, საკეტები, სახრახნისები, სარჩილავი და სხვა მოწყობილობების შეძენა	1.648,00	1.637,90	10,10	-	-	-
შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა _ ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები (წაშთიდან)	20.050,00	-	20.050,00	-	-	-
სახანძრო მოწყობილობების შეკეთება და ტექ.მომსახურება	19.045,00	-	19.045,00	10.000,00	-	10.000,00
კომპიუტერული ტექნიკის რემონტი (პრინტერები)	-	-	-	180,00	180,00	-
უსაფრთხოების სისტემის (SOPHOS) ლიცენზიის განახლება (2 წლიანი)	18.000,00	10.753,34	7.246,66	-	-	-
საფეხბურთო ტურნირში მონაწილეობის საფასური	-	-	-	400,00	400,00	-
მობილური ტელეფონ(ებ)ის შეძენა	-	-	-	666,00	460,00	206,00
დიზელ გენერატორის ზეთი, ფილტრები	500,00	500,00	-	-	-	-
დიზელ გენერატორისათვის აკუმულატორები	1.000,00	-	1.000,00	-	-	-
შიდასაქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება	10.800,00	7.995,81	2.804,19	710,00	-	710,00
მობილური ტელეფონების ხარჯი	30.000,00	26.683,16	3.316,84	-	-	-
საკაბელო სატელევიზიო მომსახურება	1.224,00	1.056,00	168,00	-	-	-
ინტერნეტით მომსახურების ხარჯი	21.360,00	21.360,00	-	-	-	-

დომენის რეგისტრაციის გაგრძელება	-	-	-	90,00	90,00	-
სატელეკომუნიკაციო მომსახურეობა-ჰოსტიგი	15.600,00	15.600,00	-	-	-	-
საფოსტო მომსახურება	1.800,00	1.278,07	521,93	-	-	-
ელ.ენერგიის ხარჯი	89.042,00	87.972,92	1.069,08	-	-	-
წყალის და წყალანირების ხარჯი	4.655,00	4.651,50	3,50	-	-	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	-	-	292,00	-	292,00
შენობის სადეზინფექციოს სამუშაოები, ქიმწმედისა და რეცხვის ხარჯი	1.862,00	1.861,87	0,13	-	-	-
მედიკამენტები და ფარმაცევტული პროდუქტები	804,00	803,80	0,20	-	-	-
შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების დეზინფექცია-დერატიზაციის ხარჯი	3.000,00	3.000,00	-	-	-	-
საწვავი (დიზელ-გენერატორი)	3.000,00	1.959,99	1.040,01	-	-	-
საწვავი (ავტომანქანებზე)	120.000,00	100.747,87	19.252,13	-	-	-
ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯი	40.000,00	26.545,08	13.454,92	-	-	-
ტრანსპორტის რეცხვის ხარჯი	3.310,00	2.330,00	980,00	-	-	-
GPS-ის მომსახურება	4.782,00	4.614,27	167,73	-	-	-
სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების ხარჯი (გადაზიდვა-გადაყვანა, ტაქსის მომსახურება)	3.000,00	2.217,89	782,11	-	-	-
სატრანსპორტო საშუალებების ტექ.მომსახურება	1.080,00	840,00	240,00	-	-	-
სატრანსპორტო საშუალებების პარკირება	835,00	834,82	0,18	-	-	-
საბურავების შეძენა	14.324,00	12.456,00	1.868,00	-	-	-
სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	-	-	-	1.708,00	1.346,90	361,10
დოკუმენტების თარგმნა უცხო ენებიდან	450,00	315,00	135,00	-	-	-
შენობის დაცვა (ორბელიანის 17)	14.699,00	14.698,08	0,92	-	-	-
ადმინისტრაციული შენობის დაცვა	151.200,00	151.200,00	-	-	-	-
აუდიტორული მომსახურება	-	-	-	2.965,00	1.600,00	1.365,00
სატენდერო და აუქციონის განცხადებების ხარჯი, ქონების რეგისტრაციის საფასური, საჯარო ინფორმაციის გაცემის საფასური	3.100,00	3.095,00	5,00	-	-	-
კანცელარიის პროგრამის მომსახურება	-	-	-	3.840,00	3.840,00	-
საბუღალტრო პროგრამის მომსახურება (სუპერფინი)	756,00	756,00	-	-	-	-
საკორესპოდენტო ბიუროს ოფისის დაქირავების ხარჯი	19.400,00	16.200,00	3.200,00	-	-	-
აპარატურის დაქირავება (არჩევნები_2020)	-	-	-	4.100,00	4.100,00	-
112-ს მომსახურების საფასური (სატელეფონო მომსახურება)	180,00	141,30	38,70	-	-	-
112-ს მომსახურების საფასური (მობილური სატელ. მომსახურება)	1.360,00	1.249,20	110,80	-	-	-
ფინანსური დოკუმენტაციის შეკერვა (დამუშავება)	200,00	200,00	-	-	-	-
საბაჟო/საბროკერო მომსახურება	-	-	-	35,00	35,00	-
კადრების მომზადება-გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	-	-	-	3.800,00	1.000,00	2.800,00
ტელევიზიის და რადიოს შენობის პროექტირების ხარჯი	37.355,00	-	37.355,00	-	-	-
სტუდიების განახლების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება	17.110,00	17.110,00	-	-	-	-

მაუწყებლი შენობების სახანძრო სიგნალიზაციის-კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორების განთავსების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება/კონკურსი	6.490,00	3.894,00	2.596,00	-	-	-
ტელევიზიის შენობის ადაპტირების მიზნით გადმოცემული კონსტრუქციის სამართავი პულტი	845,00	844,78	0,22	-	-	-
თანამშრომელთა დაზღვევა	89.000,00	87.633,84	1.366,16	-	-	-
ავტომანქანების დაზღვევა	6.224,00	6.223,92	0,08	-	-	-
არარეზიდენტის მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაგვრის დღგ	-	-	-	-	-	-
საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები და სასამართლო ბაჟი	-	-	-	-	-	-
სასამართლოს მიერ დაკისრებული განაცდური დღეების ანაზღაურება	39.255,00	39.253,34	1,66	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა (შტატი)	5.590,00	5.586,03	3,97	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა (შტატგარეშე)	4.145,00	4.143,17	1,83	-	-	-
ახალი ამბები	**1.627.700,00**	**1.492.427,36**	**135.272,64**	**10.000,00**	**-**	**10.000,00**
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	1.434.209,00	1.434.208,62	0,38	-	-	-
მივლინება ქვეყნის შიგნით	30.000,00	24.500,00	5.500,00	10.000,00	-	10.000,00
მივლინება ქვეყნის გარეთ	30.000,00	-	30.000,00	-	-	-
სტუდი(ებ)ის გაფორმება-განახლების სამუშაობი	20.000,00	2.000,00	18.000,00	-	-	-
წამყვანების ჩაცმულობა (პიჯაკი, ჟილეტი, პერანგი, ბლუზი)	4.500,00	4.022,50	477,50	-	-	-
პირდაპირი თანამგზავრული ჩართვები (აზერსატი)	6.378,00	6.203,65	174,35	-	-	-
არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	3.049,00	3.025,24	23,76	-	-	-
საერთაშორისო ახალი ამბების ვიდეოკონტენტის მოწოდების სერვისი	74.942,00	-	74.942,00	-	-	-
არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	6.151,00	-	6.151,00	-	-	-
არარეზიდენტის მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაბეგვრის დღგ	1.036,00	1.033,00	3,00	-	-	-
საინფორმაციო მომსახურება "ახალი ამბები"	3.540,00	3.540,00	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	13.895,00	13.894,35	0,65	-	-	-
მედიაწარმოება და პროდიუსინგი	**3.075.815,00**	**3.045.045,73**	**30.769,27**	**99.400,00**	**92.097,33**	**7.302,67**
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	1.982.186,00	1.982.185,14	0,86	41.100,00	41.062,50	37,50
პრემია (შტატგარეშე)	28.600,00	-	28.600,00	-	-	-
მივლინება ქვეყნის შიგნით	49.500,00	47.430,00	2.070,00	4.500,00	4.500,00	-
მივლინება ქვეყნის გარეთ	13.578,00	13.577,48	0,52	-	-	-
გარე ლაითბოქსების ვიზუალის ბეჭდვა, ბრენდირება	3.000,00	2.991,50	8,50	4.000,00	3.996,00	4,00
მაცივარის, მტვერსასრურის, თმის ფენის შეძენა	600,00	572,92	27,08	-	-	-
ბრენდირებული საქონელი	11.000,00	10.983,00	17,00	-	-	-
მიკროფონის ღრუბლების შეძენა-განბაჟება	5.455,00	5.449,07	5,93	-	-	-
სადეზინფეციო საშულებების შეძენა	1.000,00	1.000,00	-	-	-	-
სტუდი(ებ)ის გაფორმება-განახლების სამუშაობი	66.105,00	66.104,33	0,67	500,00	500,00	-

პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები, კოსმეტიკური საშუალებები	2.978,00	2.977,03	0,97	2.600,00	1.549,20	1.050,80
წამყვანების ჩაცმულობა (პიჯაკი, ჟილეტი, პერანგი, ბლუზი)	-	-	-	4.059,00	1.660,00	2.399,00
გარეწარმოება	49.334,00	49.300,00	34,00	2.150,00	2.110,00	40,00
საავტორო უფლებების ჰონორარი	29.200,00	29.200,00	-	-	-	-
სარეკლამო ბანერის განთავსება (ბილბორდი)	32.276,00	32.276,00	-	-	-	-
სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ქართული ფილმების შესყიდვა	44.900,00	44.900,00	-	21.450,00	21.450,00	-
სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ქართული ფილმების შესყიდვა- ფ/ პ რუსუდან გლურჯიძე/ საპენსიო მობრუნება_2019 წლის ვალდებულება/ნაშთიდან	15,00	15,00	-	-	-	-
სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმების შესყიდვა-გახმოვანება	504.118,00	504.116,00	2,00	-	-	-
სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმების შესყიდვა- _ნაშთიდან	245.000,00	245.000,00	-	-	-	-
სატელევიზიო გადაცემებისათის საჭირო მასალები,დეკორაციები და კვების სხვადასხვა საქონელი	-	-	-	6.400,00	3.064,25	3.335,75
სოციალურ ქსელში გასატარებელი სარეკლამო კამპანიის ხარჯი	-	-	-	1.500,00	1.297,48	202,52
ნამზადების შეძენა	-	-	-	4.900,00	4.667,60	232,40
სტუდიური სკამების შეძენა	-	-	-	441,00	440,30	0,70
სავიზიტო ბარათების დამზადება	-	-	-	100,00	100,00	-
გადაცემა "დილის ტალღა"-სათვის ხმის ტექნიკოსის მომსახურება	-	-	-	1.000,00	1.000,00	-
საფეხბურთო მატჩის სტრიმინგის მომსახურება	4.044,00	4.043,22	0,78	-	-	-
საახალწლო გადაცემის ჩასაწერად ფართის იჯარა	-	-	-	4.700,00	4.700,00	-
სოციალური უზრუნველყოფა	2.926,00	2.925,04	0,96	-	-	-
რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა	**522.000,00**	**486.972,60**	**35.027,40**	**-**	**-**	**-**
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	435.079,00	435.053,13	25,87	-	-	-
პრემია (შტატგარეშე)	35.000,00	-	35.000,00	-	-	-
მივლინება ქვეყნის შიგნით	570,00	570,00	-	-	-	-
სატელევიზიო სიგნალის ტრანსლიაცია ინტერნეტის ქსელში - რადიო სტრიმინგი	1.907,00	1.906,12	0,88	-	-	-
გარეწარმოება	24.100,00	24.100,00	-	-	-	-
რადიოვიზიის პროგრამის განახლება	2.365,00	2.364,44	0,56	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	22.979,00	22.978,91	0,09	-	-	-
ტექნიკური უზრუნველყოფა	**2.248.550,00**	**2.215.713,36**	**32.836,64**	**-**	**-**	**-**
თანამგზავრული მაუწყებლობის ხარჯი (აზერსატი)	321.054,85	321.054,85	-	-	-	-
არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	30.037,15	30.037,15	-	-	-	-
ციფრული სიგნალის გავრცელების საფასური	229.680,00	229.680,00	-	-	-	-
სარელეო სიგნალის გავრცელების საფასური	10.440,00	10.440,00	-	-	-	-
სატელევიზიო სიგნალის ტრანზიტის (მთაწმინდა) მომსახურება	3.000,00	3.000,00	-	-	-	-
სილქტივის HD ხარისხის პროგრამული პაკეტი	3.000,00	3.000,00	-	-	-	-

საქ.ტელერადიოცენტრის ანძების იჯარა რადიოგადამცემებისთვის	46.128,00	46.128,00	-	-	-	-
მიმღებ/გადამცემი აპარატურის შენობის სახურავის იჯარა	4.800,00	4.800,00	-	-	-	-
სპლიტერის შეძენა	85,00	85,00	-	-	-	-
სატელეკომუნიკაციო კაბელები	481,00	481,00	-	-	-	-
აკუმლიატორიები უწყვეტი დენის წყაროსათვის	3.120,00	3.120,00	-	-	-	-
აუდიობარათის შეძენა	1.834,00	1.833,82	0,18	-	-	-
სპეცტანსაცმელი და უსაფრთხოების აქსესუარები	3.775,00	3.775,00	-	-	-	-
IT მუშაობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება	3.900,00	3.900,00	-	-	-	-
ოპტიკური კონვერტორი	4.897,00	-	4.897,00	-	-	-
მყარი დისკების მასივი 48 ტბ	51.979,00	51.979,00	-	-	-	-
სტუდიის განათება და აქსესუარები	36.875,00	36.875,00	-	-	-	-
ემბედერი/დეემბედერები	22.580,00	22.579,30	0,70	-	-	-
რადიოს გადამცემებისათვის ქსელური აუდიო დეკოდერების შეძენა	8.128,00	8.127,84	0,16	-	-	-
სტუდიის ვიდეოპულტი	172.660,00	172.660,00	-	-	-	-
ციფრული მიმღებ-გადამცემი (Live-U)	143.250,00	143.250,00	-	-	-	-
ვიდეო კამერის კომპლექტის შეძენა	391.390,00	391.390,00	-	-	-	-
ვიდეოჩამწერის შეძენა	14.774,00	14.773,60	0,40	-	-	-
ბარათის წამკითხველები	5.004,00	-	5.004,00	-	-	-
ვიდეოსიგნალის კონვერტორი	6.679,00	-	6.679,00	-	-	-
გრაფიკული სამუშაო სადგური (ვიდეოსამონტაჟო)	194.250,00	194.250,00	-	-	-	-
საკამერო მიკროფონების კომლექტის შეძენა (2019 წლის ვალდებულება/ნაშთიდან)	31.896,00	31.895,40	0,60	-	-	-
ვიდეოკამერის მეხსიერების ბარათები	16.254,00	-	16.254,00	-	-	-
მობრავი სატელევიზიო სადგურის კომპლექტის შეძენა _ ნაშთიდან	396.000,00	396.000,00	-	-	-	-
განათების და სცენის კონსტრუქციის დაქირავება	1.200,00	1.200,00	-	-	-	-
სამუშაო ხელთათმანების შეძენა	18,00	18,00	-	-	-	-
კონდიციონერ(ებ)ის შეძენა	4.845,00	4.845,00	-	-	-	-
ლეპტოპ(ებ)ის შეძენა	5.595,00	5.595,00	-	-	-	-
რადიოგადამცემებისათვის კვების ბლოკის ტრანსფორმატორი	140,00	140,00	-	-	-	-
შუქდიოდური ლედ-მონიტორის შეძენა	78.801,00	78.800,40	0,60	-	-	-
სხვა გადასახდელები	**71.000,00**	**70.995,29**	**4,71**	**40.000,00**	**38.509,13**	**1.490,87**
არარეზიდენტების მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაბეგვრის დღგ	59.626,00	59.624,96	1,04	1.830,00	1.689,94	140,06
საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები	-	-	-	35.557,00	34.529,74	1.027,26
სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში, მოსაკრებელი და აღსრულების ხარჯი	-	-	-	2.613,00	2.289,45	323,55
სასამართლოს მიერ დაკისრებული განაცდური დღეების ანაზღაურება	9.814,00	9.813,33	0,67	-	-	-
დასუფთავების მოსაკრებელი	1.560,00	1.557,00	3,00	-	-	-

4. ინფორმაცია მაუწყებლის შემოსავლების შესახებ

2020 წლის განმავლობაში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შემოსავლებმა დღგ-ს ჩათვლით (დარიცხული) შეადგინა სულ 175.389,99 ლარი, მათ შორის:

1) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (დარიცხული) შემოსავლები შეადგენს 174.789,99 ლარს, კერძოდ:

→ შემოსავლები სატელევიზიო ეთერში პროდუქტის განთავსების (Product Placement) მომსახურებიდან 11.385,00 ლარი

→ შემოსავლები კომერციული რეკლამიდან 81.616,40 ლარი;

→ შემოსავლები საიჯარო მომსახურებიდან 81.393,93 ლარი;

→ შემოსავლები სხვა (არქივიდან მასალის გაცემა) მომსახურებიდან 371,42 ლარი;

→ სხვა შემოსავლები (კურსთაშორის სხვაობა) 23,24 ლარი.

2) მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში მიღებული შემოსავლები შეადგენს 600,00 ლარს, კერძოდ:

→ შემოსავლები "ა(ა)იპ ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის" დაფინანსებით 600,00 ლარი;

❖ არასაბიუჯეტო შემოსავლების პროცენტული მაჩვენებლები



2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის საბანკო (სახაზინო) ანგარიშზე რიცხულმა ფინანსური სახსრების ნაშთმა შეადგინა 619.293,17 ლარი, მათ შორის:

- საბიუჯეტო სახსრები (გრანტი) – 524.070,04 ლარი;
- არასაბიუჯეტო სახსრები (შემოსავლები) – 95.223,13 ლარი;

დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ნაშთი 01.01.2020	სადებეტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 31.12.2020
773.458,88	10.494.366,21	10.648.531,92	619.293,17

5. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

მაუწყებელში სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვა, წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №2 „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ და შესყიდვების მარეგულირებელი სხვა ნორმები) შესაბამისად.

მაუწყებლის მიერ გამოყენებული შესყიდვის ფორმებია:

- კონსოლიდირებული ტენდერი
- ელექტრონული ტენდერი
- კონკურსი
- გამარტივებული შესყიდვები

2020 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მიერ:

1) გამოცხადებული იყო 39 ტენდერი, მათ შორის 4 დასრულდა უარყოფითი შედეგით, 2 არ შედგა, 2 შეწყდა, ხოლო 31 შედგა და გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები_ საერთო ღირებულებით 1.870.578.08 ლარი.

2) გამოცხადებული იყო 3 კონკურსი, მათ შორის 2 დასრულდა უარყოფითი შედეგით, ხოლო 1 შედგა და გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულება_ საერთო ღირებულებით 17.110,00 ლარი.

3) განხორციელდა 217 გამარტივებული შესყიდვა და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები _ საერთო ღირებულებით 345.406,78 ლარი, მათ შორის:

   - 76 არასაბიუჯეტო შემოსავლებით _ საერთო ღირებულებით 42.868,08 ლარი;

   - 141 სახელმწიფო ბიუჯეტით _ საერთო ღირებულებით 302.538,70 ლარი.

4) კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 30 ხელშეკრულება _ საერთო ღირებულებით 202.007,89 ლარი.

❖ სახელმწიფო შესყიდვების მაჩვენებლები



„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისიწინებული შესყიდვების გარდა, 2020 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მიერ განხორციელდა შემდეგი მომსახურებები, შესყიდვები და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები:

1) 8 იჯარა _ საერთო ღირებულებით 57.976,00 ლარი.
2) 11 გარეწარმოება (რადიო და სატელევიზიო შემეცნებით/გასართობი რუბრიკები, არტები და გადაცემები) _ საერთო ღირებულებით 68.910,00.
3) 24 მაუწყებლობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის (პირდაპირი ჩართვები, თანამგზავრული და სხვა) მომსახურებები _ საერთო ღირებულებით 914.812,78 ლარი.
4) 16 სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმები და მუსიკალური ბიბლიოთეკა _ საერთო ღირებულებით 899.404,00 ლარი, მათ შორის:
   - 5 არასაბიუჯეტო შემოსავლებით _ საერთო ღირებულებით 327.196,00 ლარი;
   - 11 სახელმწიფო ბიუჯეტით _ საერთო ღირებულებით 572.958,00 ლარი.



6. ინფორმაცია მაუწყებლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ

1) სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიომ (სახაზინო პროგრამული კოდი 420102) „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ (კანონი #5443-Iს_10/12/2019) საქართველოს კანონით, პროგრამით „მაუწყებლის ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 42 00), გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განახორციელა საბიუჯეტო სახსრების განკარგვა.

2) „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს:
   1) საბიუჯეტო სახსრების ხარჯები განისაზღვრა 11.001.965,00 ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 10.477.926,51 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95,24%-ია.

   მათ შორის:
   - შრომის ანაზღაურების მუხლით განსაზღვრული ასიგნება შეადგენდა 1.823.190,00 ლარს. საკასო შესრულებამ შეადგინა 1.781.427.67 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97,71%-ია.

   2) არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 2.406.860,00 ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 2.317.604.49 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96,30%-ია.

3) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ საბიუჯეტო სახსრების ნაწილში სახელწიფო ასიგნების ფარგლებში ათვისებულმა ბიუჯეტმა შეადგინა სულ 10.478,0 ათასი ლარი. დამატებით მაუწყებელმა ეკონომიკური საქმიანობიდან მიიღო (დარიცხული) შემოსავალი (დღგ-ს ჩათვლით) სულ 175,4 ათასი ლარი.

დასახული შუალედური/საბოლოო შედეგები

პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს ახალი ამბებისა და მაღალმხატვრული ღირებულების სატელევიზიო და რადიო პროგრამების მიწოდებით საზოგადოების ინფორმირებულობისათვის ხელის შეწყობა, ტელე-რადიო არხის რეიტინგის გაზრდა, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და შემოქმედებითი ცნობიერების ამაღლება.

მიღწეული შუალედური/საბოლოო შედეგები

ა) მაუწყებლის მიერ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, მედიაწარმოებისა და პროდიუსინგის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები, კერძოდ:

- ✓ ახალი ამბების სამსახურისათვის შეძენილ იქნა 16 ერთეული ვიდეოკამერების კომპლექტი;
- ✓ სტუდია 2-ში შეიცვალა დიზაინი და შეძენილ იქნა შუქ-დიოდური ლედმონიტორი;
- ✓ შეძენილ იქნა მოძრავი სატელევიზიო სადგურის კომპლექტი;
- ✓ შეძენილ იქნა 3 ერთეული ციფრული გადამცემი (LIVE-U);
- ✓ შეძენილ იქნა სტუდიური განათების კომპლექტი და აქსესუარები, სტაციონალური მიკროფონები და მიმღებები, სამკერდე მიკროფონები, ხელის რადიო მიკროფონები, უკაბელო საკამერო მიკროფონის კომპლექტი, აუდიო სიგნალის მიმღები, ყურსასმენები, HDMI და USB კაბელები, გადასატანი ხმის პულტი, სტუდიის ვიდეო პულტი, ვიდეოჩამწერი და ლიცენზია, აუდიო და ვიდეო სიგნალის გარდამქნელები, სხვადასხვა მოწყობილობები და აქსესუარები;
- ✓ შეძენილ იქნა მაუწყებლის შენობის (მ.აბაშიძის№41) ადაპტირების მიზნით გადმოცემული კონსტრუქციის სამართავი პულტი;
- ✓ ახალი ამბების და შემოქმედებითი სამსახურებისათვის შეძენილ იქნა 15 ერთეული გრაფიკული სადგური;

- ✓ ახალი ამბების სამსახურისთვის და მრჩეველთა საბჭოს წევრებისათვის შეძენილ იქნა ნოუთბუკები;

- ✓ სისტემატურად ხორციელდებოდა ვიდეო კამერების, საკამერო განათების, სამკერდე და ხელის მიკროფონების ტექნიკური მონიტორინგი;

- ✓ ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაოები მაუწყებლის ადმინისტრაციულ შენობაში (მ. აბაშიძის №41) მდებარე უწყვეტი დენის წყაროს (UPS), ვიდეო კამერებს, სამკერდე მიკროფონებს, შტატივებსა და არსებულ სხვა ტექნიკას. შეკეთდა შემოქმედებითი გადაცემებისა და ახალი ამბების ვიდეო კამერები, პირდაპირი ჩართვის აპარატი (LIVE-U) და განათების კომპლექტი;

- ✓ განხორციელდა მაუწყებლის ადმინისტრაციულ შენობაში (მ.აბაშიძის №41) სარემონტო სამუშაოები;

- ✓ განხორციელდა ტელევიზიის და რადიოს შენობის სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები;

- ✓ 2020 წლის განმავლობაში შეძენილ იქნა საოფისე მაგიდები და სკამები, სხვადასხვა სახის საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი, სანიტარულ ჰიგიენური საშუალებები, ელექტრო საქონელი, ნათურები, თაბახის ფურცლები, AA და AAA ტიპის ელემენტები და სხვა.

- ✓ განხორციელდა უსაფრთხოების სისტემის (SOPHOS) ლიცენზიის განახლება;

- ✓ განხორციელდა რადიო ვიზუალიზაციის პროგრამის მეშვეობით ინტერნეტ სტრიმინგის 1 წლის ვადით განახლება;

- ✓ ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა 1 წლიანი ელექტრონული ლიცენზიის შეძენა;

- ✓ განხორციელდა სატელევიზიო სიგნალის ტრანსლიაცია ინტერნეტის ქსელში - რადიო სტრიმინგის 1 წლიანი ლიცენზიის შეძენა;

- ✓ განხორციელდა ქსელური სამუშაოები: ახალი მიერთებები, დაზიანებული წერტილების გამოვლენა და აღმოფხვრა, ქსელის გამანაწილებელი (switch) და უკაბელო ინტერნეტის (AP) მოწყობილობების გამართვა;

- ✓ განხორციელდა ფაერვოლისა და როუტერის (Sophos SG230) კონფიგურირება, სამუშაო ჯგუფების შექმნა, პორტებსა და სერვისებთან წვდომის წესების განსაზღვრა, ვებ და ქსელური დაცვის წესების შემუშავება სამუშაო ჯგუფებისა და ქსელების კატეგორიების გათვალისწინებით, ლოგირება და მონიტორინგი;

- ✓ განხორციელდა ვიდეო არქივის შემნახველი მყარი დისკების მასივი/სტორიჯის მოცულობის გაზრდა, კონფიგურირება და მონიტორინგი;

- ✓ განხორციელდა სერვერების (FTP სერვერები, რადიო სტრიმინიგი, მონაცემთა ბაზა) გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და მონიტორინგი;

- ✓ განხორციელდა მსოფლიო ქსელის (www) გვერდის ჰოსტინგის ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება, ინფორმაციის გადატანა, ბექაფი, ელექტრონული ფოსტების შექმნა, ინტეგრაცია კლიენტურ პროგრამებში და მონიტორინგი;

- ✓ განხორციელდა ეთერის გრაფიკული გაფორმების სადგურები (ე.წ. ტიტროვშიკი), პროექტების დამზადება, პროგრამული და აპარატურული ნაწილის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

- ✓ განხორციელდა საეთერო, სამაუწყებლო, კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობების შეკეთება, ქსელური ენკოდერების კონფიგურირება გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, საეთერო პულტებში გრაფიკული ელემენტების ჩაწერა და კონფიგურირება;

- ✓ განხორცილდა სამონტაჟო მუშა სადგურების კონფიგურაციის მოკვლევა, შეძენა და ინსტალაცია;

- ✓ განხორციელდა კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივერების, ანტივირუსული და სხვა პროგრამების ინსტალაცია, რადიოს მონაცემთა ბაზის, სამაუწყებლო, სამონტაჟო, დამგეგმავი და სტრიმერი კომპიუტერების შეკეთება, პროგრამული გამართვა და მონიტორინგი;

- ✓ შევიძინეთ აუდიო, ვიდეო და ქსელის კაბელები თავისი კონექტორებით, რომელებიც გამოყენებული იქნა მაუწყებლის შენობ(ებ)ში კაბელებისა და კომუნიკაციის მოსაწესრიგებლად;

- ✓ შრომის უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელდა დაგეგმილი შესყიდვები და სამუშაოები:

- ✓ მედიაწარმოება და პროდიუსინგის (ტელევიზია, რადიო) მიმართულებით განხორციელდა შემდეგი შესყიდვები:

- *გარეწარმოების ნაწილში: დოკუმენტური ფილმები, არტები, რადიოს შემეცნებითი-გასართობი რუბრიკები და გადაცემები;*

- *სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმები (ანიმაციური, დოკუმენტური, მხატვრული ფილმები და სერიალები);*

- *სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ქართული მხატვრული ფილმები;*

- *2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მუსიკალური ნაწარმოებების და ფონოგრამის, ნებისმიერი აუდივიზუალური ფორმით რეპროდუქცირებისათვის (სინქრონიზაცია) სათანადო ლიცენზია;*

- *სარეკლამო ბანერის, ნაბეჭდი ფირების, მიკროფონის ღრუბლების, სატელევიზიო გადაცემებისათვის საჭირო მასალების, დეკორაციებისა და სხვადასხვა საქონელის შეძენა-ბრენდირება;*

- *სოციალური ქსელში გასატარებელი სარეკლამო კამპანია;*

- *პრომოუშენისათვის გრაფიკული ნამზადების შეძენა-გაფორმება.*

✓ განახლდა ტელევიზიის, რადიოსა და გადამცემი სადგურებისათვის (ომბალაური, ხულო, შუახევი) ელექტრო კვებით უწყვეტად მომარაგებისათვის (UPS) აკუმულატორები და უწყვეტი დენის წყარო;

✓ მაუწყებლის თანამშრომლების უსაფრთხოების მიზნით შეძენილი იქნა სპეცტანსაცმელი, ფეხსაცმელი და უსაფრთხოების ქამრები.

✓ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიამ 2018 წლის 23 აგვისტოს №499/13 დადგენილებით საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის რადიოს მიანიჭა FM დიაპაზონში რადიომაუწყებლობისათვის სიხშირეები შემდეგ ქალაქებში და დასახლებულ პუნქტებში:

- *თბილისი (რადიო/სატელევიზო ანძა) 90,2;*

- *გორი (რადიო/სატელევიზო ანძა) 94,1;*

- *ქუთაისი (რადიო/სატელევიზო ანძა) 99,3;*

- *ზუგდიდი (რადიო/სატელევიზო ანძა) 97,1;*

- *ხულო (რადიო/სატელევიზო ანძა) 104,1;*

- *ქედა (სოფ. ზენდიდის რადიო/სატელევიზო ანძა) 106,1;*
- *ლაგოდეხი (რადიო/სატელევიზო ანძა) 90,7;*
- *ფოთი (რადიო/სატელევიზო ანძა) 90,7;*
- *ქობულეთი (სოფ. ლელვას რადიო/სატელევიზო ანძა) 96,1.*

➢ 2019 წელს შეძენილ იქნა და დამონტაჟდა აჭარის რადიოს ახალი გადამცემი სადგურები, FM რადიოგადამცემი ანტენები შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"-ს კუთვნილ ანძებზე, კერძოდ:

- *თბილისი (სატელევიზო ანძა) (ს/ნ 3295_სადგური; ს/ნ 3301_ანტენა);*
- *გორი (სატელევიზო ანძა) 94,1 (ს/ნ 3297_სადგური; ს/ნ 3302_ანტენა);*
- *ქუთაისი (სატელევიზო ანძა) 99,3 (ს/ნ 3305_სადგური; ს/ნ 3303_ანტენა);*
- *ზუგდიდი (სატელევიზო ანძა) 97,1 (ს/ნ 3287_სადგური; ს/ნ 3299_ანტენა);*

ზუგდიდიდან დემონტირებული იქნა მაუწყებლის ბალანსზე რიცხული აქტივები, კერძოდ: სტაბილიზატორი ST-315, გადამცემი სკრინსერვისი 1კვტ. დისტანციური მართვა, ანტენა PAN 4VH, სერვორეგულატორი, საწვავის ავზი, ტელევიზორი Samsung და დიზელ-გენერატორი 40კვტ, რომლებიც დასაწყობებულია მაუწყებლის ანძების ლაბორატორიასა და ს.ს. ორბელიანის №17-ში.

ყველა სადგურზე 2020 წლის განმავლობაში განხორციელდა გადამცემი სადგურის და ანტენების გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები.

➢ მ/წლის ბიუჯეტში დაგეგმილია და მაუწყებლისათვის მარეგულირებელი კომისიის მიერ FM დიაპაზონში რადიომაუწყებლობისათვის სიხშირეების გამოყოფის შემდეგ კურორტ ბეშუმში და სოფელ თხილნარში განხორციელდება FM რადიო გადამცემი სადგურ(ებ)ის შეძენა/დამონტაჟება;

➢ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის, სოფელ ცოდნისკარში მდებარე აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე (გადამცემი მაუწყებლობს FM 90,7 სიხშირეზე) ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. შეიცვალა დაზიანებული სატელიტური თავაკი, რესივერი და კოაქსალური (RG-6) კაბელი;

✓ ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე (გადამცემი მაუწყებლობს FM 104,5 სიხშირეზე) ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (ორ კვირაში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები)

✓ აჭარის მუნიციპალიტეტებში მდებარე აჭარის რადიოს გადამცემ სადგურებზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). რემონტი ჩაუტარდა გადამცემ სადგურებს;

- ✓ მაუწყებლის ბალანსზე რიცხულ ავტომობილებს ჩაუტარდა სარემონტო/პროფილაქტიკური სამუშაოები, დაზღვეულ იქნა ავტოპარკის სრული შემადგენლობა, განხორციელდა სატრანსპორტო საშუალებათა GPS კონტროლის მომსახურების, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების, პარკირებისა და რეცხვის ორგანიზაციული საკითხები;

- ✓ 2020 წლის 08 იანვარს სამსახურებრივი მივლინების დროს მაუწყებლის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა (Ford Focus, სახ.ნომ SSG – 554, ს/ნ 2426), რომელიც გადაადგილდებოდა თბილისის მიმართულებით, მოძრაობისას გაუჩნდა ხანძარი. ფაქტზე დაიწყო გამოძიება. საქმეს იძიებდა შსს კასპის რაიონული სამმართველოს, იგოეთის განყოფილება. 2020 წლის 30 იანვრის სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებით №028080120002 სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო. №028080120002 სისხლის სამართლის საქმეზე გამოთხოვილი მასალებიდან, დგინდება, რომ ხანძრის შედეგად გამოწვეული ქონებრივი ზარალი, საორიენტაციოდ, შეადგენს 8.000,00 ლარს, ნარჩენი ღირებულება ფაქტიური-ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შეადგენს 3.000,00 ლარს.

  მაუწყებლის მუდმივმოქმედი საინვენტარიზაციო კომისიის 2020 წლის 16 ივლისის №4 სხდომის ოქმით დადგინდა შემდეგი:

  1. მოწვეულ იქნას აუდიტი შემდეგი მომსახურების გასაწევად:
     პუნქტი „გ“ _ მაუწყებლის ბალანსზე რიცხული, 2020 წლის 08 იანვარს ხანძრის შედეგად დაზიანებული, ა/მანქანის (Ford Focus, სახელმწიფო №SSG-554, საინვენტარიზაციო №2426) შეკეთების ან აუქციონის წესით პრივატიზაციის თაობაზე დასკვნის შესრულება (უპირატესობის მინიჭების შემდეგ, მასზე აუქციონის წესით პრივატიზების ფასის ან შეკეთების ფასის დადგენა);

  ავტომანქანის საწყისი გასაყიდი ფასის დადგენის თაობაზე შპს „დანი აუდიტი“-ს 2020 წლის 25 აგვისტოს №02/2-46 დასკვნის თანახმად 28/09/2020 - 07/10/2020 და 06/11/2020 - 16/11/2020 პერიოდში მანქანა-დანადგარების, კერძოდ ავტომანქანის პრივატიზებაზე ჩატარებული აუქციონები არ შემდგარა. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტისა და საქართველოს კანონი “სახელმწიფო ქონების შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 8-ს თანახმად, თუ არ მოხდება აუქციონზე გატანილი ქონების განკარგვა, ამ ქონების შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით განკარგვის შესახებ გადაწყვეტილება განიხილება, როგორც განმეორებითი აუქციონი. განმეორებით აუქციონზე ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება 50% მდე შემცირდეს, ხოლო თუ ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს. ამდენად აუქციონზე გატანა მოხდება მ/ წელს მოქმედი წესების დაცვით.

ბ) მაუწყებლის ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის მიერ დაიხვეწა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აღრიცხვისა და ფინანსური ანალიზის სისტემა. გატარებული ღონისძიებების შედეგად მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი მიზნები:

→ საინვენტარიზაციო კომისიამ, რომელიც შეიქმნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორის 2017 წლის 13 ნოემბრის №02-03/27 და მასში შესული ცვლილებებით (2018 წლის 24 აპრილის №02-03/15 ბრძანება, 2020 წლის 23 სექტემბრის №02-03/41 და 23 ოქტომბრის № 02-03/43 ბრძანებები), მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 03 დეკემბრის №02-03/49 ბრძანების და მასში 2020 წლის 25 დეკემბრის №02-03/51 ბრძანებით შეტანილი ცვლილების თანახმად, 2020 წლის 02 სექტემბრიდან, 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში, ჩატარდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ -ს ბალანსზე 2020 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით რიცხული გადამცემი სადგურების (თბილისის, ქუთაისის, გორის, ზუგდიდის, ფოთის, ომბალაურის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს) მოძრავი და უძრავი ქონების და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ -ს ბალანსზე 2020 წლის 01 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების სავალდებულო ინვენტარიზაცია. გადამცემ სადგურებში ინვენტარიზაციის ჩატარება „სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორის 2020 წლის 18 აგვისტოს №02-03/34 ბრძანების პ.2-ით, დაევალა სამუშაო ჯგუფს. (მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის თანამშრომლები).

ჯგუფის მიერ, ინვენტარიზაცია ჩატარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დაცვით. აღნიშნული წესის მოთხოვნათა მიხედვით 2020 წლის ინვენტარიზაციას დაექვემდებარა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს ბალანსზე რიცხული ზემოთ აღნიშნული გადამცემი სადგურების ქონება, კერძოდ: „სხვა ნაგებობები“ - (სინთეზური ანგარიში 2113/1-22-1300), „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ - (სინთეზური ანგარიში 2122/1-22-1200) და მცირეფასიანი აქტივები და საგნები (ბსმ-10 და ბსმ-04). ყოველ მათგანზე, (მატერიალურად პასუხისმგებელი პირი: ლევან კაიკაციშვილი, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის, გადამცემ საშუალებათა ექსპლუატაციის განყოფილების უფროსი), გაიცა 31 საინვენტარიზაციო უწყისი. ცალკ-ცალკე უწყისში შევიდა ნარჩენი ღირებულების მქონე აქტივები და ამორტიზებული ფასეულობებიც.

საინვენტარიზაციო ჯგუფის მიერ შემოწმებულ იქნა ბალანსზე რიცხული ქონების მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე გაწერის სისწორე. კერძოდ: მაუწყებლის დირექტორის 2019 წლის 20 ოქტომბრის №02-03/13 სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ში მატერიალურად პასუხისმგებელ პირების განსაზღვრისა და საწყობიდან ქონების გაცემის წესის შესახებ ბრძანებებით, მატერიალურად პასუხისმგებელი პირის სარგებლობაში არსებული ქონება განპიროვნებულია და ფინანსური ეფექტიანობის სამსახურში, დადგენილი წესით, შევსებულია საინვენტარიზაციო ბარათები (ელექტრონული ვერსია-

ბუღალტრული პროგრამის შესაბამისად, ფორმა №ძს-6. დანართი №1). აქტივების ერთი მატერიალურად პასუხისმგებელი პირიდან მეორეზე გადაცემა და აქტივის შიდა მოძრაობა, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

ინვენტარიზაციის ჩატარების მოქმედი წესის თანახმად, მივლინებით, ადგილზე, სამუშო ჯგუფის მიერ ჩატარებული ინვენტარიზციის შედეგად შედგა 31 (შედარების) უწყისი (ფორმა №ინვ-1) და მოხდა ყოველი სადგურის ფოტო-დასურათება. მივლინების შედეგები-დოკუმენტაცია, რეგიონების მიხედვით, ეტაპობრივად ბარდებოდა საინვენტარიზაციო კომისიას დასამუშავებლად.

ინვენტარიზაციის შედეგად სულ აღწერილია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ - ს ბალანსზე, 2020 წლის 01 სექტემბრის მდგომარეობით, რიცხული 245 ერთეული 497.838,67 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების მქონე არაფინანსური და მცირეფასიანი აქტივები, მათ შორის:

ა) ნაგებობები (ანგარიში №2113/1-22-1300) _94 ერთეული, ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 323.977,53 ლარი;

ბ) სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი (ანგარიში 2122/1-22-1200), 25 ერთეული, ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 145.276,71 ლარი;

გ) ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მცირეფასიანი აქტივები (ბსმ 10) და საგნები (ბსმ 04), სულ 166 ერთეული, საერთო ღირებულება - 28.584,43 ლარი.

სამუშაო ჯგუფის მიერ დაზუსტებულ იქნა ბუღალტრული ჩანაწერების სისწორე და მოხდა მათი კორექტირება შესაბამისი დოკუმენტის (ფოტოსურათი) წარმოდგენით. კერძოდ, ეს ეხებოდა შენობებსა და სოფლების დასახელებას - (ტოპონიმებს). აღნიშნული ცვლილებები დაფიქსირდა და ასახვა ჰპოვა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.

ჩამოწერას დაქვემდებარებულ ერთეულებზე გაკეთდა მინიშნება - „ჩამოსაწერი“, ცალკე უწყისი არ შემდგარა, რადგან ეს ეხებოდა მხოლოდ მცირეფასიან აქტივებს (2 ერთეული) ღირებულებით 418,67 ლარი.

სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მასალის დამუშავების შედეგად შედგა კრეფსითი ინფორმაცია - საინვენტარიზაციო შედარების უწყისი: №32, №33 და №34.

ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

სულ ამჟამად ბუღალტრულად ირიცხება 68 გადამცემი სადგური (სადგურების ძირითადი ნაწილი-კერძოდ, აჭარის რეგიონში, აშენდა და დამონტაჟდა 1999-2000 წწ-ში), მათ შორის მოქმედი არის 13, ესენია: 7 სადგური აჭარის რეგიონში: ქობულეთში-სოფ.ლეღვა; ხელვაჩაურში-სოფ.სარფი და ომბალაური; ქედაში-სოფ.ზენდიდი; შუახევში-2: სოფ.ოქროპილაური და სოფ.ღორექეთი; ხულოში-სოფ.არგინეთი. ხელვაჩაურის-სოფ.თხილნარში და ხულოს-დაბა ბეშუმში, მიმდინარეობს მოსამზადებელი ტექნიკური ხასიათის სამუშაო, პერსპექტივაში, მათ ასამოქმედებლად. დანარჩენი 6 სადგური არის საქართველოს სხვა რეგიონში განთავსებული: თბილისი, გორი, ლაგოდეხი, ქუთაისი, ზუგდიდი და ფოთი. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით გაუქმდა და უმოქმედოა 53 სადგური. უმოქმედოო სადგურებზე საკუთარი სახსრებით განხორციელდა მოძრავი ყველა სახის აქტივის დემონტაჟი და მათი ტრანსპორტირება-დასაწყობება ანძების ლაბორატორიასა და ს.ს. ორბელიანის №17-ში. უმოქმედო სადგურებში ამჟამად დარჩენილია უძრავი ქონება, კერძოდ: შენობები და ანძები. სადგურები

ძირითადად განლაგებულია რეგიონის მაღალმთიან სოფლებში, რომლებიც მძიმე კლიმატური პირობებით ხასიათდება - დიდთოვლობა, ზვავი და მეწყერსაშიში ზონებით. 2020 წლის ინვენტარიზაციით რიგ სადგურზე, გამოვლინდა შენობების დაზიანებისა და დაშლის ფაქტები. სწორედ ამ მიზეზით ინვენტარიზაციის შედარების უწყისებით ფაქტობრივ და ბუღალტრულ მონაცემებს შორის დაფიქსირდა სხვაობა-დანაკლისი - 8 ერთეული, სულ 3.038,86 ლარის ღირებულებით.

აღნიშნული მდგომარეობა (ნაკლებობა) შესაბამისად აისახა შედეგების აქტის-ფორმა №ინვ-2-ში, რომელიც შევსებულია ინვენტარიზაციის შედარების №1-31 უწყისების, აგრეთვე სხვაობათა უწყისისა (ფ. №ინვ.11) და (ფ. №ინვ-3) გადახრის უწყისების მიხედვით.

„საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების 13 -ე მუხლის (ინვენტარიზაციისას გამოვლენილი სხვაობების რეგულირებისა და შედეგების გაფორმების წესი) თანახმად:

პუნქტი 4: *„გადახარისხების შედეგად დანაკლისისა და ზედმეტობის ურთიერთჩათვლა შესაძლებელია დაშვებულ იქნეს ერთსა და იმავე შესამოწმებელ პერიოდში, ერთსა და იმავე მატერიალურად პასუხისმგებელ პირთან (იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ადგილმდებარეობის მიხედვით), ერთი და იმავე დასახელების ბალანსზე რიცხული მატერალური ფასეულობების მიმართ და თანაბარ ოდენობაში. იმ შემთხვევაში, როცა დანაკლისისა და ზედმეტობის ურთიერთჩათვლის შედეგად დანაკლისი მატერიალური ფასეულობის ღირებულება საბუღალტრო მონაცემების მიხედვით მეტი აღმოჩნდება ზედმეტობაზე, სხვაობა დაეწერება დამნაშავე პირს. თუ კონკრეტული დამნაშავე პირების დადგენა ვერ მოხერხდა, ფასთა სხვაობა განიხილება როგორც დანაკლისი ნორმის ზევით, რომელიც ჩამოიწერება ამავე მუხლის მე- 2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული წესის შესაბამისად. თუ დადგინდა, რომ ფასთა სხვაობა (დანაკლისის შემთხვევაში) არ არის გამოწვეული მატერიალურად პასუხისმგებელი პირის დანაშაულით, საინვენტარიზაციო კომისია თავის აქტებში დაწვრილებით განმარტავს“.*

პუნქტი 2, „ე)“ ქვეპუნქტი: *მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი და დანაკარგები ბუნებრივი ნორმების ზევით, როდესაც დამნაშავეების დადგენა ვერ მოხერხდა სასამართლოს მიერ და რომელთა ამოღებაზეც სასამართლომ უარი განაცხადა ან რომელთა ამოღების ალბათობა ძალიან მცირეა, ჩამოიწერება ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით), როგორც არასაოპერაციო ხარჯები.*

→ კომისიამ ჩაატარა ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია და აღნიშნავს შემდეგს:

- 2020 წლის 01 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსზე გაუცემელი ან ზედმეტად გაცემული ხელფასები არ დაფიქსირებულა;
- 2020 წლის 01 დეკემბრის მდგომარეობით ქვეყნის შიგნით მივლინებისათვის საქვეანგარიშოდ/წინასწარი ანგარიშსწორებით გაცემულია სულ 2.000,00 ლარი, მათ შორის:
  - საბიუჯეტო სახსრებით 1.310,00 ლარი;
  - არასაბიუჯეტო სახსრებით 690,00 ლარი;
- დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებების ინვენტარიზაცია ჩატარდა დაფინანსების წყაროს მიხედვით, შედგა დებიტორ-კრედიტორებთან ანგარიშსწორების აქტი, რომლის მიხედვით დადგინდა შემდეგი:

  - საბიუჯეტო სახსრებში,

  - როგორც დებიტორული, ასევე კრედიტორული დავალიანებები წარმომავლობის ხასიათის მიხედვით, არის მოკლევადიანი (მიმდინარე) და მათი წარმოშობა დაკავშირებულია ანგარიშსწორების დოკუმენტების წარმოდგენის ვადებთან;

  - 2019 წლის 23 აგვიტოს №199 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო სარჩელი აღძრულია და წარმოებაშია მოპასუხეების - შპს „ეიგლის“ და სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ წინააღმდეგ, მაუწყებლის მიერ ვალდებულების შესრულების მიზნით წინასწარი ანგარიშსწორების სახით გადახდილი თანხის - 11.000,00 ლარის დაბრუნების და შპს „ეიგლისათვის“ ხელშეკრულების შეწყვეტის გამო 8.234,25 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. მაუწყებელმა სარჩელის უზრუნველოყოფის მიზნით მოითხოვა შპს ეიგლის (ს/ნ 405222272) საქართველოში რეგისტრირებულ საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ყადაღის დადება 19.234,25 ლარის ოდენობით. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 10 იანვრის განჩინებით მაუწყებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში რეგისტრირებულ საბანკო დაწესებულებებში, 19.234,00 ლარის ფარგლებში ყადაღა დაედოს შპს ეიგლის (ს/ნ 405222272) საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხულ ან/და არსებული თანხის 50% -ს. 2020 წლის 10 იანვარს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემულია სააღსრულებო ფურცელი, რომელიც წარდგენილია აღსრულების ეროვნულ ბიუროში (იდენტიფიკატორი: 2000996154). სააღსრულებო წარმოება დასრულებულია;

- ,,პირობითი მოთხოვნები“ (ბსმ 05 ანგარიში) – 5.385,52 ლარი, რომელიც წარმოიშვა 2016 წლის 19 აგვისტოს კურორტ „ბახმაროში“ შემოქმედებითი ჯგუფის მიერ სადღესასწაულო დოღის გადაღებისას დაზიანებული ვიდეოკამერის თაობაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის მიერ საქმეზე მოკვლეულ მასალებზე დაყრდნობით სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სამოქალაქო წესით, დავას განიხილავდა, ოზურგეთის რაიონული სასამართლო მოპასუხეებიის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ფ/პ ჯუმბერ ძირკვაძის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ სარჩელი მოპასუხე ჯუმბერ ძირკვაძის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. დავის საგანი: თანხის დაკისრება. მოპასუხე ჯუმბერ ძირკვაძეს დაეკისრა ვიდეოკამერების ხარჯის 50%-ის ანაზღაურება (2016 წელს ბახმაროში ფერიცვალების დღესასწაულზე დაზიანებული კამერა) – 2.692.76 ლარის ოდენობით. მაუწყებლის მიერ წარდგენილია სააპელაციო საჩივარი სარჩელის დაუკმაყოფილებელობის ნაწილში. ასევე ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით 2020 წლის 21 დეკემბერს გასცა სააღსრულებო ფურცელი საქმეზე საბოლოო გაწყვეტილების მიღებამდე - ყადაღა დაედოს მოპასუხე ჯ.ძ. საკუთრებში არსებულ უძრავ ქონებას - მიწის ნაკვეთს, მდებარე ქ. ოზურგეთი, დაბა ნასაკირალის ტერიტორია, ს/კ: 26.29.14.021.

- არასაბიუჯეტო სახსრებში,

- როგორც დებიტორული, ასევე კრედიტორული დავალიანებები წარმომავლობის ხასიათის მიხედვით, ძირითადად არის მოკლევადიანი (მიმდინარე) და მათი წარმოშობა დაკავშირებულია ანგარიშსწორების დოკუმენტების წარმოდგენის ვადებთან, ხოლო რაც შეეხება გრძელვადიან დებიტორულ დავალიანებებს:

  - 2014 წლის 01 ოქტომბრის №23 ხელშეკრულება, მოსარჩელე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ სარჩელი მოპასუხე შპს „BURJI-INVEST“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე 4.425,71 ლარის ოდენობით, ასევე გადასახდელი თანხის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაკმაყოფილდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17

ივლისის გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების მიზნით გადაცემულია აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის. სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს (იდენტიფიკატორი: 1939792473) მოვალე შპს„BURJI-INVEST" (ხელშეკრულება №23_01.10.14) მიმართ შემდეგ თანხაზე: ძირი თანხა 4.425,71 ლარი, პირგასამტეხლო (სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენის მომენტისათვის) – 6.793,75 ლარი.

- 2014 წლის 28 ოქტომბერის №24 ხელშეკრულება, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარდგენილია სარჩელი მოპასუხე შპს „გრილ ლაით სტუდიოს" მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე 5.157,14 ლარის ოდენობით, ასევე პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2016 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 14 თებერვლის ჩათვლით გადასახდელი თანხის 5.157,14 ლარის 0,1%-ის ოდენობით - რაც შეადგენს 299,57 ლარს და ასევე პირგასამტეხლოს გადახდა გადასახდელი თანხის 5.157,14 ლარის - 0,1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 2016 წლის 15 თებერვლიდან ვალდებულების შესრულებამდე, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.
  გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების მიზნით გადაცემულია აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის. სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს (იდენტ:1939720237) მოვალე შპს „გრინ ლაით სტუდიოს" (ხელშ. №24_28.10.14) მიმართ შემდეგ თანხაზე: ძირი თანხა 5.157,14 ლარი, პირგასამტეხლო (სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენის მომენტისათვის) – 7.266,86 ლარი.

- 2015 წლის 23 დეკემბრის №8 იჯარის ხელშეკრულება, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს და შპს „ტვ-25"-ს შორის 2015 წლის 23 დეკემბრის N8 იჯაირს ხელშეკრულების მოქმედების ვადა გავიდა 2017 წლის 31 ივლისს, თუმცა შპს „ტვ 25" ახორციელებდა მაუწყებლის ქონების ფაქტობრივ ფლობას და სარგებლობდა მაუწყებლის ქონებით. 2019 წლის 17 აპრილს მხარეებს შორის გაფორმდა №04 საიჯარო ხელშეკრულება იმავე ქონებაზე. საიჯარო დავალიანება 2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით შეადგენდა 11.508,10 ლარს. მხარეებს შორის შედგა გადახდის გრაფიკი, რომლის მიხედვითაც ნოემბერი-აპრილის მონაკვეთზე გადანაწილდა დავალიანება, თუმცა საინვენტარიზაციო პერიოდისათვის შპს „ტვ-25" არ იხდიდა არც მიმდინარე საიჯარო ქირას და არც შედგენილი გრაფიკით გათვალისწინებულ დავალიანებას. წინასწარი მოლაპარაკებითა და შემდგომ მაუწყებლის მიერ 2020 წლის ივლისის თვეში გაგზავნილი წერილის (არსებული დავალიანების და გადახდის გრაფიკის თაობაზე. №02-22/265; 08/07/2020) შედეგად შპს „ტვ-25" ამჟამად, ყოველთვიურად იხდის 1.300,00 ლარს. დავალიანება 01.12.2020 მდგომარეობით შეადგენს 5.826,70 ლარს.

- ინდივიდუალური მეწარმე „ციური დიასამიძე“ (ხელშეკრულება №17/05/01_15.05.17) – 81,61 ლარი (წარმოშობის თარიღი 2018 წლის მაისი). აღნიშნულ პირთან რამოდენიმეჯერ სატელეფონო კავშირით შეხსენების მიუხედავად, უარყოფს დავალიანების არსებობას.
  დავალიანების ამოღების უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს ღონისძიებების შემუშავება.

- შპს საზღვაო ჰოსპიტალი (ხელშეკრულება №07_08.06.2018) - 400,00 ლარი (წარმოშობის თარიღი 2018 წლის ივნისი). 2020 წლის დეკემბრის თვეში გაეგზავნა წერილი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

- შპს მის და მისტერ გოლდენ ბრენდი (ხელშეკრულება №30_12.07.2019) - 500,00 ლარი (წარმოშობის თარიღი 2019 წლის ივლისი). ინვენტარიზაციის პერიოდისათვის ვალდებულება არ არის შესრულებული. დავალიანების ამოღების უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს ღონისძიებების შემუშავება.

→ 2020 წლის 15 ივლისს გაიმართა მაუწყებლის მუდმივმოქმედი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომა (ოქმი №4), შემდეგი დღის წესრიგით:

1. *2020 წელს ჩამოწერას დაქვემდებარებული ძირითადი აქტივები;*
2. *განულებული ცვეთის მქონე ძირითადი აქტივების აფასება;*
3. *სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ -ს ბალანსზე რიცხული, 2020 წლის 08 იანვარს ხანძრის შედეგად დაზიანებული, ა/მანქანის (Ford Focus, სახელმწიფო №SSG-554, საინვენტარიზაციო №2426) შეკეთების ან აუქციონის წესით პრივატიზაციის თაობაზე;*

4. *სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს ბალანსზე რიცხული, ტურნიკეტის მოქმედების „პროგრამული უზრუნველყოფა Smari Report“ საინვენტარიზაციო №2827, დაინსტალირებულია საინ. №2429 სერვერი -ში, ოთახი №32, გაუმართაობის თაობაზე.*

სხდომაზე დაადგინეს:

1) *მოწვეულ იქნას აუდიტი შემდეგი ხასიათის მომსახურეობის გასაწევად:*

ა) 2020 წელს ჩამოწერას დაქვემდებარებული ძირითადი 20 ერთეული აქტივის მდგომარეობის თაობაზე (ჩამოწერის მიზანშეწონილებაზე) დასკვნის გასაკეთებლად;

ბ) განულებული ცვეთის მქონე ძირითადი აქტივების, 16 ერთეულის აფასების და მათ შორის ერთ მათგანზე -„აკადემიური ბურღი დარტყმითი ფუნქციით 18V XRP „საინვენტარიზაციო№2671-ცვეთის კოდის შეცვლის მიზანშეწონილობის თაობაზე;

გ) მაუწყებლის ბალანსზე რიცხული, 2020 წლის 08 იანვარს ხანძრის შედეგად დაზიანებული, ა/მანქანის (Ford Focus, სახელმწიფო №SSG-554, საინვენტარიზაციო №2426) შეკეთების ან აუქციონის წესით პრივატიზაციის თაობაზე დასკვნის შესრულება (უპირატესობის მინიჭების შემდეგ, მასზე აუქციონის წესით პრივატიზების ფასის ან შეკეთების ფასის დადგენა);

2) *აღდგეს მაუწყებლის ბალანსზე რიცხული ტურნიკეტის მოქმედების „პროგრამული უზრუნველყოფა Smart Report“ და სარგებლობისათვის გადაეცეს საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის უფროსს - ემზარ პაქსაძეს.*

3) *მუდმივმოქმედი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი, დასკვნის სახით, წარედგინოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორს დასამტკიცებლად და შემდგომი რეაგირებისათვის.*

მაუწყებლის დირექტორის მიერ 2020 წლის 20 ივლისს დამტკიცდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს მუდმივმოქმედი საინვენტარაზაციო კომისიის სხდომის ოქმი №4.

→ მაუწყებელმა დასკვნების მოსამზადებლად განახორციელა შესაბამისი პროცედურები და 2020 წლის 24 აგვისტოს შპს დანი აუდიტი“-ს მიერ მიიღო მომსახურება/დამოუკიდებელი აუდიტორული №03/1-34/1 და №03/1-34/2 დასკვნა „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესახებ“, ასევე 2020 წლის 25 აგვისტოს შპს „დანი აუდიტი“-ს მიერ მიიღო მომსახურება/დამოუკიდებელი აუდიტორული №02/2-46 დასკვნა „ავტომანქანის საწყისი გასაყიდი ფასის დადგენის თაობაზე.“

წარმოდგენილი დასკვნების შესაბამისად:

- „მაუწყებლის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი, ძირითადი აქტივების ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ“ მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 01 სექტებრის №02-03/35 ბრძანების თანახმად განხორციელდა 20 ერთეული გამოუყენებელი და ამორტიზებული ძირითადი აქტივების ბალანსიდან ჩამოწერა;
- საინვენტარიზაციო მუდმივმოქმედი კომისიის მიერ, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით 2020 წლის 07 სექტემბერს განხორციელდა ჩამოწერილი ძირითადი აქტივების ლიკვიდაცია (აქტი№2), უნარჩენო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა და ჯართის შემცვლელი ნარჩენების დასაწყობება ს.ს. ორბელიანის №17-ში;

- სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს მუდმივმოქმედი საინვენტარიზაციო კომისიის 2020 წლის 20 ივლისის სხდომის ოქმით, (დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორის მიერ 20.07.2020 წ.) საინვენტარიზაციო კომისიის მიერ წარმოებული შერჩევის საფუძველზე განისაზღვრა ჩამოსაწერი და განულებული ნარჩენი ღირებულების მქონე ცალკეული დასახელების ასაფასებელი ქონების ჩამონათვალი. ასაფასებელ სიაში შევიდა სულ 16 ერთეული. ფასეულობათა მუშა მდგომარეობის შესამოწმებელ სამუშაოებში, განულებული ნარჩენი ღირებულების მქონე ქონების აფასების მიზნით, მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 04 სექტემბრის №02-03/38 ბრძანების თანახმად განხორციელდა საბალანსო ღირებულებულებაში შესაბამისი ცვლილება/აფასება და ბუღალტრულ დოკუმენტაციაში ასახვა.

→ 2020 წლის განმავლობაში ლიკვიდაციის შედეგად მიღებული დაუმზადებელი ჯართი, კერძოდ:

- 2020 წლის 11 მაისის №02-03/14 ბრძანების და ჩამოწერილი ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის №1 აქტით მიღებული შავი ჯართი, სავარაუდო წონით 49,6 კგ, 21,33 ლარის ღირებულებით;
- 2020 წლის 01 სექტემბრის №02-03/35 ბრძანების და ჩამოწერილი ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის №2 აქტით მიღებული შავი ჯართი, სავარაუდო წონით 2,00 კგ, 0,86 ლარის ღირებულებით;
- 2020 წლის 31 დეკემბერს ჩამოწერილი მცირეფასიანი აქტივების ლიკვიდაციის №2 აქტით მიღებული შავი ჯართი, სავარაუდო წონით 5,5 კგ, 2,37 ლარის ღირებულებით;
- ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივები, მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივები და საგნები ჩამოიწერა მაუწყებლის ანგარიშგების ბალანსიდან და ნარჩენები ჯართის სახით, დაგენილი წესის შესაბამისად აყვანილია/აღრიცხულია შესაბამის საბუღალტრო ანგარიშებზე, გადატანილია და დასაწყობებულია მაუწყებლის შენობაში, მისამართზე: ს.ს. ორბელიანის №17-ში.

→ ჩამოსაწერი ქონების განსაზღვრა ხდება, მასზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ ჩამოწერის მიზეზის, ქმედითუნარიანობის წარდგინებით და საინვენტარაზაციო კომისიის წევრთა მიერ მისი ვიზუალური დათვალიერებით, რის შემდგომ დადგენილის წესით ხდება შესაბამის ოქმის შედგენა, ჩამოწერა/განადგურება.
„საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო

დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის № 82 დადგენილების შესაბამისად განხორციელდა მაუწყებლის ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი და ამორტიზებული ძირითადი აქტივების, „ბსმ 08- საცნობარო მუხლში“ -,,ამორტიზებული ძირითადი აქტივები“ გადატანილი მექანიკური სატელევიზიო პროდუქცია - ფილმების (მათზე ჩვენების ვადის ამოწურვის გამო) ექსპლუატაციაში მყოფი, ამორტიზებული, მწყობრიდან გამოსული, უვარგისი მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივების და მცირეფასიანი საგნების (კონდენსატორული პეტლიჩკის მიკროფონები, ყურსასმენები, ბანერები, საეთერო ტანსაცმელი, მინიდისკის რეკორდერი, გარე მყარი დისკები, პრინტერები, მობილური ტელეფონი, კარადები, მაგიდები, ელექტრო ღუმელი, სავარძლები, ტელევიზორები, პუფები და სხვა მცირეფასიანი საგნები, ხმარებაშია 1999-2017 წლიდან, დადასტურდა მათი სრული ფიზიკური და მორალური ცვეთა ინტენსიური ექსპლუატაციის გამო და დადგინდა, რომ აღნიშნული ფასეულობები არ ექვედებარება შეკეთებას, მათ მიზნობრივ გამოყენებას, ან სხვა ორგანიზაციისათვის გადაცემას) ჩამოწერა.

→ მაუწყებლობის საწყობში 2019 წელს ჩატარდა მორალურად მოძველებულ ანძების მარაგებსა და ვიდეო კასეტების ნაწილობრივი ინვენტარიზაცია. საწყობში ინვენტარიზაციის შედეგებზე გამოიცა მაუწყებლის, 2019 წლის 21 ნოემბრის №02-03/18 ბრძანება - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“- ს ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“- სათვის განსაკარგავად გადაცემის შესახებ, რომელშიც შევიდა მორალურად მოძველებული ანძების ტექნიკური მარაგები და უსარგებლო, მოძველებული ვიდეო კასეტები სულ: 13.375,53 ლარის ქონება. მაგრამ ამ პროცესის დასრულება 2019 წელს, ვერ მოხერხდა მაუწყებლობისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, კერძოდ: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 ივნისის №125 ბრძანების, მუხლი1-ის, დანართი №1 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესი და პირობები“- ის, მუხლი 2-ის თანახმად, მაუწყებელს უფლება ქონდა ჩამოსაწერი ქონება, დადგენილი წესით, განსაკარგავად გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთვის. აღნიშნული სააგენტოს წარმომადგენლობა, დასავლეთის რეგიონში, იმ დროისათვის არ იყო სრულყოფილად ჩამოყალიბებული, რის გამოც ვერ მოხერხდა მათთან მოლაპარაკება, ჩამოსაწერი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

2020 წლის 22-29 ივნისს მაუწყებლის მატერიალურ - ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის მეურნის - რიხარდ გიორგაძისა და სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“-ს დასავლეთ საქართველოს რეგიონალური სამმართველოს წარმომადგენელის მიერ მოხდა განსაკარგად გადასაცემი ქონების დაზუსტება, საერთო ღირებულებით 13.232,58 ლარი.

მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 08 ივლისის №02-03/19 ბრძანებით შევიდა ცვლილება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“-სათვის განსაკარგად გადაცემის შესახებ“, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს 2019 წლის 21 ნოემბრის №02-03/18 ბრძანებაში და 2020 წლის 14 ივლისს მოქმედი წესის თანახმად უსასყიდლოდ, განსაკარგავად გადაცემული ქონების თაობაზე მიღება - ჩაბარების №02-32/322 აქტით გადაეცა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“-ს.

→ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ 35[12] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად (საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ფინანსდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან, ამ ბიუჯეტის არანაკლებ 15%-ით) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს სავარაუდო საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში (მშპ შესაბამისად) მომზადდა 2021 წლის შემოსულობებისა და გადასახდელების დამტკიცების შესახებ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი (ბიუჯეტში მუხლობრივად გაიწერა ტელევიზიის, რადიოსა და ინტერნეტ მაუწყებლობის ხარჯები), მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნებისა და წინადადებების შეჯერების საფუძველზე. მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ 2020 წლის 22 დეკემბრის №01-01/11 (ოქმი №14) გადაწყვეტილებით შეთანხმებულ იქნა და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლი“-ს სამეურვეო საბჭოს 2020 წლის 29 დეკემბრის №500 (ოქმი №437) გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2021 წლის ბიუჯეტი.

მიღწეული შუალედური/საბოლოო შედეგების ინდიკატორები

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოსთან შეთანხმებითა და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-მ დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყო საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობის განაწილება და მიზნობრივი ხარჯვა, თავისი კომპეტენციისა და დაფინანსების ფარგლებში განახორციელა მაუწყებლის საქმიანობისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვა.

11.შიდა და გარე აუდიტის დასკვნები

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო'-ს მრჩეველთა საბჭო, საკანონმდებლო ვალდებულებებიდან და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე თავისი რესურსებით ატარებს მაუწყებლის ყოველწლიურ აუდიტორულ შემოწმებას გარე რესურსებით (შესყიდვით). აქვე აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის მიხედვით დადგენილი შიდა მიმდინარე კონტროლის პროცედურები პერიოდულად ხორციელდება შიდა აუდიტის სამსახურის მიერ. აუდიტის დასკვნები თან ერთვის წინამდებარე ანგარიშის. (დანართები N2 N3)